სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

IX ნოემბერი 1912 წ.

ილია ჭავჭავაძე,

(დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო, 1837 27/X 1912 წ.)

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს ჟურნალის ხვედრი ფულის დროზე გამოგზავნას

შინაარსი: 1) ბროფ. დუდვიგ გურლიტტი ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი, **ლ. ბოცვაძისა**. 2) ქართველი ტომები ქსენოფონტის ცნობები **ა. სვანიძისა**. 3) სწავლა-განათლების იდეალი, **გიორგი მეფარიშვილისა**. 4) მოკლე სუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან, ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა**. 5) ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხოვრების აღწერითი ცნობები, **ილ. ფირაძისა**. 6) ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, **მ. ქ. ყიფიანისა**. 7) კიდევ სადვო ხენ და ენ **ივანე ავალიშვილისა**. 8) ბატიოსანი (დასასრული) **ილ. გოგიასი**. 9) გაშორების ყამს. **დ. დურდოსპირელისა**. 10) ხმა მდინარისა, **გელასი**. 11) წითელი (ამბავი) **დ. ვედრებისელისა**. 12) დიდა (დექსი) **ლადო გეგეჭკორისა**. 13) ბავი ფიქრები. **დ. თურდოსპირელისა**. 14) ვედრებით სიყვარული, **კიკნა-ფშაველასი**. 15) სევდის ტალღები, **გელასი**. 16) გრძნობათა ფურფელი, **გ. ტაბიძისა**. 17) ორი მსხვერპლი, **გ. ლეონიძისა**. 18) ერმობა **დიმიტრი ყიფიანისა**. 19) ჰიგიენა, **ილ. ალხაზიშვილისა**. 20) შინაური მიმოხილვა. 21) უცხოეთი – პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დასავლეთ ევროპაში, **კოტესი**. 22) მოწერილი ამბები (წერილი გურიიდან) **გრ. საქარიქედელისა**.

ეროვნულ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეეულ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ **პრემიად** მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. პირველი ტომი **"გრდემლი"**, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება **იანვარშივე.**

რედაქცია დიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

IX ნოემბერი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი 35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

პროფ. ლუდვიგ გურლიტტი

ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი

III

აღზრდის არსებულ სისტემათა დასაბამი.

ლეევანდელი აღზრდის სისტემათა შინაარსი უფრო ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ კვალდაკვალ გამოვიძიებთ მათი თანდათანობით განვითარების მსვლელობას. იმ დღიდან, რაც კი გერმანელები გაქრისტიანდნენ, ეკლესიურ-ქრისტიანულმა სულმა შეიპყრო მთელი ჩვენი აღზრდაც. დიდებულმა სარეფორმაციო მოძრაობამ, რაც ლუტერმა შეჰქმნა, წარმოშვა მხოლოდ საეკლესიო სახალხო სკოლები, რომლებშიაც, მართალია რელიგიოზური რწმენა შეიცვალა, მაგრამ ეს სკოლები მაინც განახლებული ეკლესიის იარაღად შეიქმნენ. ლუტერის უმთავრესი მიზანი იყო ისე მოეწყო საეკლესიო სკოლები, სადაც ათის წლის ბავშვს უნდა შეესწავლა სარწმუნოების არა მარტო უმთავრესი საფუძვლები, არამედ გაცნობოდნენ დაბადებას (ბიბლიას) და კატეხიზმოსაც. სხვა ყველაფერი, რასაც კი ასწავლიდნენ ამ სკოლებში, ხელს უწყობდა ამ მთავარ მიზანს. კითხვას ხელი უნდა შეეწყო დაბადების შესწავლასა და შეგნებაში, გალობას—მონაწილეობა რომ მიეღოთ ეკლესიაში მგალობელთა გუნდში და შინაც ეგალობნათ ფსალმუნები და საეკლესიო საგალობლები. დღემდინაც ჩვენი სახალხო სკოლები მთავრო-

ბის ნებითა და უწყებით საეკლესიო სკოლებია. ამას ამტკიცებენ გაკვეთილების განწილვა, საეკლესიო ინსპეკცია და ის სიტყვები, რასაც ხშირად იმეორებენ პრუსიის სახალხო განათლების მინისტრები, სახელდობრ: „პრუსიის სკოლებმა, რაც უნდა იყოს, უნდა შეინარჩუნოს თავისი საქრისტეანო მიმართულებაო“. ჩვენს დროში ეს ეკლესიური სული, რომელზედაც დამყარებულია აწინდელი საალმზრდელო მეთოდები, ვერ გვაკმაყოფილებს, რადგანაც გერმანელებმა თავი დაალწიეს ქრისტიანობას.

ბუნების მეტყველების შესწავლამ, მეცნიერების მრავალმა წარმომადგენელმა, უმთავრესად კი ხალხის მასამ, რომელშიაც ბუნების-მეცნიერების სულმა ფესვი გაიდგა, დაჰგმეს ისეთი საალმზრდელო მეთოდები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ხალხის რწმენას და მათს მოთხოვნილებას, თვითონ სკოლებიც ზარალობენ ასეთის შეურიგებელის ორჭოფობითა და ორპირობით. იმათ არ შეუძლიათ არ აღიარონ წარმატება და განვითარება საბუნებისმეტყველო საგნებისა, არ შეუძლიათ არ ასწავლონ ეს საგნები, მაგრამ იმავე დროს ცდილობენ სკოლას შეუნარჩუნონ ძველი საეკლესიო სკოლების ქრისტიანული სული და რწმენა. ამ სახით ჩვენი სკოლები თითქოს მქადაგებელია ორის სრულიად მოპირდაპირე სოფლმხედველობა. ამის გამო ყველაზე მეტი ზარალი მოსდის მოზარდ თაობას, რომელიც სკოლის წყალობით მოკლებულია შინაგან ძალას და თავის შეხედულობით ცხოვრებაზე მოტყუებული რჩება. პედაგოგიკამ, თუ უნდა პატავისცემით აღიარონ იგი, ან ხელოვნურად ხელი უნდა შეუწყოს ეკლესიურ რწმენას, რომელიც მან უკვე დაჰგმო, მაშინ იგი იქნება, ასე ვსთქვათ, ისტორიული პედაგოგიკა, რომელსაც არც ჩვენთვის და უფრო კი არც პროგრესისათვის არავითარი მნიშვნელობა აქვს; ან და უნდა განთავისუფლდეს ყველა ტრადიციებისაგან და სისტემაში „მოდერნიზმი“, ან უკეთ რომ ვსთქვათ— ჩვენი აწინდელი გონებრივი ცხოვრება შეიტანოს. „მოდერნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა იმავე დროს მეცნიერების, პროგრესის და ჩვენი აწინდელი ცხოვრების საწინააღმდეგო ბრძოლაა. არსებობს კიდევ მესამე რიგი პედაგოგიკისა, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე ისინი, ვისაც სურთ თავიდან აიცილონ ყოველგვარი ბრძოლა—ეს არის საკომპრომისო პედაგოგიკა, მაგრამ ამ გვარ პედაგოგიურის სისტემის დროს უნდა უარჰყო ყოველივე ცხადი და განსაზღვრული მიზანი. როგორც არ შეიძლება შეუერთებელის შეერთება, ან შეურიგებლობის მორიგება, აგრეთვე არ შეიძლება აწინდელი ცოდნის შერიგება ძველ ეკლესიურ რწმენასთან, და რასაც კი ამ მხრით ცდილობდნენ, ის შეადგენდა სატირალს ცდას ჩაექროთ ცხადი წინააღმდეგობა და ჩამოეგდოთ მშვიდობიანობა ცეცხლსა და წყალს შორის. ცხადია ამ გვარ პედაგოგიკით შედარებით შეიძლება მიაღწიონ და კიდეც აღწევენ სასურველს. მაგრამ ჩიტი ბდღვნად არ ღირსო იტყვიან და მართალიც არის, რადგანაც შედეგი ვერ ამართლებს დახარჯულ ძალას. ამ წესით აღზრდილი ხალხი, უმეტესობა ჩვენი ახლანდელი თაობისა, მოკლებულია შინაგან თავისუფლებას, ძალას, ნებისა და ხასიათის სიმტკიცეს, რაც საჭიროა პიროვნების გონებრივად ზრდისათვის და იმიტომაც, რომ შეიქმნენ სახელმწიფოს სასარგებლო წევრნი. ეს უბრალო შემთხვევა არ არის, რომ პრუსიაში ნაკლე-

ბია დამოუკიდებელი და გამოჩენილი პირები, რომ ფრიად საჭირო საკულტურო საქმეები ვერ პოულობენ შესაფერისს მუშაკთ და გულშემატკივართ. ცხადია და აღსანიშნავი, რომ ძალებს, შეიძლება მავნებელსაც, თავი მოუყრია მხოლოდ მასსაში და განსაკუთრებით იმ პოლიტიკურს პარტიებში, რომელნიც უკიდურესს ბანაკს ეკუთვნიან—ცენტრის წარმომადგენლებსა და სოციალ-დემოკრატებში. საუკეთესო დამამტკიცებლად იმისა, რომ ეკლესიის გავლენას აღზრდაზე ბოლო ეღება, წარმოადგენს ის აღშფოთება და ზრუნვა, რამაც შეიპყრო სამღვდელოება. ყველა ქრისტიანთა ბანაკში განხეთქილება ისე გაძლიერდა, რომ კათოლიკეთა სახელმწიფოში მხოლოდ პაპის დესპოტიურის უფლებით და პროტესტანტთა ეკლესიის ასეთისავე უფლებით შენარჩუნებულია ერთობისა და ბატონობის ილუზიები. ფარისეველთა მეუფებას ბოლო ეღება. ჩვენი მასწავლებლები, განსაკუთრებით სახალხო სკოლებისა, თვითონვე ამხედრდნენ და ცდილობენ განაგდონ ეკლესიური უღელი, რაც მათ უღირსად და შეუფერებლად ძიაჩნიათ. იმათ არ აკმაყოფილებს ის როლი, რასაც მათ აკისრებდნენ—განხორციელება ეკლესიურის სულისა და შთანერგვა ახალთაობაში ამ სულისა თავიანთი რწმენის წინააღმდეგ. ისინი თხოულობენ ახალ სასკოლო ინსპექციას, რასაკვირველია, არა ეკლესიურს, როგორც დღემდის იყო, და სურთ სკოლის მეთვალყურეებად ისეთი კაცები დანიშნონ, რომელთაც პედაგოგიური გამოცდილებაც აქვთ, ემსახურებიან საქმეს და არა ეკლესიას.

რაკი ფარისეველთა მეუფებას ბოლო ეღება, ამ გვარი ბედი მოელის მწიგნობართა მეუფებასაც, ე. ი. წიგნურ მეცნიერებს. თუ ჩვენ სისტემატიურს პედაგოგიკას ძირს გავუშინჯავთ, ცხადად გვეჩვენება, როგორ განვითარდა და ბოლოს როგორ ჩამოქვეითდა იგი სრულს უნაყოფობამდე. მწიგნობართა პედაგოგიკა, როგორც მათ ვუწოდებთ, არის ნაყოფი აბსტრაქტიული ფილოსოფიისა და არა ნაყოფი გამოცდილებისა და ბუნებისადმი დაკვირვებისა. მთელი ჩვენი საპედაგოგიო მწერლობა, თუ საეკლესიო მწერლობის ნაყოფი არა, გამომდინარეობს შემდეგის იდეებიდან: იგი გონებით აგებს თავისთვის ნორმალურს ადამიანს, რომ შემდეგ ნორმალურისავე საშუალებით შეჰქმნან იდეალური ადამიანი. იმას წარმოდგენილი აქვს ყოველს ადამიანში ერთგვარი საზოგადო სული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი დაკვირვება და სინამდვილე სულ სხვას გვიკარნახებს, რომ ადამიანთა შორისაც სხვა და სხვაობაა. ამასთან წარმოდგენილი აქვთ, რომ მათ სული, საზოგადო კაცობრიული სული მშვენივრად და დანამდვილებით შესწავლილი აქვთ, ასე რომ თითქოს შეიძლებოდეს მისი დაყოფა ისე, როგორც რაიმე ანატომიური პრეპარატებისა. იმათ ჰგონიათ, რომ იციან ისეთი საშუალებანი, რომლითაც გავლენას მოახდენენ ადამიანის გონებაზე და უხელმძღვანელებენ მას და ფიქრობენ სრულიად სხვა და სხვა გონებისა და ბუნების ადამიანთა ერთგვარად მოპყრობით მიიღებენ გონებრივისა და ზნეობრივი მოქმედების ერთ გვარ კომპლექსებს. ეს სისტემატიური პედაგოგიკა არსებითად მხოლოდ ქაღალდზეა. როგორც კი მოისურვებენ ხელმძღვანელობას, იგი უძლური ხდება. იგი მეტის მეტად თეორიულია, ძლიერ ემყარება მზა განყენებულს ცნებებს და ისეთს ტეხნიკურს გამოთქმათა, რომელნიც ჯერ

კიდევ სერიოზულ ფსიხოლოგიურის დაკვირვებით შეუმოწმებელია.

აქ ადგილი არ არის დაწვრილებით დავამტკიცოთ ზემოთ ნათქვამი. საკმარისია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ აკადემიის და სემინარიის სასკოლო პედაგოგიკას თითქმის დღემდის არ აინტერესებდა და არ ზრუნავდა სულისა და სხეულის ერთმანეთთან კავშირზე და ურთიერთობაზე. იგივე, როგორც ეკლესია, სულს სცნობდა რაღაც აბსოლუტურად და ცოტა ბრძოლა და შრომა არ შეიქმნა საჭირო, რომ ექიმისთვის კარი გაეღოთ სკოლებში. ამით ანდერძი აეგო ძველს პედაგოგიკას. იგი მოითხოვდა ერთსა და იმავე გონებრივსა და ზნეობრივს ძალას სუსტი ბავშვებისაგანაც ისე, როგორც საღ ბავშვებისაგან, მოითხოვდა საზოგადოთ ბევრსა და ცრუს ერთისაგან და მეორესაგანაც. მან სრულიად არ იცოდა ბავშვის ბუნება, მაგრამ მაინც ცდილობდა ხელმძღვანელობა გაეწია ბავშვისთვის; თითქმის დღესაც ცნობილი ფსიხოლოგები ამტკიცებენ, რომ ბავშვის ფსიხოლოგია ჯერ კიდევ გამოურკვეველიაო. ძველს აკადემიურს პედაგოგიკას ცოდვად მიაჩნდა ბავშვის ბუნების ყველა სისუსტე და სჯიდა იმას ისე, როგორც ეკლესია; ამ უკანასკნელის მსგავსად მან შემოიღო მთელი რიგი ბავშვების ცოდვებისა, როგორც ჯიუტობა, უგულისყურობა, სიზარმაცე, თავნებობა, გონების გაფანტულობა, და სხ. იგი უმთავრეს მიზნად ისახავდა გამოეძებნა ნამდვილი გამასწორებელი ზომები ამ მოჩვენებულ ნაკლთა წინააღმდეგ. იმაზე უარესი არ არის რა, როგორც მაგ. საზოგადო ზომის დატუქსვის მიღება ვსთქვათ ისეთის ნაკლის წინააღმდეგ, როგორც ბავშვის გონების გაფანტულობაა, რადგანაც ეს გაფანტულობა გამოწვეულია ან ნერვების სისუსტისა, ან ინტერესის გარდამეტების გამო, ორსავე შემთხვევაში საჭიროა მეცნიერულად დაკვირვება და შესწავლა, პირველ შემთხვევაში კი—ექიმის დახმარებაც და არას გზით დასჯა, რომლითაც ვერას გახდებიან. არც ერთს გონიერს ადამიანს ფიქრად არ მოუვა ცემით და დასჯით დასთურგნოს ფიზიკური სისუსტე. გონებრივ დაქანცულობის და მისს შედეგებს სჯიდენ და ახლაც კი სჯიან წკეპლით იმ სკოლებში, სადაც კი ძველი ეკლესიური სული ტრიალებს. იმ სკოლებში, რომლებიც ჩვენ დავათვალიერეთ, არაფერი იცოდნენ და არც უნდოდათ სცოდნოდათ ბავშვების ნერვების მოშლილობისა, სისხლ-ნაკლებულობისა და სატკბურის შესახებ. იქ მხოლოდ ბავშვებს ჰყოფდნენ ბეჯით, გამგონე, კარგ მოწაფეებად და ზარმაცებად, გონება გაფანტულებად და ცუდ მოწაფეებად.

მთელი სასწავლო გეგმა და გაკვეთილების განწილვა ყველა სკოლებში ისეა შედგენილი, რომ მხოლოდ ფიზიკურად მეტად საღს და ძლიერ ბავშვებს შეუძლიათ უვნებლად აასრულონ, რასაც მათგან მოითხოვენ; თვითონ მასწავლებლები აღიარებენ, რომ მხოლოდ სიზარმაცით, ეშმაკობით და გაფანტულობით იცავენ თავიანთ თავს სხეულის და გონების მოქანცულობისაგანრ. ყველა ეს სკოლები და, სამწუხაროდ, შინაური აღზრდაც, რომელიც სკოლას მხარს უჭერს, სხვა არა არის რა, თუ არა ნაყოფი დრო მოჭმულის და მეცნიერების მიერ დაგმობილის თეორეტიკისა.

ამ სახით, მთელი დღეს გამეფებული სასკოლო პრაქტიკა ისეთივე სუსტი, მერყეობითი და უწესოა, როგორც ის ბოტანიკა, რომელიც ლინეის სისტემაზე

იყო აგებული. მცენარეთა მოშენებაში და ძაღლებისა და ცხენების გაწრთვნაშიაც კი დაჰგმეს ბუნდოვანი მოსაზრებანი და დაადგნენ მტკიცე ნიადაგს — პრაქტიკული დაკვირვებისა და მოქმედების გზას. მაგრამ თეორიის მიმდევრებს თავისი თავი მართალი მიაჩნდათ იმ ტრადიციებისა და გადმოცემათა მიხედვით, რომელნიც მემკვიდრეობით გადმოვიდა ოდესღაც სახელ განთქმულ ბერძნებისაგან. ჩვენ ვიცით, რამდენად უძნელდება აწინდელს კულტუროსან ხალხს თავი დააღწიოს ძველთა კულტურულს გავლენას. ილუზიის გავლენით, რომ ყველაფერი, რაც შეჰქმნა კულტუროსანმა ერმა პროგრესის გზაზე, ღირსია განგრძობისა და სიცოცხლისა, რომ ყოველს დროს მას გავლენა უნდა ჰქონდეს ყოველს ეპოქაზე, მთელი თაობის აღზრდა, განშორებული ეკლესიურს გავლენას, წიგნურ მეცნიერთა დამოკიდებულებაში მოექცა. ეს უკანასკნელნი კი უპირატესობას აძლევენ პლატონს, არისტოტელს, საშუალო საუკუნის სხოლასტიკებს და ვინც უნდა იყვეს ძველს ავტორებს და არა ბავშვებზე მათი ბუნების პრაქტიკულად დაკვირვებით შესწავლას.

მეტად მარტივი და ბუნებრივი აზრები ადამიანს ბოლოს ებადება. ის აზრი, რომ წესიერად აღზრდისათვის საუკეთესოა ვისარგებლოთ საკუთარის დაკვირვებით ცოცხალ ბავშვებზე, იმდენად მარტივია, რომ ამას მხოლოდ ახლა მივხვდით, ახლა მივუახლოვდით ამ აზრს და პირველადაც აღმოვაჩინეთ. ბავშვი მხოლოდ აღსაზრდელი საგანი იყო, ყველა არსებითში საკუთარ ნებას მოკლებული, ყოველ შემთხვევაში მას საკუთარი ნება არ უნდა ჰქონოდა, უნდა გაზდილიყო და განვითარებულიყო მოზრდილთა სურვილების მიხედვით, მათ მიერ ხელოვნურად შემუშავებულის და წინასწარ მოაზრებული კანონის კვალობაზე. ჰერბარტის უზარმაზარი ცდა ბავშვის აზროვნების განვითარებაში და წაქეზებაში მოგვაგონებს წყლის ვეებერთელა ტუმბოს, რომლითაც ცდილობენ მიუწდომელის სიღრმიდან წყლის ზევით ამოღებას, მაშინ, როდესაც უმჯობესი იქნებოდა თავისუფალ მოჩხრიალე ნაკადულების თავის მოყრით ერთი დიდი და ძლიერი მდინარე შეექმნათ. ამ ფილოსოფიურ პედაგოგიკაზე ისეთის ნივთებისა და ცნებათა შედგენისათვის, რომელთა განვითარება შეიძლებოდა აღმზრდელის დაუხმარებლადაც, მეტად დიდი ძალა იხარჯება. მაგრამ ამ პედაგოგიკის აზრით, ყველაფერი აღმზრდელის ხელთ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი აღმზრდელს უნდა გაეკეთებინა. ბავშვი კი, მარმარილოს ქვის ფიცრის მსგავსად, ხელში ეძლეოდა ხელოვანს, რომ ამ უკანასკნელის ხელში იგი მშვენიერ ხელოვან ნაწარმოებად გამხდარიყო, არაკითარი ხსენება არ იყო საზოგადო ბუნებისა და კერძოდ ბავშვის ბუნების პატივისცემით მოპყრობისა. დაისახავდნენ მაღალს, თითქმის მიუწდომელს მიზანს, იდეალს და მოითხოვდნენ ბავშვებისაგან მის მიღწევას. და აღზრდაც თანდათან რაღაც წამებას წარმოადგენდა. ბავშვის ფიზიკური განვითარება ბავშვზედვე იყო მინებებული, ამაში რაიმე ძალდატანების ზომას საჭიროდ არ სცნობდნენ. სულ სხვა იყო გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საქმე — აქ შექმნიდნენ ნორმალურს მოთხოვნილებებს, მხედველობაში ჰქონდათ აგრეთვე ნორმალური ძალები, ადგენდნენ ვალდებულებათა, რომელთა წყალობით გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა ჩქარა უნდა მომხდარიყო, ე. ი.

უნდა ევლო იძულებითი და წინასწარ განზრახული ჩქარის ნაბიჯით. ყველა ეს პედაგოგიკა და საალმზრდელო წესები არ იყვნენ დამყარებული ცოცხალ არსებისაგან შეკრებილ დაკვირვებაზე და ამ გზით შეძენილს ცდაზე—ეს იყო უბრალო გონების ნაყოფი, წინასწარ განზრახული და წინდაწინვე დასახული მოთხოვნილება და მიზანი, შედგენილი დიდებისაგან, რომელთაც თავისი თავი უცოდველი ეგონათ და ფიქრობდნენ, რომ სრული ჭეშმარიტება მხოლოდ მათ ხელშია და ამ ჭეშმარიტების შეთვისებაც, მათის აზრით, მოზარდ თაობათა მოვალეობაა.

მაგრამ ამ საალმზრდელო ზომებს სრული საწინააღმდეგო ნაყოფი მოსდევს: ეს ხელოვნურად აჩქარებული ტემპი განვითარებისა ბავშვის ბუნებრივი ნიჭის ზრდას აფერხებს, რადგანაც განვითარება ცრუ გზას მიჰყვება, ანგარიშს არ უწევენ ბავშვის თან დაყოლილს ძალას, და ბუნება თავის გამოსაჩენად შორის გზით მიჰყავთ, ან იძულებულს ჰყოფენ თავისი თავი უარჰყოს. ეს ყველაზე უფრო ნიჭიერს და ბუნებით დაჯილდოვებულს ბავშვებს ეტყობათ,—მთელი მათი ძალა და ენერგია ძლიერ ვნებათა და მიდრეკილებათა ბრძოლაში იხარჯება. ძლევა, დაპყრობა მოწაფის ნებისა, მოსპობა მისი პიროვნებისა და დამორჩილება ყოველგვარ სასკოლო წესების მოთხოვნილებისაკენ,—აი რა შეადგენდა პედაგოგის დიდებულს გამარჯვებას. მაგრამ ამასთანავე ავიწყდებოდათ, რომ ადამიანიც თავის თავად ისე იზრდება, როგორ ყოველი მცენარე, რომ იგი შეუგნებლად ემორჩილება ბუნებრივს შეგულიანებას და ამით გონივრულად და ზნეობრივადაც ვითარდება, რომ სული სხეულთან ერთად ვითარდება, რადგანაც იგი განუწყვეტლივ შეკავშირებულია სხეულთან და არის მხოლოდ მისი ორგანო.

მსგავსად ეკლესიისა, ფილოსოფიაც დარწმუნებული იყო, რომ მას ხელთ ეპყრა საუკუნო ჭეშმარიტებანი და ცხოვრებაც ამ ჭეშმარიტებათა მიხედვით უნდა განვითარდესო. მაგრამ ამ სახით კაცობრიობის განვითარებაში შეჩერება აუცილებელია, რადგანაც თუ ჭეშმარიტება უკვე ნაპოვნია, მაშინ კვდება ის შეგულიანება, რომლის წყალობითაც წინ მსვლელობას ვიჩენთ,—შეგულიანება შემეცნებისადმი და მთავარი მისი ამამოძრავებელი ეჭვია. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს მიერ აღსარებული და მოწონებული აღზრდა კიდევ ავალებს პედაგოგებს ჩააქრონ მოწაფეებში ყოველგვარი ეჭვი, რაც მათში თავს იჩენს. თვითონ ვიყავი მოწმედ, როცა რეალურ სასწავლებლის გახსნის დროს ტაინი სოვეტნიკმა გენცმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „უმთავრესი, დიდათ პატივცემულო თანამშრომლებო, ის არის, რომ მოზარდ თაობის სული ეჭვებისაგან დაიფაროთო“.

საჯაროდ დავგმე ეს სიტყვები და ჩემის ღრმა რწმენით ეს იყო მთავარი მიზეზი ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა.

ამ გვარ ავტორიტეტულ სულს, რაც საზღვრავს ახალთაობის განვითარებას და რომელიც თითქმის სპეციალ საბუნებისმეტყველო საგნების სკოლებშიაც დოღმატათ არის შემოღებული, ერთსულად და ერთხმად წინ უნდა აღუდგეს ახლანდელი პედაგოგიკა. ჩვენთვის სულ ერთია ეს სული ეკლესიურ-რელიგიოზური ცრუ მორწმუნოებაა, თუ აკადემიური ფილოსოფიური მოუთმენლობა, ან ერთიც და მეორეც, რადგანაც ამით სრულიადაც არ იცვლება საქმის ვითარება ე. ი. ის ზარალი, რომელიც მას მოაქვს.

ვინც ანგარიშს უწევს აწინდელს ბუნების მეცნიერებას და მოინდომებს შექმნას ახალი პედაგოგიკა, ცხადად და განსაზღვრულად უნდა აღიაროს, რომ ადამიანის სიცოცხლე სამყაროში და როგორც ნაწილი სამყაროსი საზოგადო განვითარების მოძრაობაში მონაწილეობას იღებს და არსად არავისგან შეყენებული არ უნდა იქმნას. დოღმატები კი პრინციპიალურად გაძევებული უნდა იქმნას აღზრდიდან. არ არის „უკანასკნელი“ ნაპოვნი ჭეშმარიტება, არ აქვთ იგი არც მონისტებს, არც ათეისტებს. ბავშვები თავდაპირველად უნდა ემორჩილებოდნენ და კიდეც დაემორჩილებიან თავიანთ აღმზრდელების ავტორიტეტს. ბავშვები, ყვავილის მსგავსად, პირს იბრუნებენ მზისკენ, რომლისგანაც იღებენ სინათლეს, სითბოსა და საზრდოს. ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის ხელოვნურის საშუალებით მოვიპოვოთ ბავშვებისგან პატივისცემა, საჭირო არ არის თავი წარმოვიდგინოთ ხელუხლებელ საუკუნო ჭეშმარიტების დარაჯად—თუ გვინდა ბავშვებს სარგებლობა მოვუტანოთ, მარტივად უნდა ჩავაგონოთ მათ ჩვენი პატიოსნური და კარგი განძრახვები, რომ ჩვენ შეგვიძლია ბევრი კარგი რამ შევიტანოთ მათს ცხოვრებაში; მაშინ სასურველ ავტორიტეტსაც დავიმსახურებთ. ეს თავისთავად ისედაც ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ საჭიროა კიდევ მოვიხსენიოთ ის თაყვანისცემა ძველისა და ყოველ გვარ ტრადიციისადმი, რასაც ავტორიტეტულად ფესვები გაუდგამს ცხოვრებაში. ესეც ერთგვარი ძალდატანებაა და გზას უხლართავს იგი შთამომავლობის თავისუფალ განვითარებას. თუ რომელიმე მოზრდილი გერმანელი ცეზარის სამხედრო ისტორიას პატივისცემის, მოძღვრებისა და სარგებლის ღირსად დაინახავს,—ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ სრულიად უსამართლობაა 14 წლის მოწაფეს სავალდებულო პატივისცემა მოვთხოვოთ ამ ლიტერატურულ ნაწარმოებისადმი. სწორედ ამ მხრით და მრავალ სხვა შემთხვევებშიაც დღევანდელი გაბატონებული პედაგოგიკა გარდამკიდეა და ძალადობასაც არ ერიდება. ამის მიზეზი სულ ერთი და იგივეა, სახელმწიფო პედაგოგიკა გამომდინარეობს წინადვე მომზადებულის, წინასწარი საღმზრდელო აზრებისა და სისტემისაგან, სრულიად არ ხელმძღვანელობენ ცოცხალ ბავშვებისადმი დაკვირვებით და მათის მოთხოვნილებით. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ჩვენს სტატიაში გადამწყვეტ მუხლამდის. ახლა, დეე, თითოეულმა მკითხველმა დაეკითხოს თავის თავს—იგი მომხრეა ძველი პედაგოგიკისა, თუ ჩვენთან ერთად პრინციპიალურად უარჰყოფს მას. ამასთან მკითხველმა უნდა შეიგნოს, რომ აქ საქმე ეხება არა მარტო მასწავლებლებს და სკოლებს, არამედ მშობლებსაც და საზოგადოთ შინაურს აღზრდასაც. იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად ხშირის უთანხმოებისა მშობლებისა და სკოლის შორის, საზოგადო სული აღზრდისა უმთავრესად ერთი და იგივეა. მშობელთა სულის კუნჭულში ჯერ კიდევ მტკიცედ განისვენებს სახელმწიფო სკოლებისადმი პატივისცემა და მათ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ დიდს სარგებლობას აძლევენ ბავშვებს იმით, რომ ეს უკანასკნელები მორჩილებით ასრულებენ სკოლის ბრძანებას. ისინი იშვიათად ჰგმობენ მასწავლებლის უფლების აღმატებას, ან სკოლის სისტემის რომელსამე თვალსაჩინო ნაკლს, მაგრამ გერმანელი სკოლა, როგორც საზოგადოებრივი დაწესე-

ბულება მათთვის წმინდაა და მის წინაშეც უძლურებას იჩენენ. ვერც იტყვიან როგორ ან რაში უნდა შეიცვალოს სკოლის სული და საალმზრდელო მეთოდი.

ტრადიცია ჯერ კიდევ ისე ძლიერია და თიოოეულსაც იმდენი წლები გაუტარებია ამ ტრადიციის უღლის ქვეშ, რომ აწინდელს გერმანელს სხვა პიროობები და სხვა საალმზრდელო მიმართულება შეუძლებლად მიაჩნია. ტყუილად უქადაგებთ და ჩასჩიჩინებთ, რომ ბერძენთა უმაღლესი კულტურა სახელმწიფო სკოლების გარეშე განვითარდა და მიაღწია ისეთს აყვავებას, რომ სახელმწიფოს განათლება თავის მონოპოლიად არ მიაჩნდა. გერმანელები ვერ წარმოიდგენენ ბავშვების აღზრდას პროფესიონალურ აღმზრდელების, ან აღმზრდელ მოხელეთა გარეშე. მათ უეჭველია დაავიწყდათ, ან არ იციან, რომ საშუალო საუკუნოების მაღალი რაინდული კულტურა, მთელი განმანათლებელი კულტურა ჰანდისა და საზოგადოთ საშუალო საუკუნოებში ყველა არსებული გერმანული მოქალაქობრივი კულტურა თავისუფლად, დამოუკიდებლად აღმოცენდა, საზოგადოებრივი ჯგუფის გარეშე განვითარდა პრაქტიკულის მოქმედებიდან და ბუნებრივ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, მაშასადამე—სასკოლო წოდების გარეშე. მაშინ წარმოდგენაც არ ჰქონდათ რაღაც სისტემატიურს პედაგოგიკაზე, მაგრამ მაინც ხელოვნების, მეცნიერების და სოციალური ცხოვრების ფარგალში მრავალნი სხვა და სხვა მხრივ განვითარებულნი, განათლებულნი და მრავალ მხრივ მომქმედნი კაცნი და ქალნი გამოდიოდნენ. შეიძლება ყველაზე უდიდესი უბედურება, რაც გერმანელებს შეემთხვათ—ეს იყო, რომ ჩვენი ცხოვრება სკოლის პედანტების უღლის ქვეშ მოჰყვა და, რაც არა ერთხელ მითქვამს გულშემატკივართა საყურადღებოდ, მთელი გერმანელი ხალხი თავიდან ფეხებამდის იწრთვნება ამ პედანტების მიერ. მთელი ჩვენი ცხოვრება, აკვნიდან დაწყებული კუბოს ფიცრამდის, სისტემაშია მოყვანილი—ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, გავიზარდოთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც გვიბრძანებენ; თუ ბედად რაიმე ახალმა მოვლენამ იჩინა თავი, ჩვენი სისტემატიკოსები მაშინვე დააცხრებიან, აღნუსხავენ და ცდილობენ დაიმორჩილონ.

ვარდს ლექციებს არ უკითხავენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აყვავილდეს, იგი ყველა ამას დამოუკიდებლად საკუთარის ძალღონით აკეთებს. არც საჭიროა შთააგონონ ბავშვს, თუ რაგვარი რელიგიოზური გრძნობა უნდა ჰქონდეს მას, არაა საჭირო არც მისი რელიგიოზური მოთხოვნილებისათვის არავითარი სამეცნიერო გეგმა და განაწილება, როგორც არ არის საჭირო ოსტატურად მოგონილის სისტემით აუდგათ ბავშვს ენა, და ასწავლოთ ხედვა. ყველა ეს თავისთავად სწარმოებს, თავისთავად გაცილებით უკეთ იზრდება და ვითარდება, ვიდრე ხელოვნურის საშუალებით. მაგრამ ყველა მეტის მეტად მარტივი ჭეშმარიტება მრავალი წლის განმავლობაში დამარხული იყო ჩვენი აკადემიკოსებისა და პედაგოგების თეორიულ სამეცნიერო ნაშრომს ქვეშ.

ყველაზე უკეთესი აღმოჩენა ჩვენ დროში—ეს ბავშვის აღმოჩენაა. ბავშვების დაცვა სკოლის მასწავლებლებისა და პედანტებისაგან მეტად აუცილებელი და საჭირო საქმეა. უფრო კი სკოლის პედანტებისაგან სკოლაში და სკოლის გარედაც, რადგანაც ოჯახშიაც დაბადების დღიდანვე წრთვნიან ბავშვებს. დედები,

სამწუხაროდ, ხშირად დადიან საბავშვო ბაღებში და საუბედუროდ ბევრმაც დაიჭირა მასწავლებლობის გამოცდა. ისინიც გაბატონებული პედაგოგიკის სულით არიან გაჟღენთილნი და უნდათ საკუთარ შვილებზე დაამტკიცონ მისი ვარგისობა, უნდათ მათ მიერ აღმოცენებულის საკუთარის ხიდან შეაგროვონ ამ პედაგოგიკის საუკეთესო ნაყოფი. დიდს ამაგს გაგვიწევდა ჩვენს დროში ისეთი ადამიანები, რომელთაც ისე აღეზარდათ ჩვენი ახალთაობა, რომ არ მიემართნათ პროფესიონალურ აღმზრდელებისათვის. ყველანი გაოცდებოდნენ მათი არა ჩვეულებრივის გონებისა და ზნეობის განვითარების ძალით და გაკვირვებით იტყოდნენ: საიდან და როგორ გაჩნდა ყველა ეს! სხვების დასარწმუნებლად და დასამტკიცებლად ზემოთ ნათქვამისა მე თვითონ ვცდილობ მოვახდინო ზოგიერთი ამგვარი ცდა და ისე აღვზარდო შვილები. „ზოგიერთიო“, ვამბობ იმიტომ, რომ სახელმწიფო მათ ატესტატებს და დიპლომებს მოსთხოვს და სამწუხაროდ მისი მიცემის უფლება მე არა მაქვს. მაგრამ იმას რაც მე ამ ცდის წყალობით მივაღწიე, განცვიფრებაში მოვყევარ მეც და ყველა სხვებიც, ვისაც თვალყური ეჭირა ამ ცდაზე, იმავე დროს ეს არის მეტად ულმობელი კრიტიკა აღზრდის ყველა ძველი მეთოდებისა.

ლ. ბოცვაძე.

ქართველი ტომები

ქსენოფონტის ცნობები

ამ ცნობებში ჩვენს ყურადღებას პირველ ყოვლისა ის გარემოება იქცევს, რომ აქ მესხები სრულიად არ იხსენიებიან, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელნი თვალ უწყდენი დროიდან, ქსენოფონტის მიერ ხსენებული ტიბარენების ჩრდილო-აღმოსავლეთის მეზობლები ყოფილან.

ეს მეტად საეურადღებო მოვლენა ძალუნებურად გვახვევს თავზე კითხვას: ვისი მეოხებით გაჭქრენ ამ ადგილებში მესხები.

საეურადღებოა, რომ ქსენოფონტეს არც ისე შორეული წინაპრები ჰეკატე და ჰეროდოტე ისევ სამხრეთში იხსენიებენ მესხებს. (პირველი მატიენების გვერდით, მეორე კი ტიბარენებისა).

ამის მიხედვით საფიქრელია, რომ ის უზარმაზარი ცვლილება, რომელსაც სამხრეთში მესხების სახელი ადმოუფხვრია, სწორეთ დასახელებულ მწერლების შუა ხანაში მომხდარა.

რომელიღა ერი უნდა ყოფილიყო მათი მემკვიდრე, ამაზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტრაბონის მოწმობა გვაძლევს პასუხს, რომლის მიხედვითაც მესხეთი სამ ნაწილად იყოფოდა, რომელთაგანაც ერთს ფლობდენ კოლხები, მეორეს იბერები და მესამეს სომხები.

მათ მემკვიდრეებად უმთავრესად ბერძენის პროფესორი ლემანი იბერებს სთვლის, რომელთაც, თვით ძველი ქართლიც მესხებს გამოგლეჯეს ხელიდამ მე-VI საუკუნის შემდეგ[1]).

[1]) იხ. მისი „Aus Geogien“ ნაუმანის ჟურნალ „Zeit“-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული ავტორის აზრით თვით მცხეთაც „მესხითი“-დან უნდა იყოს წარმომდგარი. აგათიასი მართლაც „Μεσχιθὰ“-თ იხსენიებს (Π 22,112) ჩვენს ძველ ქალაქს; პტოლომეოსი კი „Μεσκήθα“-ს უწოდებს მას, (V 10 352,14) რაც, თავის თავად ცხადია, იგივ „მესხითას“ აღნიშნავს.

კითხვის სსეთი გადაწყრა კიდევ უფრო თავსატეხ კითხვას გვახვევს თავზე, თუ ძველათ ქართული მესხებს ეკუთვნოდა [1]), საიდგანდა გაჩნდენ აქ იბერები, საიდან მოვიდნენ ისინი?

ლემანი მის მიერ ბატ. ჯანაშვილისგან გაგონილი ჭიპოტეზის საშუალებით ფიქრობს ამ კითხვის გადაწყრას; რომლის მიხედვითაც ქართველები (იბერები) — იგივე „ქარდუ“-ელები (Qordu, ქსენოფონტის კარდუხები). უმჯობესი იქნებოდა, რომ ბ-ნი ლემანი საკუთარ გამოკვლევებს მიეყვანა ამ დასკვნამდი სხვის დამოუკიდებლად; მაშინ ალბათ მეტი სიბუთები მოეძებნებოდა მას ამ ჭიპოტეზის დასამტკიცებლად. ის კი, რასაც იგი დღეს დღეობით ასახელებს მის სასარგებლოთ, საუბედუროთ, არ კმარა ამისთვის.

ლემანი იმ გარემოებას აქცევს უურადღებას, რომ უფლის ციხისებური ნანგრევები სწორეთ ქურთისტანში უნახავს მას; ეს კი მისის აზრით კულტურის ერთგვარობაზე უნდა მიგვითითებდეს.

გარდა ამისა სტრაბონის ჩვენებას, რომ ძველი სომხეთის დედაქალაქი ტიგრანცეტა იბერიის ახლო მდებარებდა, მისის აზრით, მხოლოთ ამ ჭიპოტეზის წესლობით ეძლევა აზრი, რადგან ეს ქალაქი მართლაც ქარდუელელების ქვეყნის საზღვარზე იყო და ისტორიულ იბერიიდამ მეტის მეტად დაშორებული იყო.

არსებობს კიდევ ერთი არა ბირდაბირი არგუმენტი ამ ჭიპოტეზის სასარგებლოდ. სახელდობრ ის, რომ, როგორც ბოლო დროს დამტკიცებულ იქმნა, ქარდუელები (კარდუხები) სრულიადაც არ წარმოადგენდენ ქურთების წინაპრებს, რაგორც დღემდის ფიქრობდენ, და მაშასადამე რომელიდაც უცნობს ტომს ეკრთვნიან. ამათ ქვეყანას ქსენოფონტმა და 10 ათასმა ბერძენმა მე-400 წელს შეაფარეს თავი.

ეს ქვეყანა ჭარტმანის განმარტებით მდინარეების, ტიგრის, შოტანა-სუს და ქაბურის შუა მდებარებდა და „ბოტანის“ სახელს ატარებდა, როგორც კიპერტი გვარწმუნებს იგი დღემდისაც ამ სახელით იწოდება.

გერმანელმა მეცნიერმა ჭაგენმა ჯერ ისევ მე-XIX საუკუნის დასაწყისს განაცხადა [1]), რომ ამ ქვეყნის საზღვრებში ქურთისტანის მოთავსება შეუძლებელია, მაგრამ ამ სეყურადღებო მოვლენას ბოლო ხანებამდე არავინ მიაქცია ყურადღება. მეცნიერები, რაგორც ქურთისტანს და კარდუხების ქვეყანას, ისე მათ მცხოვრებლებს ერთმანერთს უკავშირებდნენ. მხოლოდ ჭარტმანის და ნოლდეკეს წესლობით იქმნა ეს აზრი ესლბად ადსარებული, რაგორც უკვე აღვნიშნეთ.

ნოლდეკე პირველ ეოვლისა იმაზე მიგვითითებს [2]); რომ ქურთებისთვის ძველს მწერლობაში სხვა უფრო შესამებული სახელი არსებობს «Kiρτίοι», რომელსაც ჩვენ ბოლიშის და სტრაბონის ნაწერებში ვხვდებით; რომ ეს სახელი «Qardu»-დამ არა წარმომდგარი თავის თავად ცხადია. გარდა ამისა ის აღნიშნავს, რომ არაბები და სირიელები „ქარტო“-საც ხმარობდენ და „ქურთებსაც“, მაგრამ ამ ორ სახელს სრულებით არ ურევდენ ერთმანეთში.

---

[1]) საყურადღებოა რომ ცნობილი კიპერტიც ამ აზრის მომხრეა. იხ. მისი hehrb. 85.

[1]) იხ. მისი Xehophon u. Zehnt. Griechen 1805.

[2]) იხ. მისი წერილი Kardu und Kurden კიპერტის საიუბილეო კრებულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Kiρτοί“-ები ძველად ისეთივე მცარცველ და მოხეტიალე ტომთ უოფილა ცნობილი, როგორც შემდეგ ქურთები.

დაბოლოს ქურთებს მუდამ გაცილებით ფართე ტერრიტორია ეჭირათ, ვიდრე კარდუხებს.

საეურადღებოა აგრეთვე, რომ ქურთები თავიდამვე მოხეტიალე ტომი უოფილა, ქარდუელები კი, როგორც ქსენოფონტის მოწმობიდან სსანს, ლითონების გადამუშავებაში ძალიან წინ წასულნი უოფილან.

ბერძნები გაკვირვებულნი იყვნენ სპილენძის ჯურჯლის სიმრავლით, რომელიც მათ კარდუხების ქვეყანაში ჭეოვეს.

ამათი ქვეყნის გავლის შემდეგ ბერძნები ჯერ ტიგრისს მიადგენ, შემდეგ კი ეფრატის სამხრეთ შტოს, საიდამაც მათ მალე არაქსს მიადწიეს, რომელსაც, ფონის მოსაძებნად, ისინი მადლა აჭეკვენ.

აქ მათ სამი მოკავშირე ტომი გადაეღობა წინ: ქალიბები, ფარიანები და ტაოხები.

ამ ქალიბებს, რომელნიც ძველად ლითონების გადამუშავებაში თითქმის უველა მეზობლებზე განთქმულნი იყვნენ, დღეს ჩვეულებრივ იმ ქალდების ჩამოთვლებათ, თუ ნაშთებათ სთვლიან, რომელთაც მე-IX საუკუნიდამ დაწყებული ვანის ტბის მიდამოებში მეტად ძლიერი სახელმწიფო ჭქონდათ.

თვით ქსენოფონტის ცნობებიდამაც სჩანს, (როგორც კარგა ხანია მანერიტმა დაამტკიცა[1]), რომ ის ქალიბებს და ქალდელებს სინონიმებათ ხმარობს. გარდა ამისა სტრაბონის ცნობაც მოიხოვება (XI 826), სადაც იგი ამ ორ სახელს ერთმანეთს უკავშირებს.

ცხადია, რომ ეს სახელები ერთი მეორისგან წარმომდგარი უნდა იყოს. ეჭვს გარეშეა, რომ „ქალიბი“ „ქალდი“-სგან წარმომდგარა მით უფრო რომ, როგორც მანერტი გვარწმუნებს, ძველად „ქალიბის“ მაგიერ „ქალბი“ უოფილა ხმარებაში (ქალდი—ქალბი).

მაშასადამე, როგორც სახელები, ისე მათი მატარებელი ერებიც, მჭიდროთ მონათესავე უოფილან.

ჭეროდოტი რომ სრულებით არ იხსენიებს ქალიბებს, კიდევ უფრო ასაბუთებს ზემოთ შოუვანილს, რადგან ის ადარიდელები, რომელთაც იგი აგრეთვე არაქსის მიდამოებში ათავსებდა, როგორც წინათ დავინახეთ, იგივე ქალდები იყვნენ.

ქალდების სახელი დღემდისაც შენახული უნდა იყოს ერთი ოსმალური ბრიგინციის წოდებაში („ჩალდერან“).

ტაოხები უკვე კარგა ხანია, რაც დანგილმა და რენნელმა ტაოსკარს დაუკავშირეს. ამ კავშირს, რასაკვირველია, კიბერტიც ადასტურებს. რამდენადაც ვიცი სომეხთ ძველი მწერლები, ტაოსკარს სომხეთის უძველეს ბრიგინციათ სთვლიდნენ. რომ ეს აზრი საფუძველს მოკლებულია, ამას უკელაზე გადაჭრით კიბერტი გვიმტკიცებს, რომელსაც ბირადათ დაუკვლია და შეუსწავლია ეს ბრიგინციები. ის ამბობს, რომ, როგორც ტაოსკარში ისე გოგარენეში (სომხ. გუგარკ) ისე ბასიანში უძველესი დროდამ მცხოვრებთა უმრავლესობა არა სომხებს, არამედ უმთავრესათ ქართველებს ეკუთვნოდა.

ამ მხრივ მეტად საეურადღებოა ავტორიტეტიული შხრიდან მომდინარე (მაიერი, ბელკი) აზრი, რომელიც ტაოელებს ეურსმული წარწერების „დიანებს“ უკავშირებს. წარწერების მიხედვით ამ უკანასკნელთა ქვეყანა „ნაირის ქვეყნის უველაზე ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა და არსანიას ზემოთ მდებარეობდა[1]). ეს ადწერა მშვენივრათ ეხამება ჩვენი ტაორკარის მდებარეობას, რაშიაც

[1]) იხ. მისი Geographie d. Griechen u. Römer გვ. 410.

[1]) იხ. Zeitschrifft für Assyriologie XIII 1898.



ეველას შეუძლია დარწმუნდეს შესაფერი ქარტის გადახედვით.

რაც შეეხება ქსენოფონტის ფაზიანებს, ეჭვს გარეშეა, ესენი ჩვენებურ ბასიანს უნდა დაუკავშირდეთ. ეს ბასიანი, როგორც ჭაჯი კალიფას, ისე ევროპიელი მოგზაურების (ტურნეფორი, მორიე, კიპერტი და სხვ.) და აგრეთვე გახუშტის აღწერით არაქსის სათავეზე უნდა ეფოფილიეთ. კიპერტის სიტყვით მას დღემდისაც შერჩენია სახელი „ბასინი“.

შესაძლებელია, რომ ეს სახელი მდინარისგან დარქმეოდეს ამ ქვეყანას, რადგან არაქსს აქ ძველათ და ახლაც „ფაზ“-ი (ბიზინ-სუ) რქმევია, მაგრამ შესაძლებელია წინააღმდეგიც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კიპერტის მტკიცებით აქაურ მცხოვრებთა უმრავლესობა მუდამ ქართველ ტომს ეკეთვნოდა და არა სომხებს. ამას ისიც უნდა ამტკიცებდეს, რომ სომხური მცოდნე ბერძნების გზის მაჩვენებელს მათი ენა (ხვაზიანების) არ ესმოდა. ბერძნებმა დაამარცხეს შეერთებული ქალიბები, ფაზიანები, ტაოხები და რადგან სურსათი აკლდათ, შეესივნენ უკანასკნელების ქვეყანას. გაჭირებით აიღეს მათ ერთი გამაგრებული ადგილი და შემდეგ შვიდი დღის სიარულისა ქალიბების და სკითენების ქვეყნებზე მიადწიეს მაკრონების სამფლობელოს, რომელსაც შესაძლოა ჭორეხი ჭეოფდა სკითენებისგან.

ამ მაკრონებს სტრაბონი (XII 825) სანემს უკავშირებს; ბლინი—ჭენიოხებს; სულხან ბარათაშვილი—მეგრელებს; ჭაკენი-ჭეზიოდის გახსენებაც მაკროკეფალებს (გვ. 95); რენნელი არიანის მოხელონებს (გვ. 155).

არც ერთი ამ მტკიცებათაგანი არაა უეჭველებოთ მისტოგებელი, რადგან ეოველ მათგანში უნდა მოიფოგებოდეს, ჩემის აზრით, ჭეშმარიტების ნასახი. სტრაბონის მოწმობა თავის თავად საეჭვოდ ჩანს, როგორც მოწმობა უდიდესი ავტორიტეტისა; მაგრამ მის სასარგებლოთ ისიც ლაპარაკობს, რომ ორივ ამ ერის სახელწოდება ერთი და იგივე უნდა ეფოფილიეთ დასახლოვებით, რადგან ქსენოფონტის მაკრონები იქვე ბინადრობდენ, სადაც ბლინის (VI 4) აღწერით სანები იმეოფებოდნენ. თუ მაკრონები სანებია, მაშინ სულხან ბარათაშვილის დარბაზი (уравненіе მაკრონები=მეგრელები) სწორი უნდა იეოს, რადგან, როგორც ჩვენი ისტორიკოსები (ჯანაშვილი, ჯავახიშვილი) აღნიშნავენ „ზანარ“ შესაძლებელია ძველათ სამეგრელოს სახელი იეო „ზან“ ანუ „სან“-კი მეგრელის. მაკროკეფალები აღვიდი შესაძლებელია მართალა მაკრონების ძველი სახელი ეოფილიეოს. ეოველ შემთხვევაში ბირველი ბერძნული სახელი უფრო აზრიანია მეორეზე.

რაც შეეხება მაკრონების მახელონობას, ამ მხრივ საეჭვოდ ჩანს, რომ არიანი მათ იქვე ათავსებს (კოლხების გვერდით), სადაც სხვების აღწერით მაკრონები ბინადრობენ [1]).

რაც შეეხება ამ ტომის ბინადრობას, რენელის აზრით [2]), მათ ბაიბურთის ველი ეჭირათ. მანნერტი კი ბარიადრის დასავლეთ კალთებზე ასახლებს მათ [3]). ამ უკანასკნელს უნდა ეთანხმებოდეს კიპერტიც [4]).

შემდეგ ბერძნებს კოლხებთან უხდებათ შეჯახება. ჩვეულებრივ ამ კოლხებს ფაზისზე (რიონზე) მცხოვრები კოლხებისგან არჩევენ ხოლმე (Manert 424 Kiepert 94), მაგრამ სრულიად უსაფუძვლოთ ჩემის აზრით. ზემოთ მე ვეცადე დამემტკიცებია, რომ კოლხები ძველი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საერთო სახელი იეო, თუ ამას არ მივიღებთ მხედველობაში, და ბერძნებისგან ნახსენებ წვრილ ერებს გამოვაკლებთ კოლხებს, მაშინ მათგან აღარაფერი შეგვრჩება.

---

[1]) იხ. Rennell.—155 შენიშვნა.
[2]) იქვე 151.
[3]) იხ. Geogr. d. Gr. u. Röm. VI 419.
[4]) იხ. მისი Atlas antiquus.

ბერძნები, ჩემის აზრით, ორ შემთხვევაში ხმარობდენ ამ სახელს: როცა მათ სურთოო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ადნიშნა უნდოდათ, ან კიდევ, როდესაც მათ არ იცოდნენ რა კერძო სახელს ატარებდენ ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებნი. ქსენოფონტის შემთხვევა მეორე ჯურისა უნდა იყოს, მით უფრო, რომ მისი წინამორბედი სკილუსი სრულიად არ იხსენიებს ამ მიდამოებში კოლხებს. მისი აღწერით ტრაპეზუნტის გარშემო მაკრიკეთელები სცხოვრებენ. კოლხებს ანუ უფრო სწორეთ სანებს ეკუთვნოდენ (არიანი, მანერტი) ის დრილებიც, რომელნიც ტრაპეზუნტის სამხრეთით სცხოვრობდენ მთებში და რომელთა აკლების სურვილი ბერძნებს ვერ განუხორციელდათ. სანებივე უნდა ეოფილიყვნენ, მანერტის აზრით, სუბტაკომეტებიც. ყველა ზემოთ თქმულის მიხედვით მე შესაძლებლათ მიმაჩნია შემდეგი, ცოტა არ იყოს გაბედული დებულებები წამოვაყენო:

1) კოლხები—მთელი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა სურთო სახელია 2) სანი, მაკრინი, მაკროკეთელი, მახელონი და მეგრელი ძველათ მაინც, თუ შემდეგ არა, სინონიმებათ ჩაითვლებოდენ. 3) სანები შეიცავდენ დრილებსაც და სუბტაკომეტებსაც.

შემდეგი ქართველთ მონათესავე ტომი, რომელიც ქსენოფონტის აღწერაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს—მოზინოკებია. ესენი შავი ზღვის ნაპირას ბინადრობდენ, დაახლოებით კერძზუნტიდამ თანდაყიმდე. მათი ქვეყნის გადავლას ბერძენთ ჯარი შვიდ დღეს მოუნდა. თუმც—ორ დღეს აქედამ დასვენებას ათვლიან, მაგრამ ეოველ-შემთხვევაში, ეს ტომი ამ დროს ყველა მეზობლებზე ძლიერი ეოფილა. ამას ერთის მხრივ ის გვიმტკიცებს, რომ მათ ემორჩილებოდენ ზოგიერთი მეზობლები (დასავლეთის ქალიბები), და მეორე მხრივ ის, რომ, როდესაც ბერძნებმა შეუთვალეს მათ „მტრებათ გამოვიარონ თქვენს ქვეყანაში, თუ მოეგრებათო“ მათ უპასუხეს „როგორც გნებავთ, ისე მობრძანდითო“.

მოსინოკების სახელს კიპერტის მეტი თითქმის ყველა ბერძნული სიტყვა μοσυνες (კოშკი)-იდამ წარმომდგარი დიარებენ. ამათი ქვეყანა კოშკებით ეოფილა სავსე. კიპერტის აზრით კი ეს სახელი ძველი ფორმიდამ „მასნაკა“ უნდა იყოს წარმომდგარი, რომელიც ასურულ წარწერებში გვხვდება ჯერ. ამ აზრის სწორ-უსწორობაზე ვერას ვიტყვი, რადგან ვერ მივაგენ, სად და რა აზრით იხმარება ეს სახელი.

ქსენოფონტი მოზინოკების ფრიად შეომარ ერათ სახავს. მისი სიტყვით ბერძნებს ამათ მეტათ სხვისთვის ზურგი არ უჩვენებიათ. ესენი შედარებით კარგათ ეოფილან შეიარადებულნი; მათ განსაკუთრებული საომარი ტაქტიკაც კი ჰქონიათ. ესენი მისდევდენ მეზღვაურობას, მეთევზეობას და აგრეთვე მიწის მუშაობას. დაბოლოს მათ სახელმწიფოს მაგვარი ორგანიზაციაც კი ჰქონიათ.

მიუხედავათ ამ ბოზიტიური ცნობებისა მოზინოკების შესახებ, ქსენოფონტის წიგნიდამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება მათ შესახებ, თითქოს ესენი მისი მათ ქვეყანაში მისვლის წინ ამდგარიყვნენ უკანა ფეხებზე (გამოსულიყვნენ პირუტყვულ მდგომარეობიდამ).

მოზინოკების დასავლეთით ქსენოფონტი ჩვენს ძველ ნაცნობებს ტიბარენებს იხსენიებს (დაახლოებით კოტიორას მიდამოებში). ძველი კულტურისა, ან ძლიერებისა ამ ბედკრულ ერს ალარაფერი აჩნდა. იგი სკოლაქსის დროსაც იმდენად უმნიშვნელო ეოფილა, რომ დასახელებული ავტორი, მათს ტერიტორიაზე არც ერთს დაბა ქალაქს, არც ერთ ნავთ სადგურს (პორტს) არ იხსენიებს, გასაგებია ამიტომ, რომ ამათ თვით შესთავაზეს ბერძნებს ზავი და მეგობრობა.

ა. სვანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა-განათლების იდეალი

ღღევანდელი ცხოვრების ერთს უმთავრეს მისწრაფებას შეადგენს სწავლა-განათლება. ცოდნას პრაქტიკულს, ცოდნას იდეიურს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის საკეთილ-დღეოთ. სწავლა-განათლების წყურვილს გრძნობს დღეს ყოველი ადამიანი: კაცი და ქალი განურჩეველად წოდებისა და მდგომარეობისა.

ცოდნასა და განათლებას თხოულობს თვით ბუნება ადამიანისა. მეცნიერებას, ეგრეთ წოდებულ ბუნების მეტყველებას, აქვს დაუფასებელი მნიშვნელობა ჩვენი ნივთიერი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მხოლოდ ბუნების კარგად ცოდნით შეგვიძლია ავიღოთ ცხოვრებაში ყოველი ავი და შევიძინოთ სასარგებლო და კეთილი. იდეიური მეცნიერება ანუ ფილოსოფია აკმაყოფილებს ჩვენს სულიერს მოთხოვნილებას ფრიად საჭირო და საინტერესო კითხვების ასეთი თუ ისეთი ახსნა-განმარტებით.

ცოდნა-განათლებას ადამიანი უმთავრესად თვით ცოდნა-განათლებისათვის ადამიანობისათვის ეძებს. ადამიანი ვერ გრძნობს კმაყოფილებას და ბედნიერებას მხოლოთ ცხოველური ინსტიქტებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. მის ნამდვილ ადამიანურ მოთხოვნილებას შეადგენს განვითარება გონებისა, გრძნობისა და ნებისა. უეჭველია, რომ ეს მისწრაფება ადამიანისა წინ-სვლის მომასწავებელია.

ყოველი საგანი რეალური, გინდა იდეიური, ადამიანს შეუძლია მოიხმაროს კეთილადაც და ბოროტადაც. ცეცხლს, გონივრულად და კეთილად მოხმარებულს, დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. ხოლო უმეცრისა და ბოროტის ხელში ცეცხლი დიდი ზარალის მქნელია: ის სწვავს ადამიანს და ყოველსავე მის ქონებას. აგრეთვე ცოდნაც შეიძლება მოიხმაროს ბოროტმა ადამიანმა თვისი და მოყვასის საზარალოდ. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია და გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. შეუძლებელია გამართლება იმ გავრცელებული და გაზვიადებული აზრისაც, რომ ვითომ სწავლა-განათლება უკარგავდეს ადამიანს წმინდა რწმენასა და ზნეობას, უფართოებდეს და უმრავლებდეს არა საჭირო მოთხოვნილებებს და აშორებდეს მას ნამდვილ ბუნებრივ ცხოვრებას. ეს შემცდარი აზრი შედეგია იმისა, რომ ჩვენ ხშირად ვერ ვარჩევთ ჭეშმარიტ განათლებას ცრუ განათლებისაგან და ცოდნის კეთილად მოხმარებას ბოროტი მოხმარებისაგან. პირიქით, ჭეშმარიტი განათლება ყოველთვის ჰქმნიდა და ჰქმნის ადამიანს რწმენით მაღალს, ზნეობით ფაქიზს, ბუნებასთან დაახლოვებულს და მოთხოვნილებებში მცირედით კმაყოფილს. ცხოვრებაში ის არის მხოლოდ ბედნიერი, ვინც ამაოებას გაურბის და ზომიერებასა და მყუდროებაში ცხოვრობს. ამ გვარი შეხედულობა ცხოვრებაზე შეიძლება ბევრს არ მოგვეწონოს და სულ სხვაფრივ ვარჩიოთ ჩვენი ცხოვრების მოწყობა. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს შეხედულება უკვდავ ჭეშმარიტებას შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ჩვენ ხშირად ხანგრძლივი და მწარე გამოცდილების შემდეგ ვღებულობთ.

ადამიანის ნამდვილ ქონებასა და საკუთრებას შეადგენს მხოლოდ ცოდნა. სხვა ყოველ მიწიურ ქონებას მრავალი ხიფათი მოელის და ადვილად შეიძლება ადამიანმა ის რაიმე მოულოდნელი შემთხვევით დაკარგოს. ცოდნა-განათლება კი, როგორც ნამდვილი საკუთრება ადამიანისა არ ექვემდებარება ამ არა სასურველ შემთხვევებს და მასთან ადვილი მოსახმარიც არის. ამიტომაც მისი მქონე ადამიანი სრული დამშვიდებული არის თავისი საკუთრების სიკვდილამდე შერჩენით, მხოლოდ ცოდნა-განათლებით შეუძლია ადამიანს გაუმჯობესოს თავისი ნივთიერი და სულიერი ცხოვრება და დაამყაროს ქვეყანაზე შესაძლო სამოთხე. არისტოტელის სიტყვით განათლება ბედნიერებაში ადამიანის დამამშვენებელია, ხოლო უბედურებაში მანუგეშებელი არის. ადამიანს არ აქვს უფლება და შეძლება მიისაკუთროს კერძოთ ის, რაც მისის პირადის შრომითა და მეცადინეობით არ არ არის შექმნილი და რაც მის პირადობასთან მჭიდროთ არ არის შეერთებული. ყველაფერი, რაც ბუნებისაგან არის მოცემული, ან ადამიანთა შეერთებულის ძალით არის შექმნილი, უნდა დარჩეს საზოგადო კუთვნილებად, თუ ამას მოითხოვს საერთო ინტერესები, ჩვენს ნამდვილ პირად საკუთრებას კი შეადგენს მხოლოდ ჩვენ მიერ შექმნილი ისეთი ქონება, რომელიც ჩვენ „მეს“ ჩვენი პიროვნების გარეშე არ იმყოფება, ამ ნაირი საკუთარი ქონება, ვიმეორებ, არის მხოლოდ ცოდნა და განათლება.

ძველად შეცდომით ფიქრობდენ და ბევრი ახლაც ფიქრობს, რომ სწავლა-განათლებას უნდა მისდევდენ მხოლოდ მამაკაცები, როგორც ბუნებისაგან ნიჭით უფრო დაჯილდოებულნი. მხოლოდ მამაკაცები უნდა ეცნობოდენ ბუნების საიდუმლოებას და მით თან და თან აუმჯობესებდნენ თავის ცხოვრებასო. დედაკაცები კი, როგორც უფრო სუსტი არსებანი და მეცნიერების ნიჭს მოკლებულნი უნდა ატარებდენ მყუდრო ოჯახურ ცხოვრებას მამაკაცების სრულს მორჩილებაში. ასეთი შეხედულობის წყალობით ნახევარი ნაწილი კაცობრიობისა ე. ი. დედაკაცები დატოვებულნი არიან მუდმივ მონებად და უვიც ბავშვებად ბუნებისა და მამაკაცების წინაშე. მონობა და უმეცრება კი უკარგავს ადამიანს ნამდვილ ღირსებას და ბედნიერებას.

ასეთი არსებული შეხედულობა ცხოვრებაზე და ნივთიერი დამოკიდებულება ართმევს ქალებს ადამიანურ ღირსებას. მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ქალებს იქონიონ საკუთარი პიროვნება, თავისუფალი და თანასწორი ცხოვრება ერთად მამაკაცებთან, როდესაც ისინი აღიჭურვებიან ცოდნითა და განათლებით და მით შესძლებენ ატარონ ქონებრივად დამოუკიდებელი ცხოვრება.

მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ქალები არა ნაკლებ ნიჭს იჩენენ ცოდნა-განათლების შეძენაში და ბევრ საზოგადო და კერძო მოვალეობასაც მშვენივრად ასრულებენ. დღევანდელ საზოგადოებაში ხშირად ვხედავთ: ქალებს-ექიმებს, ქალებს-მასწავლებლებს, ქალებს-იურისტებს, ქალებს-ტეხნიკებს, ქალებს-ინჟინრებს, ქალებს-ლიტერატორებს და სხვათა. ქალები ასრულებენ სამსახურს კანტორებსა, კანცელარიებში და სხვა და სხვა დაწესებულებებში. ქალი მშვენივრად სწავლობს და იყენებს ცხოვრებაში ყოველგვარ ხელობას. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვე-

ნებს, რომ დედაკაცები საკმარისად არიან ბუნებისაგან დაჯილდოებულნი ნიჭითა და შეძლებით. საჭიროა მხოლოდ, რომ ქალებიც ისე თავისუფლად სწავლობდენ და ვითარდებოდენ, როგორც მამაკაცები. ეს აზრი დღეს უკვე შეგნებულია და ქალთა სწავლა-განათლება დღითი-დღე იზრდება. ეს ყველასათვის სასიამოვნო მოვლენა ჰფანტავს იმ ცრუ შეხედულობას ქალების ნიჭისა და მდგომარეობის შესახებ, რომელიც დღემდე კიდევ არის გავცელებული და გამოჰყავს ქალები მამაკაცებთან ერთად სამოქმედო ასპარეზზე.

აქ უნდა შევნიშნო, რომ სქესიური განსაკუთრებული განსხვავება და დანიშნულება დედა-კაცისა ჰქმნის მას სუსტად ზოგიერთს შემთხვევებში მამა-კაცებთან შედარებით. მაგრამ სამაგიეროთ სხვა ზოგიერთს შემრხვევებში იგივე სქესიური განსხვავება და დანიშნულება აძლევს დედა-კაცს ძლიერებასა და უპირატესობას მამა-კაცის წინაშე. ამ შემთხვევებში კაცი და ქალი ავსებენ ნიჭსა და ძალას ერთი მრთელი ადამიანისას. სადაც ქალი სუსტია, იქ კაცი არის ძლიერი; ხოლო სადაც კაცი არის სუსტი, იქ ქალი არის ძლიერი. ამიტომაც ხშირად რაიმე დიდი საქმის შესრულებისათვის საჭიროა შეერთებული ძალა მამაკაცისა და დედაკაცისა.

სწავლა-განათლების წყურვილს საზოგადოების მომწიფებული წევრები სხვა და სხვა გვარად იკმაყოფილებენ. უმეტეს ნაწილად კი ყოველთვის კეთილ აზრს საზოგადოება ანვითარებს და ახორციელებს მოზარდი თაობის საშუალებით. ეს მოზარდი თაობა ე. ი. ბავშვები შეადგენენ ერთ-ერთს ზემოთა საფეხურს კაცობრიობის დაუსრულებელის კიბისას. აი ამ მოზარდს თაობას, ნორჩ ბავშვებს უნდა ვაძლევდეთ სრულს საშუალებას, გზა ფართოს სწავლა-განათლების შესაძენად. ბავშვებზე უნდა გარდავიტანოთ ყოველი ჩვენი იდეალი გასადიდებლად და განსახორციელებლად. ამას გვავალებს ჩვენ ინტერესები ჩვენი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და უკვდავებისა. ადამიანი, როგორც ყოველი არსება, მომაკვდავი არის. ამისთვის მიწიერ უკვდავებას ინახავს შთამომავლობის საშუალებით. მშობლები ბუნებრივათ, ინსტიქტიურად უტოვებენ თავიანთ შვილებს ყოველ თავის ქონებას და მათ მომავალი წარმატებაში პოულობენ ბედნიერებასა და უკვდავებას. მშობლები შვილების და საზოგადოება მომავალი თაობის კეთილდღეობაში და წარმატებაში ხედვენ თავის ნამდვილ დანიშნულებას, როგორც ამბობს ხალხური თქმულება: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

აქედან ყველასათვის ცხადია ვის ვალდებულებას შეადგენს შვილებისა და მოზარდი თაობის აღზრდა და მათი ცოდნა-განათლებით აღჭურვა. მშობლების და საზოგადოების ვალია ბავშვების გამცოდინარება და განათლება. მშობლები, როგორც მიზეზნი შთამავლობის შექმნისა, ვალდებულნი არიან ზნეობრივადაც და იურიუდულადაც იზრუნონ შვილების საუკეთესო აღზრდისა და მდგომარეობისათვის. მშობლიური ინსტიქტი შვილების აღზრდისა ყოველ ცოცხალ არსებას აქვს ბუნებისაგან მიცემული და ამ ვალდებულებას ის შეგნებულად თუ შეუგნებლად რამოდენიმედ ასრულებს. ადამიანისათვის კი ამ ბუნებრივ მიდრეკილებას ემატება კიდევ კულტურულ-ზნეობრივი მოვალეობაც, რისთვისაც ადამიანი ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულია დროისა და მოთხოვნილების შესაფერი აღზრდა მისცეს თავის შვილებს.

ასეთივე ვალი აქვს საზოგადოებასაც ბავშვების აღზრდასა და განათლებაში. საზოგადოება უნდა ცდილობდეს თვითეული თავისი წევრი, რაც შეიძლება, მეტი კეთილ-აღზრდილი და უზრუნველ ყოფილი იყოლიოს. საზოგადოება უნდა აიძულებდეს და ეხმარებოდეს მშობლებს შვილების აღზრდაში. მას უნდა ახსოვდეს, რომ დღევანდელი ბავშვი საზოგადოების მომავალი წევრი იქნება, რომლის ავ-კარგიანობაზეც იქნება დამოკიდებული საზოგადოების მომავალი ბედნიერება და კეთილ-დღეობა. თუ თვითეული პირი განათლებული და ბედნიერი არის, იმათგან შემდგარი საზოგადოებაც განათლებული და ბედნიერი იქნება. ხოლო თუ საზოგადოების შემადგენელნი წევრნი, თუ გინდ რამოდენიმე, უვიცი, უზნეო და უკულმართი არიან და ცხოვრებით იტანჯებიან, მაშინ იმათგან შემდგარი საზოგადოებაც უკულმართი და უბედური იქნება. ხშირად არა თუ რამდენიმე, არამედ ერთი აღუზრდელი და განუვითარებელი წევრიც საკმარისია, რომ დიდი და განათლებული საზოგადოების მშვიდობიანობა და ბედნიერება დაარღვიოს და ჩირქი მოსცხოს საზოგადოების განათლებას და ზნეობას. ყველამ ვიცით რა მძიმე უღლად აწევს საზოგადოებას ქურდები, ყაჩაღები, მაწანწალა მთხოველები და უვიცთა გროვა. ეს ნაკლოვანება პირადი და საზოგადო ცხოვრებისა შედეგი არის უმთავრესად მოზარდ თაობის ჩვენ მიერ ცუდად აღზრდისა და მით საზოგადოებისათვის მავნე წევრთა შექმნის. L' homme est tout education: ადამიანი მთლათ აღზრდის ნაყოფი არისო, ამბობს ჰელვეციუსი.

რა აიძულებს ადამიანს ბოროტების ჩადენას და რიგორი საშუალებით შეიძლება ამ ბოროტების თავიდგან აცილება? ამ კითხვას გადაჭრით ვუპასუხებ: მხოლოდ ერთად ერთი სულიერი და ნივთიერი სილატაკე, უვიცობა აიძულებს ადამიანს ბოროტების ჩადენას. ამისათვის უტყუარი და საუკეთესო საშუალებაც ამ ბოროტების მოსასპობათ არის თვითეული ადამიანის ცოდნითა და განათლებით აღჭურვა. მშობლები, საზოგადოება და ყოველი შეგნებული პირი ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ ბავშვების რიგიანად აღზრდასა და ყოველი დახმარება აღმოუჩინონ მათ, თუ სურთ თვითონ და მომავალი თაობაც იქმნენ ნამდვილი ბედნიერნი, ჭეშმარიტი გზის მცოდნენი და მასთან აიცილონ თავიდგან სასტიკი პასუხის მგებლობა სინდისისა და კაცობრიობის წინაშე.

ჩვენ მხოლოთ მისთვის ववერთდებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომ ასეთი შეერთებული ძალ-ღონით უფრო კარგად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. ამიტომ კეთილსა და გონივრულ საზოგადოებაში არავითარ ექსპლოატაციას და სიბეჩავეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ღარიბები და მთხოველები, ყაჩაღები და ქურდები, სნეულნი და გარყვნილნი—ეს საზოგადოებისაგან დაჩაგრულნი და უყურადღებოთ დატოვებულნი წევრები არიან. განა საურთიერთო შორისო განწყობილება და თანაგრძნობა არის იმ საზოგადოებაში, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ მთხოველებს, ბოროტ მომქმედებს, სნეულებს და გარყვნილებს? განა შეგვიძლია კეთილი უწოდოთ იმ საზოგადოებას, რომლის წევრები სიმში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, სიცივით, უვიცობით და უსაქმობით იტანჯებიან, რის გამოც ხშირად თვითმკვლელობით ათავებენ თავიანთ სიცოცხლეს?

რომ ყველა საზოგადებრივი უკეთმართობა მოისპოს, საჭიროა პირველ ყოვლისა მოზარდი თაობის რიგიანათ აღზრდა. ბავშვები ეკუთვნიან საზოგადოებას, როგორც მისი მომავალი წევრები. ამიტომ უნდა მოისპოს მშობლების მიერ ბავშვების კერძოთ მისაკუთრება, შენ-ჩემობა აღზრდის საქმეში. საზოგადოებას ნება აქვს და მისი წმინდა მოვალეობა არის, როგორც შეძლებული ისე შეუძლებელი მშობლების შვილები თავისი მხედველობისა და მზრუნველობის ქვეშ აღზარდოს. ბავშვებში ჩვენ უნდა ვხედავდეთ საზოგადოების მომავალ ძალასა და ბედნიერებას და ამიტომ ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვზრუნავდეთ თვითეული ბავშვის საუკეთესოდ აღზრდისათვის. მხოლოდ ბავშვების ასეთი აღზრდით ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ცხოვრებაში ნამდვილი ტიპები ფიზიკური ძლიერებისა და მშვენიერებისა, გონებრივი სიმაღლისა და ზნეობრივი სიწმიდისა. მხოლოდ ასეთს თაობას შეუძლია დაამყაროს ქვეყნად პირადი და საზოგადო ბედნიერება. ბავშვების აღსაზრდელ საშუალებას მოწყალება კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ საზოგადოება თვითეულს თავის წევრს სქესიურად მომწიფებულს (სქესიურს ასაკში შესრულს) უნდა ახდევინებდეს განსაზღრულ გადასახადს ბავშვების აღსაზრდელად, მიუხედავად იმისა ცხოვრობს ის ქორწინებაში თუ არა და ჰყავს მას პირადად შვილები თუ არა *). ამ პრინციპის მიხედვით საზოგადოება ერთგვარი ყურადღებით უნდა ზრდიდეს როგორც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს, ისე ქორწინების გარეშე დაბადებულებს.

აქვსთ თუ არა ბავშვებს უფლება მოსთხოვონ საზოგადოებას და მშობლებს თავიანთვის რიგიანი აღზრდა დროისა და საჭიროების მიხედვით? სამართლიანად უნდა ვსთქვა, რომ ბავშვებს აქვსთ ამისათვის ყოველგვარი უფლება. მათი ასეთი უფლება ბუნებრივი და ხელშეუხლებელია. ყოველი ახალი და ნორჩი აღმოცენებულია ძველისა და დანგრეულის ნიადაგზე. ახლად დაბადებული იზრდება და ვითარდება თავისი წარმომშობის ქონებითა, ძალითა და სიყვარულით, სისხლითა და ხორცით. ჩვენ ცოცხალი ვართ ჩვენი წინაპრების დაუძლურებითა და სიკვდილით. ჩვენი მომავალი თაობა ცოცხალი იქნება ჩვენის სიკვდილით. ვინაიდგან ბუნებრივად სიკვდილისაგან სიცოცხლე წარმოსდგება და სიცოცხლისაგან სიკვდილი და ყოველი ახალი შენდება ძველის ნანგრევზე და საზრდოობს მისის ნიადაგით, თავისთავად ცხადია, რომ ბავშვებს აქვსთ განუსაზღვრელი უფლება აღიზარდონ და განვითარდენ საზოგადოებისა და მშობლების ყოველ გვარი შეძლებითა და ძალ-ღონით. ბავშვების ბედნიერება საზოგადოების და მშობლების ბედნიერებას უნდა შეადგენდეს და ამიტომ უკანასკნელნიც მხოლოდ ამისათვის უნდა ზრუნავდენ. ბავშვებს მშობლები და საზოგადოება უნდა უყურებდენ როგორც მიზანს თავის ცხოვრებისას და არა როგორც საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია არ შევქმნათ ქვეყ-

*) საზოგადოების თვითეული წევრი კი უნდა საკმაოდ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებისაგან შრომითა და შრომის სასყიდლით.

ნად ცოცხალი არსება, ვიდრე დაბადებულს არ მივსცეთ კანონიერი და საჭირო საშუალება თავისი სიცოცხლის აღზრდისა, განვითარებისა და ბედნიერებისათვის.

შვილებს კი ევალებათ მშობლებისა და საზოგადოებისადმი პატივისცემა და სამსახური იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ბუნებრივი დედმამის შვილური სიყვარული, საერთო კაცთმოყვარული განწყობილება და პირადი დავალებანი. შვილი მუდმივი თანამგრძნობი, მადლიერი და შემწე უნდა იყოს თავისი კეთილი მშობლებისა და საზოგადოებისა, რომლებმაც მისცეს მას სიცოცხლე და დააყენეს ცხოვრების ჭეშმარიტსა და ბედნიერს გზაზე.

გიორგი მეფარიშვილი.

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

IX

უველა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ ლაპარაკს, სიმღერას, ხმაურობას და სხვას ჩვენ ვისმენთ ყურით, მაშ ჩვენი სმენის ორგანო არის ყური.

ყურს შემდეგი ნაწილები შეადგენენ: გარეთა ყური, რომელსაც ეოვედი ჩვენგანი კარგათ ხედავს. მას ძირში ჩასდევს გამოხვრეტილი ადგილი, რასაც ყურის გარეთა მილი ეწოდება. ამ მილის ბოლოში არდიგარდ გადაკრულია აპკი, რასაც ყურის აპკი ეწოდება. აპკაზე მოდებულია ჩაქუჩსავით მოყვანილი პატარა ძვალი, ყურის ჩაქუჩი, რაც მეორე თავით ერთ პატარა ძვალს ეხება რომელსაც გრდემლი ქვია. ეს უკანასკნელი მიმბუდია უზანგივით გამოჭრილ ძვალზე, რასაც უზანგს უწოდებენ. ამის შემდეგ იწყება ყურის შიგნითა მილი, რაც თან და თან ლოკოკინის ხოკერსავით დახვეულ მილში გადადის; ამას ლაბირინტო ეწოდება და ერთნაირის სითხითაა სავსე. აქ იწყება სმენის ნერვის წვრილწვრილი ტოტების ბოლოები, რაც შემდეგ თან და თან ერთდებიან და სმენის ნერვათ ქცეულნი დიდ ტვინში დათავდებიან.

როდესაც ჩვენ რაიმე ხმა გვესმის, ჩვენ გარშემო ჰაერი მოძრაობაში მოდის, მისი ტალღები ეხეთქებიან ჩვენს გარეთა ყურს, ჩერდებიან. და ყურის მილისაკენ შვებიან პირს. ყურის ჭიდში ჩასული ჰაერის ტალღა აწვება ყურის აპკს და მოჰყავს იგი მოძრაობაში. ამის გამო ინძრევა ყურის ჩაქუჩიც, ეცემა გრდემლს და არეკავს იმას. ამ უკანასკნელს მოძრაობაში მოჰყავს უზანგი და შემდეგ მათი საერთო მოძრაობისა გამო ინძრევა ლაბირინტში მოთავსებული სითხე, რაც ადიზიანებს სმენის ნერვის წვერებს. მათგან ეს გადიზიანება ტვინთან მიირბენს და იქ, სმენის ცენტრში, ამა თუ იმ გრძნობათ გამოიხატება... ამას გარდა ყურის ლაბირინტში მოთავსებულ სითხეს ჩვენთვის სხვანაირი მნიშვნელობაცა აქვს. მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია თავი და მთელი სხეული სწორა დავიჭიროთ და ადვილად გამოვერკვიოთ სხვა და სხვა საგნების ადგილ-მდებარეობაში.

სმენის და მხედველობის გრძნობის გარდა, ადამიანს კიდევ აქვს: უნოსვის, გემოვნების და შეხების გრძნობა. უნოსვის ორგანოთ ცხვირი ითვლება. ცხვირში ბლომათ არის გაფანტული ტვინიდგან მომავალი უნოსვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნერვის პაწაწკინტელა ტოტები, რომელთა გაღიზიანება ტვინში ამა თუ იმ სუნნელების გრძნობით აღიბეჭდება.

გემოვნებას ვღებულობთ პირში, საღაც განსაკუთრებით ენის წვერზე და სასაზე ბღოლთა არის დაქსელული გემოვნების ნერვების ბოლოებით. ამათაც ნაგრძნობი ტვინამდე მიაქვთ.

უნოსვას და გემოვნებას ჩვენთვის მარტოის მნიშვნელობა კი არა აქვთ, რომ სუნნელება, გინდა გემო გაგვაგებინონ. იგინი აგრეთვე იფარგენ სხეულს სხვა და სხვა საშიშრობისაგან. ჩვენ ვუნოსავთ, ან ვიგემებთ, და თუ რისმე სუნი ან გემო არ მოგვწონა, იმას შორს ვისვრით, ვერიდებით, საჭმელსასმელად არ ვღებულობთ და ამითი თავს ჩვენდა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც თავს ვიფარავთ, რადგან, ყველაფერი, რასაც ცუდი სუნი უდის, და ცუდი გემო აქვს, (მაგ. დამპალი ხორცი) მავნებელია ჩვენთვის. ასეთ დამპალ სანოვაგეში ადვილად იბუდებს და მრავლდება ადამიანის დაუძინებელი მტერი მიკროორგანიზმები, რომლებიც თუ ადამიანის სხეულში ჩავიდა, იწვევენ ნაწლევების ამღიღობას და სხეულის დაავადებას.

უკანასკნელი გრძნობა, გრძნობა შეხებისა, მოთავსებულია მთელი სხეულის კანში, რომელსაც სხვა და სხვა ადგილის სხვა და სხვა ნაირი მგრძნობელობა აქვს. ეს გრძნობაც, როგორც ყველა ზემო ჩამოთვლილი, ამდიდრებს ჩვენს ტვინს, გონებას, ეხმარება რა მას ჩვენს გარეშე ქვეყნის კარგად გაცნობასა და შესწავლაში, იფარავს ჩვენს სხეულს სხვა და სხვა საშიშრობისა და ვნებისაგან. მაგ. მისი საშუალებით ჩვენ ვეცნობით საგნების ასეთ თუ ისეთ სახე-მოყვანილობას, და თვისებას, შემდეგ ვერიდებით ისეთებს, რომლებიც, შეხების დროს, ჩვენში ტკივილებს იწვევენ, მაგ. წვეტიანი რამ, ეკალი, ცეცხლი და სხვა. რომელ თქვენგანს არ უნახავს პატარა ბავშვი, რომელიც ცეცხლს მანამდის არა ერიდება, სანამ ხელით არ იგრძნობს მის სიმწარეს!..

ამ ნაირად ხუთივე გრძნობა, ცალცალკე და ყველა ერთად შეთანხმებით ხელჩაკიდებულნი, ამდიდრებენ ჩვენ სულიერ ცხოვრებას და ეხმარებიან ჩვენს სხეულს მედგრათ შეხვდეს და გაუმკლავდეს იმ ბრძოლას, რომელსაც აწინდელს ენაზე არსებობისათვის ბრძოლა ეწოდება!..

ექიმი **ევ. გ. ლოსაბერიძე.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1816—1845 წ.)

ცხოვრების აღწერითი ცნობები

I.

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი 1816 წლის 22 ნოემბერს დაიბადა, ქალ. ტფილისში. მისი მამა მელიტონი მკაცრი ხასიათის კაცი იყო და დამახასიათებელი იყო ქართველ თავად-აზნაურობის იმ წარმომადგენელთა, რომელთაც რუსის მთავრობის საქართველოში დამყარების შემდეგ, ახალი ცხოვრების მხოლოდ გარეგნული მხარე შეითვისეს და შეცურეს ამ ცხოვრების ტალღებში. ეს გარემოება მოითხოვდა უზომო ხარჯებს, და უზომო ხარჯების გაძღოლას კი დიდძალი ფული სჭირდებოდა. მან გამოიწვია ის თვალსაჩინო პროცესი, რომელსაც თავად-აზნაურობის თანდათანობითი ნივთიერი გაღატაკება ეწოდება და რომელმაც ეს წოდება, როგორც ცალკე წოდება, ძველად დიახ სახელ მოსილი, წოდებრივ ელფერის და უპირატესობის დაკარგვის უფსკრულისკენ გააქანა. მელიტონ ბარათაშვილი ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად რამდენჯერმე აირჩიეს... მასთან საქმე და კავშირი ჰქონდა მაზრის და თვით ტფილისის თავად-აზნაურობას. ამ გარემოებამ მელიტონის ნივთიერი დაქვეითება გამოიწვია, რადგანაც მას, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლს, დიდძალი ხარჯი სჭირდებოდა. მელიტონი საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო. იცოდა კარგად ქართული მწერლობა და განთქმული იყო თავის მჭერმეტყველობით. მელიტონის სახლში თავს იყრიდენ ქართველი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები და მათ შორის მღვდელი ეგნატე იოსელიანიც, ცნობილი თავის განათლებით, მამა მწერლის პლატონ იოსელიანისა. მასთან ძლიერ ხშირად დადიოდა პოეტი ალ. ჭავჭავაძეც... მელიტონს ქართველი თავად-აზნაურობა დიდ პატივს სცემდა. პოეტის დედა ეფემია დიმიტრის ასული, იყო შესანიშნავი პოეტის გრიგოლ ორბელიანის უფროსი და, რომელიც ითვლებოდა მშვიდ, წყნარ, გულკეთილ და ლმობიერ ადამიანად. ეფემიას თავის დროის შესაფერი საკმაო განათლება ჰქოდა მიღებული და არ შეიძლება თავის შვილს ტატოზე (ასე ეძახდენ პოეტს) შესაფერი გავლენა არ ჰქონებოდა... სიბავშვეში ტატო შთაბეჭდილებათა და ცოდნის მოყვარე იყო. შვიდი წლის ტატო მშობლებმა მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში (ტფილისში), სადაც ოთხს წელიწადს სწავლობდა. ამის შემდეგ 1827 წელს პოეტი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პანსიონში გადაიყვანეს. ეს სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად (დღეს პირველი გიმნაზია) გადააკეთეს. ბუნებით ნიკოლოზ ბარათაშვილი ნიჭიერი, ანცი, ოხუნჯი, და მოუსვენარი ბავშვი იყო. სიცელქის გამო ერთხელ სასწავლებლის კიბიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოვარდა და ორივე ფეხი დაიშავა. კარგად სწავლობდა და სასწავლებლის კურსიც დაამთავრა 1835 წელსა. სასწავლებელში კურსის დამთავრების შემდეგ სამოქალაქო სამსახურში შევიდა და სამაგალითო მოხელედ ირიცხებოდა. პოზენი, რომელმაც მოახდინა ქალ. ტფილისის სამოქალაქო დაწესებულებათა რევიზია, აღტაცებული დარჩა ნიკ. ბარათაშვილის გამო და მის შესახებ სამხედრო მინისტრსაც კი მოახსენა... შემდეგშიც სამსახურში დიდს მუყაითობას ისენდა.

მოვიხსენოთ თვითონ პოეტს თავისივე ბედიღბლის შესახებ: „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი შევასრულე და ვიმყოფები „სუდა ი რასპრავაში“*). წარდგენილი ვარ ჩინზე და ჩქარადაც მოველი, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური. ჩემი სურვილი იყო **ჯარის კაცობა**, მაშ რაღამ დამიშალა, თუ ჩემი სურვილი იყო? ჩემთა მშობელთა მიზეზი. ეს მომიდვეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ **ჩემებურათ კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ**. ვთხოვე უნივერსიტეტში გაგზავნა. არც ეს შემისრულეს. უბედურობისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფობის გამო ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო! ხომ ხედავ საქმის გარემოებას, იქნებ მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებისაო, შენს სახლს არ უპატრონებო?.. დავრჩი ისევ ჩემს მამულში. გავნწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა. თუმცა ხანდისხან **დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას. ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილების აღსრულება**... რადგან ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი სკოლაა; ეს არის, რომ кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности, მაგრამ ესეც თავისზე არის დამოკიდებულიო... (წერილი გრ. ორბელიანისადმი 1837 წ.). ზემო ხსენებულს დაწესებულებაში პოეტი მსახურებდა 1835—1844 წლებში. თუმცა სამაგალითო მოხელე იყო. მაგრამ სტოლის უფროსობის მეტი თანამდებობა ვერ მიიღო... მისი ოჯახი ნივთიერად მასზე იყო დამოკიდებული. ტფილისში პოეტი დადიოდა სხვა და სხვა წრეებში. საზოგადოებრივნი გასართობნი იმ დროს ტფილისში არ არსებობდენ; არ იყო არც „საკრებულონი“, არც თეატრები,—და ძველი ამხანაგები დროს ატარებდენ ხან ნ. ბარათაშვილის სახლში—და ხან თავ. ლ. ი. მელიქიშვილისას, რომელიც პოეტის ნათესავი იყო. შინაური წვეულებანი, ცეკვა, ბანქოს და ნარდის თამაში,—მთავრიან ღამეებში ტფილისის ბაღებში სეირნობა,—აი რით ირთობდა თავს მაშინდელი ახალთაობა. ნ. ბარათაშვილიც საზოგადოებაში გართული იყო. ჩვენებურს საკრავებზე: თარსა და ჩონგურზე დაკვრა-დამღერება მშვენივრად იცოდა. უყვარდა ოხუნჯობა, სიტყვა-მახვილობა და გესლიან ეპიგრამების თხზვა, რის მეოხებით ბევრჯერ უსიამოვნებაც შეხვდა.

*) იმ დროინდელი უმაღლესი სამმართველო საქართველოში ასე ეწოდებოდა: „Экспедиція суда и расправы верховнаго грузинскаго правительства“.

გიორგი ერისთავს თავის პოემაში: „შეშლილი“ ჰყავს გამოყვანილი ერთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, რომელსაც ქალები მეჭორეს ეძახიან... ერისთავმა მეჭორეს სახით ნიკ. ბარათაშვილი გამოიყვანა... ცნობილია, რომ ერთხელ ხუმრობის გამო „ორთა ბრძოლა“ კი მოუხდა პოეტს თავის ბიძა ილია ორბელიანთან. ეს ორთა ბრძოლა სასაცილოდ გათავდა: არც ერთს მხარეს სასროლში ტყვია არ ჰქონია, მშვიდობით გათავდა აგრეთვე პოეტის ხუმრობა პლ. იოსელიანზე, რომელიც იყო ღვთის მეტყველი... მას რუსულად უწოდა პოეტმა; „Богъ ословъ“. პოეტის სულიერი ბუნება ამის და მიუხედავად უწმიდესი იდეალებით და წმინდა გრძნობებით აღსავსე იყო. ის დიდ ყურადღებას აქცევდა საფილოსოფიო და სალიტერატურო საკითხების კვლევა-ძიებას. ხშირად ამხანაგთა კრებაში იმართებოდა კამათი საისტორიო და საფილოსოფიო კითხვებზე,—რომელშიც მხურვალე მონაწილეობას ნიკ. ბარათაშვილიც იღებდა. პოეტს აინტერესებდა საზოგადოთ საქართველოს ისტორია და განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის მეთვრამეტე საუკუნის ისტორია... მან პლატ. იოსელიანთან ერთად კიდეც განიძრახა საქართველოს ისტორიის შედგენა,—მაგრამ ამ განძრახვის შესრულებას მასალათა უქონლობის გამო თავი დაანებაა... საქართველოს ისტორიის შესწავლის სურვილმა ძლიერი გავლენა იქონია პოეტზე („ბედი ქართლისა“). ის დიდის სიხარულით ეგებებოდა ქართველ საზოგადოების ყოველ ახალს ლიტერატურულ მოვლენას, საზოგადოების გამოფხიზლება—თვით გამორკვევასთან შეერთებულს. აი რას სწერს ის თავის ბიძა გრიგოლ ორბელიანს: „ლიტერატურა ჩვენი დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდამ, მყუდროობაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიც ძალ-უძსთ. ეს საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილ კაცთა შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინავთ გონებით“... (წერილი 1841 წლ.) მეორე წერილში ის ამბობს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. ყიფიანმა გადმოთარგმნა. Ромео и Джуліета შექსპირის ტრაგედია და მე ვთარგმნე Юлій Тарентскій ტრაგედია ლეიზვიცისა...*) „—ო. მაგრამ ამ მის მიერ ნათარგმნს ნაწარმოებს და სხვა ზოგიერთს მის ნაწერებს და მათ შორის პოემას: „ივერილნი“, რომელიც ჯერ კიდევ სასწავლებლის კედელ შორის დასწერა, და რომელიც საქართველოს XI—XII საუკუნის ისტორიას შეეხებოდა, ჩვენამდის არ მოუღწევია... 1844 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი დანიშნეს ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო 1845 წელს იგი გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე ქალ. განჯაში... ამავე დროს იმის მამას, მოხუცებულს და დავალიანებულს, მამულები მთლად გაუყიდეს... ოჯახის ნუგეშად შვილი ნიკოლოზი-ღა დარჩა. მაგრამ პოეტს განჯის მაზრაში მისვლა-მოსვლის გამო ჭაობის ცივება დასჩემდა, რამაც 1845 წელს 9 ღვინობისთვეს ბოლოც მოუღო. პოეტი გარდაიცვალა უცოლშვილო 29 წლისა. ის დაასაფლავეს განჯის მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში.

---

*) ი. ა. ლეიზევიცი (1752—1806) იყო ნემეცთა მწერალი. მისი ზემოდ ხსენებული ტრაგედია, თუმცა სამაგალითო ნაწარმოებად ითვლება, მაგრამ მაინც ეტყობა ლესსინგის (1723—1781) დრამების გავლენა.

ჯერ კიდევ რამდენადმე პოეტის დროის შეგნებულ ქართველებს ესმოდათ მის ნაწერებში გატარებული ქართველთა წარსული და თანამედროვე ცხოვრების მიერ დაყენებული პოლიტიკურ-სოციალური საკითხები, განშუქებული მსოფლიო ელფერით. პოეტის ამხანაგი, მისი დეიდაშვილი, შემდეგში ცნობილი ღენერალი ლევან მელიქიშვილი, სწერდა გრიგოლ ორბელიანს პოეტის გარდაცვალების შესახებ: „სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმო დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისი **გამთბარი სულით და გულით გვაერთებდა ადამიანებთან, ამ უძლურ და ბოროტს ქმნილებებთან.** სამძიმოა სულით დაობლება. მარტო მე არ დამიკარგავს ეს დასაკარგი. საქართველომ დაჰკარგა **იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ახალგაზრდა კაცი, სავსე მშვენიერი და ბრწყინვალე ნიჭით,** რომლისგანაც გამოელოდა მეტს, ვიდრე რომელიმე სხვა ეხლანდელი ახალ-გაზრდა შვილისაგან... ქართველებმა მასში დაჰკარგეს ერთი საუკეთესო თანამოძმეთაგანი“... მაგრამ პოეტის თანამედროვე ქართველები ჯეროვნად მაინც ვერ აფასებდენ იმის დიდებულს ნიჭსა: ის მოკვდა სიღარიბეში... ახლო ნათესავები მხოლოდ ცარიელ სიტყვით თუ ანუგეშებდენ პოეტს, თორემ საქმით ყურადღებას არ აქცევდენ. ამ გარემოებამ ათქმევინა პოეტს შემდეგი მწარე სიტყვები: „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავური გრძნობაო. ამაოდ სწერს პოეტი გადაკვრით გრიგ. ორბელიანს — იშვილოს იგი, დაეხმაროს **ნივთიერად** და ამით **გაჭირვებიდან დახსნას:** „ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არ აქვს შორს-მხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად... **მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისკენ,** გული მეუბნება: **ნუ გძინავს!** მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავადგე გაშლილს ადგილს. ოჰ! რა თავისუფლად აღმოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა... მაშინდელმა ქართველობამ ღირსეულად ვერ დაფასა უდროოდ მიცვლილი მგოსანი. ისიც კი ვერ მოახერხა, რომ გულდამწვარი მშობლების სანუგეშებლად, მისი გვამი განჯიდან ტფილისში გადმოესვენებია... მაშინდელ არისტოკრატების უმრავლესობას ამისთვის არ ეცალა: ის გართული იყო უფრო თავის კერძო ინტერესებისადმი სამსახურში. ვიცით, რომ ხელის მოწერა გამართეს და 17 კაცმა ხუთს დღეში 1000 მანეთი შეაგროვეს განსვენებული მგოსნის ლექსების დასაბეჭდად, მაგრამ არ ვიცით, რა მოუვიდა ამ ფულს—შესაძლოა საქმე უბრალო დაპირებით გათავდა და ფული არავინ შეიტანა!.. პოეტის ლექსები დაბეჭდეს ეღირსენ ერთს კრებულად მისი გარდაცვალებიდამ მხოლოდ ოცდაათი წლის შესრულების შემდეგ... 1893 წელს 23 აპრილს ქართველობამ ნ. ბარბოთაშვილის ნეშტი დიდის ამბით გადმოასვენა განჯიდან და დაკრძალა ტფილისის დიდუბის ქართული ტაძრის ეზოში... დაკრძალვის დღეს მრავალი სიტყვა წარმოითქვა ქართულს, სომხურს და რუსულს ენაზე. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო ეროვნობის და სარწმუნოების განურჩევ-

ლად. 1905 წელს 9 ღვინობისთვეს მის საფლავს ქართველმა საზოგადოებამ ძეგლი დაადგა.

ნ. ბარათაშვილის ლექსები.

ლექსთა გარჩევის ლიტერატურა

ნ. ნიკოლაძემ პოეტის შესახებ 1876 წელს „Тифлисскій Вѣстникъ"-ში დაბეჭდა შემდეგი წერილი. „1852 წ. — სანამ ქართული პირველი ჟურნალი „ცისკარი" დაარსდებოდა, ნ. ბარათაშვილის ლექსები ხელ-ნაწერებით ვრცელდებოდა მკითხველთა შორის. შემდეგში ეს ლექსები იბეჭდებოდა ქართულს ჟურნალებს: „ცისკარსა", „საქართველოს" მოამბე-სა „მნათობსა" და „კრებულ"-ში, დროგამოშვებით... ნ. ბარათაშვილის მოსიყვარულე სული, ბედზე ჩივილი და კაცობრიული იდეალებისაკენ მისწრაფება, სულ არ ეთანხმება წინანდელი დროის ქართულ პოეზიას, რომელიც მხოლოდ სილამაზესა და სიყვარულს დამღეროდა. მისი ლექსები ისეთი აზრით და გრძნობით არის დაწერილი, ისეთი ძლიერი სიტყვებითაა გამოთქმულ-გამოხატული, რომ ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს. თითქმის სულმნათის რუსთაველის შემდეგ ვერც ერთმა ქართველმა პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რომ პოეზია მხოლოდ სატრფიალო და ქალის სიყვარულის გამოსაკვანძად არ არის გაჩენილი... არც ერთს, გარდა დ. გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოეთქვა ლექსებით ცხოველი აზრი თავის დროის ცხოვრების სხვა და სხვა საგნებზე. ცხადია ამის შემდეგ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთს ნიჭიერს პოეტს, რომელმაც პირველად გაბედა გაემსჭვალა თავისი ლექსები დროჟამის ცოცხალი მოტივებით და გამოეთქვა მაშინდელ კაცთა გუმანი, გულის ნადები და მისწრაფებანი. იმისი ლექსები ისე ტკბილ ხმოვანია და ენერგიული, რომ იმათი მსგავსი წინეთ არა დაწერილა რა ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა, ძლიერი და მკვეთრია. ბარათაშვილის ლექსები გარეგან ფორმით წლითი წლობით უკეთესდებოდა და ძლიერდებოდა.

ხომლელი სწერს: „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული პოეზია იმდენად გაიზარდა და შემუშავდა, რომ თავისუფლად და თამამად წამოაყენა ნიჭითა და კაცმოყვარული გრძნობებით სავსე პოეტი ნიკ. ბარათაშვილი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ბედ-იღბალი შეიცვალა... იმ დროს უფრო გადამეტებული ნაწილი საზოგადოებისა თავისუფლად მიეცა მამა-პაპათა ქონების გაფლანგვას... და პოეზიაში ეძიებდა თავის გამართობელსა და მდაბალი გულისთქმათა შესაფერ სურათებს. ნამუს ახდილსა და უაზრო მხიარულების გამოხატვას. მეორე რიგი საზოგადოებისა წარმოადგენდა მეტად უმცირეს ნაწილს. ამ რიგის წარმომადგენელი პოეტი იყო ნიკ. ბარათაშვილი, რომელიც არა თუ გრძნობდა საკუთარს გულმკერდში თავის დროის გულის ცემას, არამედ იგი იყო კიდევაც ჩვენს მაშინდელს მწერლობაში ერთად ერთი გულწრფელი გამომხატველი იმ ფიქრთა, აზრებისა და გრძნობებისა, რომელთაც სახმილივით გაემსჭვალათ გული საქართველოს უკეთესი შვილებისა. იგი იყო განხორციელებული გულისთქმა ამ ყმაწვილ კაცებისა".

გ. მ. თუმანიშვილი ამბობს: „ნ. ბარათაშვილი იყო არამც თუ უდიდესი

ტალანტი, არამედ იმავე დროს სინათლის სხივი იმ დროის შაბლონურ სპარსულ კილოზე გაბერილ სანტიმენტალურ პოეზიის ნაწარმოებთა სიბნელეში. მისი პოეზია არის უდიდესი საღმრთო ჰარმონიული, მაგრამ მით არა ნაკლებ სამგლოვიარო ჰიმნი. ბარათაშვილი იყო ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული: მჭევრმეტყველობით, პოეტური ცეცხლით, შრომის მოყვარეობით და ფაქიზი გრძნობებით, რომელიც ვერ ურიგდებოდა ვერავითარ უსამართლობასა".

ბ. ვ. წ. ამბობს: „ბარათაშვილს პირველად მიაშუქა ევროპის განათლების სხივმა. კაცი, რომელსაც აწუხებდნენ ფილოსოფიური და ლიტერატური კითხვები, ვერ შეურიგდებოდა მაშინდელს ქართველს საზოგადოებას, რომელშიაც ამაოების მეტი არა იყო რაო".

გაარჩიეს ნიკ. ბარათაშვილის პოეზია კიტა აბაშიძემ, იონა მეუნარგიამ პროფ. ხახანაშვილმა, გრ. რობაქიძემ, სპირიდონ ჭელიძემ (ვრცლად) და სხვა...

II.

უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურულ მიმართულებასა და სამეცნიერო და საზოგადოებრივ (სოციალურ) მისწრაფებათა შორის მტკიცე კავშირი არსებობს... მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა იმედგაცრუებული და გულგატეხილი იმყოფებოდა. ჯერ ერთი მას გაუცრუვდა გონებაზე დამყარებული იმედი. გონებამ ვერ განკურნა მისი წყლულები და ვერ დაიჭირა სავსებით სარწმუნოების ადგილი, სამარადისო კითხვები ადამიანის არსებობისა მისთვის ისევ გამოურკვეველი დარჩა... კაცობრიობას არც თავისი ძალებისა სჯეროდა, რევოლიუციაზე დამყარებული იმედიც გაუცრუვდა. ის დარწმუნდა, რომ ერთი შეტევით არ შეიძლება უსამართლოების ბორკილის დალეწვა — და დამყარება სოფლად ღვთის სასუფევლისა, — და მასთან შეერთებულის ძმობისა და ერთობისა... დაიბადა ეჭვი ადამიანის გონების მძლეთა მძლეობის შესახებ... მაგრამ ამასთანავე დაიწყო დაკვირვებული მუშაობა, გამოკვლევა იმ მიზეზთა, რომელთაც ხელი შეუშალეს განმათავისუფლებელს მოძრაობას გამოეღო ჯეროვანი ნაყოფი, და ამის გამო განგრძობილ იქმნა მუშაობა სხვა და სხვა მეცნიერებათა შესასწავლად... მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს კვლავ დამყარდენ ძველი თეოკრატიული (სასულიერო) წარმოდგენანი. ძლიერ განვითარდა მრეწველობა და ბუნების მეტყველება, და მათთან ერთად სხვა მეცნიერებათაც დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ... გაჩაღდა ვაჭრობა და მრეწველობა ხალხთა შორის, და ინგლისმა დაიჭირა ამ მხრით პირველი ადგილი. ბუნებრივი (ნატურალური) მეურნეობა და მცირე წარმოება ყველგან შესცვალა მსხვილმა მრეწველობამ და კაპიტალისტურმა წარმოებამ „მანქანებმა" (მაშინებმა); ამბობს მეცნიერი ტუგან-ბარანოვსკი „დაიწყეს ახალი ხანა, — ხანა ადამიანის გათავისუფლებისა გარეშე ბუნების ბატონობისაგან... მათში გამოიხატა ადამიანის სულის უნაყოფიერესი გამარჯვება, ის პრომეთეოსის ნაპერწკალი, რომლიდანაც აღინთო დიდებული ცეცხლი, რომელმაც ყოვლის მხრით გარემოიცვა კაცთა დამოკიდებულებათა ძველი ქკეყანა"... მსხვილმა წარმოებამ და კაპიტალმა გამოიწვიეს მუშათა საკითხის გამოჩენა მსოფლიო ისტორიაში... მუშა — პროლეტარი დაუპირდაპირდა კაპიტალის პატრონს და დაიწყო იმათ შორის სამკვდრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც დღემდის მომდინარეობს. ბაირონი ამ დროის შვილია... ის ჩამომავლობით ინგლისელი ლორდი იყო... მას დიდი გავლენა ჰქონდა მთელი ქვეყნის პოეტებზე. ის ითვლება იმედ-გაცრუებულ პოეტათ. იმედ-გაცრუება მასში მაშინ დაიბადა, როდესაც დაიმსხვრა ძველი ცხოვრების ძალებზე დამყარებული რწმენა და ახალი რწმენა კი ფეხმოკიდებული არ იყო. მეთვრამეტე საუკუნის ინგლისურ ფილოსოფიის კრიტიკის ქარ-ცეცხლმა შეარყია მაშინდელი კაცობრიობის სოფლმხედველობა... ის გავრცელდა საფრანგეთსა და გერმანიაში. მანვე დააჩქარა საფრანგეთის რევოლიუცია,— რომელმაც ვერ გაამართლა კაცობრიობის იმედი... არ იყო ინგლისში ამ დროს გამორკვეული ნაციონალური პრინციპი იმდენად, რომ გენიოსი ბაირონის ჭკუისა და მისწრაფებათათვის მიეცა შინაარსი.— რაიც შეეხება რომანტიკოსთა ცდას იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივი „ობსკურანტიზმის“ (მტრობა განათლებისადმი) საშუალებით ევროპის ერნი საშუალ საუკუნეების ცხოვრებაში გადაეტყორცნა, მან (ცდამ) გამოიწვია შეგნებულთა გულში მხოლოდ ზიზღი... პირადად ბაირონმა ვერ შესძლო უარ-ეყო თვისი ეროვნება, მაგრამ ვერც შეესისხლხორცა მას. მისი არისტოკრატიული გული ღელავდა, როდესაც კესტელიერი სცდილობდა ჩაეთრია ინგლისი „საღმრთო კავშირში“, რომელიც დაარსდა ნაპალეონ პირველის საწინააღმდეგოდ. ბაირონს სწყუროდა ჰქონოდა განსაზღვრული მიზანი,—მაგრამ ეს მიზანი ვერ მოიპოვა. იმას მალე გაუცრუვდა იმედები ცხოვრების მეოხებით; ის სცხოვრობდა მაშინ, როდესაც ძველი ფეოდალური ქვეყანა იღუპებოდა და ახალი დემოკრატიული ცხოვრება ის ის იყო ფეხს იკიდებდა... ეჭვი ეჭვს მოყვა მის სულიერს ბუნებაში და სასოწარკვეთილება-სასოწარკვეთილებას. მას მსოფლიო ეჩვენებოდა აოხრებულ ბალად და ადამიანის მთელი მოქმედება კი—საძაგლად, ფუჭად და უნაყოფოდ. ვერტერის (გეტეს რომანის გმირი) გულფიცხობა და ფაუსტის მღელვარება მას შეეცვალა უზომო სასოწარკვეთილებათ. მის გულში დაისადგურა ფრიად დამაუძლურებელმა „მოწყინებამ“... მან ხელი მიჰყო წერას. მისი ნაწერები აღსავსეა სიმართლით, ისე როგორც მისი ცხოვრება. მას მართლად ჰქონდა ის **მთლიანი, სრული, ტიტანური მსოფლიო სევდა,** რომლის ნაფლეთები ტანთ ჩაიცვეს შემდეგში მისმა მრავალმა მიმბაძველებმა. აი რას ამბობს ბაირონის **მანფერდი** თავის თავზე: „სიბავშვიდამვე ჩემი სული არ დადიოდა სხვებთან ერთად; და მე არ ვუცქეროდი ქვეყანას ხალხის თვალით; მათი პატივ მოყვარეობის წყურვილს მე არ ვიზიარებდი; მათი არსებობის მიზანი ჩემი მიზანი არ იყო; ჩემმა სიხარულმა, ჩემმა მწუხარებამ, ვნებებმა და ძალებმა გამხადეს მე უცხოდ“... მანფერდის აღსარება თვით ბაირონისავე აღსარებაა... არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბაირონი ლორდი, არისტოკრატი იყო, და მის დროს კი არისტოკრატიას, ლორდობას ცხოვრებაში ფასი ეკარგებოდა... ბაირონი, როგორც საუკეთესო შვილი არისტოკრატისა გენიოსურის ნიჭით დაჯილდოებული, კარგათ ხედავდა ყოველსავე ამას, და სული მისი არ იყო აწმყოსი და სოფლის კმაყოფილი და ეძიებდა სიამოვნებას გარეშე არსებულ პირობათა ბუნების გულუბრყვილო წიაღში, სიმშვენიერის, ჭეშმა-

რიტების და სიკეთის სამყაროში. იშვიათად შეხვდებით ისტორიაში კაცობრიობის ისეთს თავგანწირულს მოყვარულს. როგორიც ბაირონი იყო. მან გაიტაცა თავისი თანამედროვე მწერლები, რომელთა ფიქრთა და აზრთა მბრძანებელი გახდა—ყველას ხიბლავდა ბაირონის პოეზიის შინაარსის სიღრმე, ძალა და მისი ფორმის სიმშვენიერე და სილამაზე. თუ მის ნაწერებში გამოხატულია ადამიანთა მიმართ სიძულვილი, ეს სიძულვილი მიმართულია იმ საქმეთადმი, რომლებშიაც გაბატონებულია უვიცობის, სიბოროტის, ანგარიშების, უუფლებობის და სიბილწის წყვდიადი... მას უყვარს ადამიანთა ყველა ის საქმე, რომელშიაც გამოისმის ადამიანის ბუნების საღმრთო ხმა, სიმართლის და სიკეთის სული, უუსრულეს ზნეომრივ იდეალებისადმი მისწრაფება... პირველის შეხედვით ადამიანს ბაირონი **პესსიმისტი** და კაცთა მოძულე (მიზანტროპი) ეგონება,—მაგრამ ღრმად რომ ჩაუკვირდება მის ნაწერებს, დარწმუნდება, რომ მათში ჩაქსოვილია საღი სიყვარული ადამიანთადმი... მისი პოეზია—მოწოდებაა საუკეთესო იდეალთადმი ცხოვრების ცუდი მხარეების შეუბრალებელ უარყოფის საფუძველზე, მისი პოეზია—ყოვლისავე ბუნებრივობის, ძალდაუტანებლობის, თავისუფალ განვითარების თაყვანისცემაა...

რუსეთში რომანტიზმის გავლენა კარამზინის ნაწერებში გამოიხატა... მაგრამ იმის საუკეთესო წარმომადგენელად ჟუკოვსკი ითვლება. ჟუკოვსკიმ რუსულს ლიტერატურას ის სამსახური გაუწია, რომ პოეზია ადამიანის იდეალურ კეთილმშობლიურ მისწრაფებათა გამომხატველად დასახა. მანამდის კი პოეზიის საგნად ფუჭი გართობა და უბრალო დროს გატარება ითვლებოდა. საქართველოში რომანტიზმის წარმომადგენელებად შემდეგი პოეტები ითვლებიან: ალ. ჭავჭავაძე (სენტიმენტალურ-მგრძნობელობის ხასიათისა), ნიკოლოზ ბარათაშვილი, (ბაირონისებური), გრიგოლ ორბელიანი და ვახტანგ ორბელიანი... საქართველოს ცუდი მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის პირველს ნახევარში. რომანტიზმის გაძლიერებას მეტად ხელს უწყობდა. საქართველოში რომანტიზმის მეოხებით გავრცელდა ადამიანის იდეალური (სანატრელი) მისწრაფებანი, რომელთაც ქართველების საზოგადოებრივს განვითარებას ეროვნულს ნიადაგზე დიდად ხელი შეუწყეს. ქართველი კაცის გონებას, რომლის მუშაობა მძიმე ისტორიულ გარემოებათა გამო თითქოს შეჩერებული იყო, რომანტიზმმა სატრფიალ-სანუკვარი საკითხები დაუყენა გადასაწყვეტად და ის უნებლიედ აამუშავა... რომანტიზმს საქართველოში პოლიტიკურ-ეროვნულს ხასიათი აქვს და ამის გამო მას შეიძლება დავარქვათ პოლიტიკური რომანტიზმი.

თითქმის მესამოცე წლებამდის ქართული ლიტერატურა რომანტიულ-არისტოკრატიული მიმართულების იყო და გამოხატავდა რომანტიულ-არისტოკრატიულს სოფლმხედველობას. ხსენებულ ხანამდის ქართველ საზოგადოების ცნების ქვეშე იგულისხმებოდა თავად-აზნაურობა, უფლებით მოსილი, და რამდენადმე სამღვდელოება. ეს ორი წოდება სათავეში უდგა ქართველთა ცხოვრებას, და გლეხკაცობა კი ყოველსავე უფლებას მოკლებული იყო... დასავლეთის საქართველოს შვილნი ქართულს ლიტერატურაში იმ დროს არ მონაწილეობდნენ, თუმცა უკანასკნელთა სოფლ-მხედველობა აღმოსავლეთ საქართველოს მწერალთა სოფლმხედველობისგან არ განსხვავდებოდა.

ი. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება

ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა

„პირველითგან იყო სიტყვა“
„და სიტყვა იგი იყო დერთისათანა“
„და ღმერთი იყო სიტყვა იგი“.
(სახ. იოან. თ. 1.)

IV

საჭირო მიმაჩნია ვსთქვა, რომ ამ ოც და ათის წლის წინად ვიფიქრე და მოვიწადინე ქართულ გრამმატიკის სახელმძღვანელო შემედგინა, მაგრამ სწორედ ამ დარმა მუშობამ დამანახვა აუცილებლობა ჩვენი ენის ძირითად ბუნების შეგნებისა და მასალის შეგროვებისა. დავრწმუნდი, რომ ამის გარეშედ ჩემი შრომა უნაყოფო იქნებოდა. ან რა გამბედვინებდა ამისთანა საქმეს, რომელსაც დავინახე, რომ ვისაც კი ჩვენი „გრამმატიკა“ შეედგინა, თითონაც არა სტოდნიო ბუნება სამშობლო ენის შენობისა. ჩვენი გრამმატიკოსები, როგორც არა ერთხელ მითქვამს, სთარგმნიდენ უცხოელების გრამმატიკასა ან საგსებით მის გავლენის ქვეშე სწერდენ და უწოდებდენ „ქართულსა“.

ამითი არ ვეფიქრობ ვსთქვა, რომ ჩვენს გრამმატიკოსებს ანტონ კათოლიკოსიდან მოყოლებული დღემდინ არა შემოეტანოთ რა სამეცნიერო,—ამას რა მათქმევინებს; მაგრამ მაინც ბევრი მთავარი დარგი ქართულის ბუნებისა გაუგებრად ჭრიბოდათ და ამიტომ საგსებით არ ჭქონდათ გათვალისწინებული ქართული ენის სახიერება. ჩვენი დედამიწის მთავრის მსგელობისა არ იყოს, ცალგვერდად ჭხედავდენ საგანსა სამეცნიეროსა. არ მეთქმისმეთქი არა შემოჭქონდათ რაო, სიმართლემ მაშორის ესეთი კადნიერება, მაგრამ მაინც ჩემთვის აშკარა არის, რომ ენის ბევრ მთავარ თვისების წინაშე ბნელოდა, სანთელი კი ხელთ არა ჭქონდათ, და არა სჩანდა სრულ სახიერად მთლად დიდებული შენობა. მაგალითად ბ-ნ თ. ყორდანიას ქართული გრამმატიკა თითქმის სრულებით დამოუკიდებელი შრომაა, დიდად საყურადღებო ნაშრომია და ბევრი სამეცნიერო განძი შემოაქვს ენის ბუნების ცნობისა, მაგრამ ნაკლი ის არის, რომ ერთგამსჭვრეტელი, ერთმეოფელი აზრი მოდად ენის შენობისა არა მიუძღვის რა ნამუშავარსა, არ არის შემაერთებლობა, ბუნებრივი ერთგეგმიანობა ქართულ ენის შენობისა, არ არის გაბმული მთელი ჯაჭვი, არის მხოლოდ მისი რგოლები უერთიერთოდ, გაწყვეტილ-გადუბმელი, თუმცა ცალცალკედ კონიერად შემუშავებული, მშვენიერი სოფეხურებია და ზემსვლელი კიბე კი არ არის.

რაკი სახელმძღვანელოს შედგენა, ჩემის აზრით, ჯერ არ შეიძლებოდა და ამასთან წადილი თავს არ მანებებდა, განვიზრახე და შევუდეგ სამასალო ნაკლის მიხვედრას, გამოკვლევას, შევსებას და სწავლის გაერთიანებასა. თუ რამდენად შეგსძელ ესე, რამდენზე დავუახლოვდი ჩემს მიზანს, ამის მაჩვენებელი იქნება ჩემი ნამუშავარი და იმისადმი მსაჯულება კრიტიკისა.

ცხადია მაშასადამე, რომ ჩემს წერილებში ხშირად არ არის ის, რაც გადაჭრილად, დღემდინ განძად შეუძენია მეცნიერებას, რომელსაც უკადრისობა ვერ ეჭხება. მაგალითად ანტონს კათოლიკოზს გამოუკვლევია **განვითარებითის ბრუნვის** სახიერება ქართულ კანკელობაში და აქ ჭინჭრაქობა ვისიმე არ უნდა ეოფილიეო. მე იგი ნაშრომი მხოლოდ შევავ-

სე **კანკლედობისა** და **ულვლილების ურთიერთობით**, რომელმაც უმეტეს განმ-ტკიცა შეურეველად ის, რაც იყო.

1.	2.
კანკლედობა	**ულვლილება.**
დამაზ-ა-დ(ა)	გა-დამაზ-ო-და,
დონიერ-ა-დ(ა)	გა-დონიერ-ო-და,
მშვენიერ-ა-დ(ა)	გა-მშვენიერ-ო-და,
თამამ-ა-დ(ა)	გა-თამამ-ო-და,
ცემ-ა-დ(ა)	ს-ცემ-ო-და.

და სხვა.

დავამტკიეცე: 1., რომ „განვითარებითი“ ბრუნვა კანკლედობისა თავის საკუთარ მეხსიერ-თე „დ“-ნით ჭქმნის მთავარს ძირითადს ფორ-მას ულვლილებისას და სწორედ შეუცვლელად ამავე „დ“-ონისა და 2., აქ დათ„დ“-ის მა-გიერ „თ“-ის ხმარება, როგორც დიალექტო-სნები თითინებენ, მეტადრე „ამ ბოდის დრეს“ — სრულიად შეუწყნარებელია და სიმა-ხინჯე. აქ მეცნიერებაა ერთად ერთი მსაჯუ-ლი. და არა „აქანი-მაქანისი“.

ბოდის, ერთი რამ კიდევ.—შემხვდება ხოლმე ერთი „ცნობილი მოდვაწე“ და და-ტინვით მეტყვის:

პირველად: „თქვენი საგრამმატიკო წერი-ლებისა ვერა გავიგე რაო“. მეორედ: „თქვე-ნი საგრამმატიკო წერილები ძლიერ მომ-წონს(?), მაგრამ არ მესმისო“...

— იშ-ალალ! რა ეშველება, ჯან-უმ, ახი-რებულ გაუგებრობას და შეუგნებლობას!.. მაგრამ უკაცრავად, მაინც ვერ დავიშალ და შევუდგები ჩემსავე საქმესა.

—

III. **რამდენიმე წინამორბედი სიტყვა და ზოგიერთი საგრამატიკო ტერმინები.**

ა., საზოგადო **თვისება** ბუნებისა არის **მოძრაობა**, რომელიც ბევრ გვარია ან მისს **მოქმედებას** შეადგენს, მის **ძალასა**. ურთ-გვარი მექანიკური მოძრაობა ნივთიერებისა საზოგადოდ და ჰაერისა კერძოდ ადძრავს და გადასცემს მას ჩვენს უურთა-სმენასა და ამ მო-ძრაობას შეგისმენთ და შეგიგნებთრთულ ხმებად ან ბგერაებად, რთულ ხმებად ანუ ბგერაებად. ამ რთულ ხმაურობას გამოსცემს მოძრაობაში რო-გორც უსიცოცხლო ნივთიერება ქვა, რკინა, წყალი, ჰაერი, ისე ცხოველი და თვით ადა-მიანიც...

მაგრამ პირუტყვს ცხოველსა და მეტყველ ადამიანს შორის ამის შესახებ ის დიდი გან-სხვავება არის, რომ პირუტყვის ხმას ბრუიდს, ჭრიჭინს, წრიპინს, ჭიხვინს, ყოფინს, ჭიკ-ჭიკს, როგორც ქუხილს, ხრაგუნს, გუგუნს არ ამოქმედებს გონება, ფიქრი და აზრი, რომელიც კამოითქმის მხოლოდ **სიტყვით** და ამიტომ ადამიანს ჰქვიან **მეტყველი არსება**. ხოლო **მეტყველება არის ხმის ისეთი ამოღე-ბა, რომელიც აღნიშნავს მეტყველის სურვილსა და ნებასა და სწორედ ასე-თადვე ესმის იგი მსმენელის გონებასა.**

შენიშვნა. ძირეულად ამ გვარისავე ხმა-გა-ცემითი ერთობა პირუტყვთა შორის, მაგრამ შე-დარებით მეტად უსუსურია (პრიმიტივი) ეს უკა-ნასკნელი „ურთიერთობა“, ვიდრე მეტყველებითი ერთობა ადამიანთა შორისი, რომელიც განვი-თარდა უუმაღლეს წრემდინ ლიტერატურით: თი-თქმის შვიდასი წლის წინად ნაწერს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანს“ გულის ძგერით და სულის ალმაფრენით განიცდის ჩემი დროის ადამიანი (საწყალ ფილიპპე მახარაძეს ბუნებამ არ არგუნა ეს გრძნობა!); კიდევ უმეტეს: სამი ათასი წლის წინად ურარტელებს ლურსმულ წერით აღუნიშ-ნავთ აგურებზედ თავისი ადამიანური გონიერება და დღეს ამ ნიშნების წაკითხვას ვსცდილობთ და იმ შორეულს ჩვენს ადამიანებს ვენათესავე-ბით. დიდის დიდი, მეტად დიადი მანძილი აქვს გავლილი ჩვენ ადამიანურ გონების ვითარებასა, და ადვილად ხელის წამოკვრა ამა სიდიადისა მხოლოდ მატლაკვეცა სიფუქსავატეს თუ შეჰფე-რის. მ. ყ

ამ გამოთქმისა და შესმენის იარადია **სიტ-ყვა**, როგორიც არის მაგალითად: მე, მა, მი, შენ, ის, მამა, დედა, ენა, ოჯახი, ერი, კა-ტობრიობა, მთა, ბარი, სამშობლო, ქვეყანა, სამყარო და სხვა.

ცალკე რომელიმე სიტყვა რომ გავარჩიოთ და გავარკვიოთ, მიგხვდებით, რომ იგი შემ-დგარია ჯგუფ-ჯგუფად ანუ მარცვალ-მარცვალ: მა-მა, დე-და, ე-ნა, ქარ-თუ-ლი, სა-ქართ-ვე-ლო და სხვა.

ახლა სიტყვის **მარცვალი** რომ ავიღოთ და ისიც გავარკვიოთ, მივეჩვდებით, რომ იგი შემდგარია რამდენიმე თითოეულით: ს-ა-(ქ-ა-რ-თ)ვ-ე(ლ-ო). ბოლოს მივედით იქამ-დინ, რომ გამოვარკვიეთ თითოეულად მარ-ტივი **ხმები** ანუ **ბგერაები. ი-უ-ა-რ-ე-ო**: აქ ექვსი მარტივი ხმაა,—იმათში ხუთი—**ა, ე, ი, ო**, უ—ცალკე ადგილად, თავისუფლად და სრულებით გაუჭირებლივ ითქმიან და ჩქვი-ანთ ხმოვანები, ხოლო მეექვსეს გამოთქმა ადგილი არ არის თუ არ წავიხმარეთ ადგილი ხმები—ა, ე, ი, ო, უ: სად რრრ და სად რ-ა, რ-ე, რ-ი, რ-ო, რ-უ. ისე ძნელია ამ „რრრ“-ს გამოთქმა, რომ ბავშვი ენის ამოდ-გმისას დიდხანს ვერ აჩხერხებს ხოლმე და მის მაგიერ თითქმის უფრო მოადგილეს, **თან-ხმოვანს** „ლ“-ს ჩხმარობს: ლ-ა, ლ-ე, ლ-ი, ლ-ო, ლ-უ! იტყვის.

ამიტომ ეოველ სიტყვაში გრამმატიკის მეცნიერება უმთავრესად ორ გვარ ხმებს ჩხე-დავს: **ხმოვანებს: ა, ე, ი, ო, უ**-ს და თანხმოვანებს: **ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ** და სხვებს, რომლებიც ეველა შემოკრე-ბულნი გვაქვს რიგიანად ჩვენს ქართულს **ანბანში**, რასაც ჩვენდა დღეის უბედურობით ეველა ინტელიგენტი ვერ ჩამოსთვლის მწყობ-რად და თავი კი ძლიერ მოაქვს—დრონი ამ გვარად მეფობენ ლდეს!

ბ., **პირველი სამეცნიერო** დასაბამი დვაწლი საგრამმატიკო აზრისა იყო გამოგვლე-ვა და გამორკვევა **ბგერათა** ანუ **ხმათა** კერძ-კერძოდ, როგორც **სიტყვის** მარტივ შემად-გენელ ნაწილებისა, რომლებიც დღეს ადმასა-რებელ განძად არის ასხმული ჩვენს **„დედა-ენის“** ანბანში. ამ მარტივ ბგერათა ურთიერ-თობას სიტყვაში და სიტყვის ცვალებადობა-ში, ამ ხმების შეთანხმებას თუ ურჩობას, მათ ურთიერთ შორის გარდამავლობას და ცვალე-ბადობასვე და **ამასობაში კანონიერების ამოკითხვას ასწავლის** გრამმატიკის ერთი ნაწილი, რომელსაც ჩქვიან მეცნიერებაში **ფო-ნეტიკა.**

გ., **მეორე იქნება უფრო დიდე-ბული სამეცნიერო** და საგრამმატიკო აზ-რი იყო ეოველი მარტივი ხმისათვის საკუთარ ნიშნის, საკუთარ მოხაზულობის საკუთარი **ასოს** (ლათინურად litera) გამოგონება და საკულტუროდ მათი შემოდება, რომელმაც შეგვაძლებინა **წერა** და **კითხვა** ანუ **უხმოდ, ულაპარაკოდ აზრის ჩვენება და შემ-დეგ ყველასათვის მხოლოდ თვალხედ-ვით მისი შეგნება.**

ეს გამარჯვება გონებისა, რომელსაც **პირ-ველმა** მოუმზადა მგვიდრი ნიადაგი, არის სათავე **ლიტერატურისა**, მეცნიერებისა, ინ-ტელიგენტობისა, ეოველივე გონებრივ საუნ-ჯის შეგროვებისა და შენახვისა.

ამან, ამ გამარჯვებამ, შეაძლებინა ადამია-ნობას და მათ შორის ქართველობასა „მო-რჯ-მულად და განგებიანად“ ეოფნა და არსებობა, ლიტერატურული მაინცა, თუ სხვა მხრივ გა-ძარცულია დღეს ქართველობის ბუნებრივი უფლებანი. ეს გამარჯვება ეოველს ერს შე-უძლიან მხოლოდ საკმაო კულტურის სიჭარ-ბით და უეჭველად თავისთავად და არაარმკით-ხეთა „მზრუნველობით“.

IV. ეტიმოლოგიური შენობა ქართული სიტყვისა.

ა. გაგვარკვიეთ და მოკლედ გავიცანით ქარ-

ეროვნული

თულ სიტყვის ელემენტები ანუ მარტივები თითოეულად *), და ახლა **სიტყვის** აზროვანი აგებულობა ანუ შენობა და მისი შემადგენელი ნაწილები, როგორც ფაქტორები შენობის გეგმისა, გავიგნოთ, დავთვალიერთ და შევისწავლოთ ნაწილები და მათი სიკავშირე ურთიერთშორისი.

ეოველ აზროვან სიტყვაში გრამმატიკის ერთი ნაწილი, რომელსაც მეცნიერება უწოდებს **ეტიმოლოგიას** ორ გვარ ხმებს გაარჩევს **ძირეულებს**, რომლებზედაც დამყარებულია მთელი აგება სიტყვისა, როგორც საძირკველზედ შენობა და ამ ძირეულს ხმებზედ სტრიალებს მთლად სიტყვის ცვალებადობა, რომელიც ღერძზედ თვალი ურმისა მთელი აგება სიტყვისა და მისის აზრისა და შემატებულებისა, რომლებიც აკავშირებენ, მიმოჰხვრიან და აფერადოვნებენ თითონ აზრს სიტყვისას.

მაგალითად. **თავ-ა, თავ-ი, თავ-აი** (დიდ-), **თავ-აია** (გვარად); **ა-თავ-ე, ა-თავ-ური, უ-თავ-ო, თავ-ადი** (და არა თავ-ათი, რომელიც გეგუთელა მედიალექტენი „ს წერენ"), **თავ-იანი, მო-თავ-ე, დამ-თავ-რებული, კან-თავ-ისებული, მ-თავ-რული, დამამ-თავ-რებელი, თავ-ელა** და სხვა მრავალი.

აქ სამი **ფონეტიკი** ხმა **თ-ა-ვ**-ძირეულებია, ხოლო ჩაეოლებით სიტყვის სხვა ნაწილები სიტყვის ძირს წაებმიან და ჩვენ მცირე ხაზით განეშორებიან აქ ძირეულებს, 1. ა, უ, მო, და მ, კან, მ, დამამ და 2. ა, ი, აი, აია, ე, ური, ო, ადი, იანი, რებული, ისებული, რული, ელა ჩვენს ზემო მაგალითში სიტყვის ძირს ბოლოზე **მოებმიან**—აქ სიტყვის სხვა ნაწილები ბირგელები სიტყვის ძირს წაებმიან თავში ან ბოლოში და შემოჰსვენ ძირეულებს, განავითარებენ, შეამორგმულებენ და ძირეულების აზრის გარემოებას შეადგენენ.

აქ მაგალითებში ძირეული ხმები „თ-ა-ვ" ერთად შეადგენენ **სიტყვის ძირს—თავ-ს**, რომელიც ასზოგადად არ ცვალებადობს დ ეოველთვის სიტყვის დედა აზრს ატარებს და აგვამჭხელს *). **შემატებული** ნაწილები და ხმები სიტყვის შენობაში შემოჭსვენ მეთქი სიტყვის ძირს, მის აზრის მიმოხვრას ანუ გარემოებას გვიჭჩვენებენ აზრს და სიტყვას აფერადოვნებენ: **წერ-ა, წერ-ია, მომ-წერ-ა, ნა-წერ-ი, მ-წერ-ადი, და-ა-წერ-ელი, მ-წერ-და, გ-ა-წერ-თ, ი-წერ-დე, ა-წერ-ო.**

სიტყვის იმ შემატებულ ნაწილებს, რომელებიც ჩაერთვიან ძირსა და კანკელდობრივს ნიშნებს შორის ჭქვიან **ჩართულები** ანუ **სუფფიქსები** (les suffixes). ძირის ზედ თავში შემატებულს ხმებს ერთად ჭქვიან **წაბმულები** ანუ **პრეფფიქსები** (les préffixes); ხოლო დაბოლოებას ქართულ სიტყვის ბოლოზედ, უმთავრესად ბრუნვების ნიშნებს გრამმატიკავე უწოდებს **დაბოლოებას** (la désinence).

მაგალითად სიტყვებში: **დამ-თავ-რებულ-ს, გამ-გებ-ელი-თ, გადა-წერ-ილა-დ-მი წაბმულები** ანუ **პრეფფიქსები** არიან: **დამ გამ** და **გადა, სიტყვის ძირებია: თავ, გებ** და **წერ, ჩაბმულები** ანუ **სუფფიქსებია: რებულ, ელი** და **ილა,** ხოლო **დაბოლოებანი** (la désinence) არი-

*) შემდეგ ერთს წერილს მოვანდომებ დიდებულს ქართულ მარტივს „ჭ"-ესა, რომელსაც უარჰყოფენ ყურუმსაღი გეგუთელები და თავის აკრიმანჭულა დიალექტობით ჩვენს ენას, ამ ჩვენს საუნჯეს აფუქსავატებენ, სიდინჯეს უკარგვენ და ჰგონიათ, რომ უსამოსო ტიტინით კეთილხმოანდება(?!) ჩვენი ქართული ენა. მ. ყ.

*) კერძოდ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ არც თითონ ქართულის სიტყვის ძირი არის უცვალებადო ზოგჯერ, მაგრამ საზოგადოდ უცვლელობა არის მისი თვისება შედარებით სხვა ნაწილებისა, როგორც ამ წერილშივე ვნახავთ. მ. ყ.

ეროვნული

ან: **ს, თ** და **დ**; თუმცა ხშირად ძირზე მობმულ ნაწილს სიტყვისას მთლად სტნოს ხოლმე გრამმატიკა **დაბოლოებადვე** (la désinence).

ბ., სხვათა შორის უნდა ვსთქვათ, რომ ერთსა და იმავე ძირზედ აგებული ყველა სიტყვები შეადგენენ **ერთს ოჯახობას**. მაგალითად ერთსა და იმავე სიტყვის ძირზედ არიან აშენებულნი შემდეგი სიტყვები: **ხელ**-ა, **ხელ**-ი, გაა-**ხელ**-ე, **ხელ**-სა, **ხელ**-თა, **ხელ**-მან, **ხელ**-ადა, გა-**ხელ**-და (ხელების ხმარება იწყო), **ხელ**-ო, გაა-**ხელ**-ს, გვი-**ხელ**-ეს, **ხელ**-ებსა, გა-**ხელ**-დნენ (ხელების ხმარება იწყეს), გა-**ხელ**-დნენ (ხელებად იქცნენ), ა-**ხელ**-ს, უ-**ხელ**-ს, გავა-**ხელ**-თ, გა-ჭ-**ხლ**-ოს, სა-**ხლ**-ით, სასა-**ხლ**-ე, გამა-**ხელ**-ა, **ხელ**-ობა, მო-**ხელ**-ე, **ხელ**-ოსანი, **ხელ**-ოსნობა, **ხელ**-ადათი, სა-**ხელ**-ო, სა-**ხელ**-ოვანი, **ხელ**-ოვნება, **ხელ**-იანი, **ხელ**-მანდი, უსა-**ხელ**-ო, **ხელ**-ოსნური, **ხელ**-ებიანი, სა-**ხელ**-ოსნო, გადამა-**ხელ**-ოსანა, მი-**ხელ**-ოვნე, ვი-**ხელ**-ავეთ, ა-**ხლ**-ო (ხელმისაწვდომად), დამია-**ხლ**-ოვა, გია-**ხლ**-ებოდეთ, მი-მუა-**ხლ**-ეო, დასა-**ხელ**-ება, სა-**ხელ**-ი (ხელით საჩვენებელი), დაასა-**ხელ**-ეს (ხელი დაადგეს, უჩვენეს), მო-**ხელ**-ობა, დამაჭ-**ხელ**-ოვანა და სხვა – და ესენი შეადგენენ ერთს ოჯახს სიტყვისას, სადაც აზრს გვამჭხელს, თითონ თითქმის უცვლელად ჭრჩება და არის **ძირი სიტყვისა**—„**ხელ** ანუ **ხლ**“, ხოლო სხვები აქ წაბმულ-მობმულები ძირის ანუ აზრის სხვა და სხვა გარემოებას გვიჩვენებენ.

V. ძირი სიტყვისა და გამორკვევა მისი.

ა., სიტყვის მთავარი ნაწილი, რომელიც უმეტეს-ჯერ შეუცვლელად ჭრჩება მთლად სიტყვის მრავალ წარმოებაში და მიმოხვრაში და ამასთანავე ყოველთვის სიტყვის აზრს გვამჭხელ-ს არის **ძირი სიტყვისა** (la racine).

სიტყვებში ცემ-ა, ნა-ცემ-ი, ი-ცემ-ა, უ-ცემ-ია, ს-ცემს, ს-ცემ-თ, ს-ცემ-და, **გადმოგვ**-ცემ-დნენ (ხელთ გვიჭედებდნენ), **გადმოგვ**-ცემ-დნენ (ცემას ჩვენზედ მომართვიდენ)— **ძირი სიტყვისა** არის **ცემ**, რომელიც გვატყობინებს სიტყვის აზრს, ხოლო დანაშთენი ნაწილები სიტყვისა—ნა, ი, ა, უ, ია, ს, თ, და, დე, დი, გადმოგვ, დნენ, დენ—განსაზღვრენ, განავითარებენ სიტყვის ძირში ჩამდგარს აზრის მიმოხვრასა და ეოთა-მოქმედების გარემოებას აღნიშვნენ.

ამ კვალობაზედ **სიტყვის ძირები** არიან: **წერ, ხევ, ჭამ, თენ, კაც, თავ, ჩიტ, ხელ,** რომელებიც შეგვიძლიან შევმოჭესოთ შემატებულ ნაწილებითა, ავალაპარაკოთ და შემოვჭკრიბოთ თითოეულ ძირზედ აგებული სიტყვები ცალ-ცალკე ოჯახებად.

VI. დაწყვილებული ძირები სიტყვისა.

ბ., ზოგჯერ **ძირი სიტყვისა** წყვილად ანუ განმეორებულად არის სიტყვაში, თითქო უმეტეს საუურადღებოდ, ან ბუნებრივ **გამოხატველად** განმეორებულ ეოთა-მოქმედებისა თუ თვინიერებისა: მა-მა, დე-და, ძუ-ძუ, ძი-ძა, თი-თი, კა-კა, ჩი-ჩია, ჩი-ჩინი, ტი-ტი-ნი, წან-წალი, ტან-ტალი, თუ-თუები, ძუ-ძული, ტუნ-ტული, ხარ-ხარი, კარ-კარი, რაკ-რაკი, დუნ-დული, წერ-წერტი, ჩერ-ჩერტი, ქვეშ-ქვეშა, ზე-ზელა, ჩუმ-ჩუმა, წუმ-წუმა, ბი-ბინი, ხვი-ხვინი, წკავ-წკავი, თავ-თავი, კირ-კიტი, ცახ-ცახი, ძან-ძკარი, თახ-თახი, რაკ-რაკი, კან-კალი, წამ-წამი, ჭინ-ჭრაქა, ჩან-ჩალი, ხვან-ხვალი, წუ-წვა, წუ-წნა, ხვი-ხვინი და სხვა.

VII. მარტივი ერთეული ძირები სიტყვისა.

გ., ინდო-ევროპიულმა გრამმატიკამ, თითქო არტერთმა, მარტივი ერთხმა ძირები სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუვისა არ იცის, ან იქნება არ მიაჩნია ესეთებად, ხოლო ქართულში ცხადია ესე მარტივები. მაგალითად 1. მ-ა, მ-ი, მ-ე, მ-ან, მ-ას, მ-ის, მ-ო, ა-მ-ათისა, ი-მ-ითადი და სხვ.

ყველა ამ სიტყვების საერთო მარტივი **ძირი** არის ერთხმა ასო „მ"-ნი*), რომელიც უცვლელად უნდა ეოფილიყო იმ თავით და არის დღეს თავის მარტივობაში, და ძირითადს აზრს სიტყვებისას გვასმენს.

2. ვ-ის, ვი-სა, ვ-ით, ვ-ინ, ვ-ისით, ვ-ისისას და სხვა. ყველა ამ სიტყვების საერთო **ძირი** არის მარტივი ერთხმა ასო „ვ"-ნი, რომელიც უცვლელად ჭრჩება თავის მარტივობაში და სიტყვის აზრსგვატყობინებს, ხოლო მისი შემატებულნი, სუფ.—ბრეფფიქსები—ის, ისი, ით, ინ, ისით ისისას—შეჭმოსვენ მას ურთიერთობის გარემოებით.

3. ა-გ-ი, ი-გ-ი, ე-გ-ე, ა-გ-ეთი, ი-გ-ინი, მა-გ-ითად, ა-გ-ენი და სხვა. ყველა ამ სიტყვების საერთო მარტივი **ძირი** არის მარტივი ერთხმოვანი ასო „გ"-ანი, რომელიც უცვლელად ჭრჩება თავის მარტივობაში და სიტყვის აზრს გვატყობინებს, ხოლო მისი შემატებულები, ბრეფფიქსები—ა, ი, ე, ეთი, ინი, ითად, ითად—შემოჭსვენ მას ურთიერთობის გარემოებით.

4. რ-ას, რ-ის, რ-ა, რ-ამ, რ-ით, რ-ათი, რ-ითი, რ-ათად, რ-ასად, რ-აისა (გურული ფონეტიკური სიმახინჯით—„რ-აიზა"?), რ-ოს, რ-ადის და სხვა. ყველა ამ სიტყვების საერთო უცვლელი და ძირითადის აზრის გამომ-

*) „Предполагаютъ, что всѣ эти сочетанія «мь, мэ, мъ, мо» суть видоизмѣненія первоначальнаго корня «ма» ит. д. ნახ. Грам. древн. ц. слав. языка. Москва 1900г. изд. 13-е" стр. 50. Обр. мѣстоименій. П. Смирновскаго.

ოქმელი მარტივი ერთხმა ასო არის და ეოფილა **ძირი სიტყვისა** „რ"-აე.

ამ აღნიშნულ სიტყვების ოთხს რიგში **სიტყვის** ძირები არიან მეთქი მარტივი ერთხმოვანი ასოები—მ, ვ, გ **და** რ, რომლებიც რასაკვირველია არა და ვერ იცვლებიან და ამასთან მთავარს აზრს უდგამენ მათზე აგებულს სიტყვებსა.

5. ამ გვარად მარტივი ერთხმოვანი ძირები სიტყვისა სხვაც იცის ქართულმა ენა-თქმამ. მაგალითად—ს, წ, ტ და სხვა.

ს-ობა: ა-ს-ობ, ა-ს-ობს, ა-ს-ობთ, ა-ს-ობდა, დაუ-ს-ო; წ-ობა: ა-წ-ობ, ა-წ-ობს, ა-წ-ობთ, ა-წ-ობდა, ამოა-წ-ოს; ტ-ობა: ჭ-ტ-ობ, ჭ-ტ-ობს, ჭ-ტ-ობთ, ჭ-ტ-ობდა, შეჭ-ტ-ობო; ამ სიტყვების მარტივს ძირებზედ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მარტივები იმ თავით, როდესაც ადამიანი სცდილობდა და ამოიდგამდა ენა-მეტყველებასა, თითქოს უნდა ეოფილიყვნენ და ეხმარებოდნენ ადამიანს მისის და სხვისის ბირობების, ეოფამოქმედების და საგნების სწორედ მარტივ სიტყვებად, ნიშანშემასმენელად და გამომთქმელებად, როგორც მარტივი „კ"-ანი ნიჭშნავდა თავსა, რისაგანაც შემუშავდა შემდეგ სიტყვა კა-ცი ანუ კ-ადსი (იხ. ბუნ. ქარ. ენ. შენობისა წ. 1. 1910 წ. გვ. 33. მ. ე.).

მარტივი ერთახმა ძირი „რ"-აე ნიჭშნავდა ბირობებასა გარეშედ ადამიანისა—იგი არც „მე" იეო, არც „ვინ", არამედ იეო მხოლოდ „რაისამე" მაგიერი და მთხრობელი, რაისამე ნაცვალი. იმ ძველს უკუნითში ადამიანის წარმოდგენით ეოველივე არსი მისებრივ ბირობანი იეო და ადამიანს ბუნებაში ე-ღობებოდა, მტრად თუ მოეგრად ე-მხრ-ობოდა: მაგალითად მ-ნათ-ობი და ქვეყნის მცოცხლებელი მ-ზე იეო საკუთარი ბირობების მქონე არსება **მი** ზეით მეოფელი, ზებირობანება, რომელზედაც დღესაც ვლოცულობთ და „ვჭეუცავთ—„მ"-ზის მადლმაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. ერთ-მარცვლოვანი ძირები სიტყვისა, რომლებშიც ხმოვანები ანუ მანძილადები ცვალებადობენ.

a., ჩენ, ჩინ, ჩენ-ის, ა-ჩენ-ს, ი-ჩენ-თ უ-ჩენ-დ, გაა-ჩინ-ო;

b., ჭერ, ჭირ-ა, ჭერ-ის, ი-ჭერ-ს, უ-ჭერ-თ, ა-ჭერ-თ, ა-ჭერ-დ, დაა-ჭირ-ო;

c., დენ, ა-დინ-ა, უ-დენ-ის, ი-დენ-ს, ა-დენ-თ, ჩაი-დენ-დ, ჩაი-დინ-ო;

d., ჭ-ფენ, ჭ-ფინ-ა, მო-ჭ-ფენ-ის, ჭ-ფენ-ს, ჭ-ფენ-თ, ჭ-ფენ-დ, მო-ჭ-ფინ-ო;

e., ხევ: ჭ-ხევ, ჭ-ხ-ის, ჭ-ხევ-ის, ჭ-ხევ-ს, ჭ-ხევ-თ, ჭ-ხევ-დ, დაჭ-ხ-ეე.

IX. ერთ-მარცვლოვანი ძირი სიტყვისა, რომელშიც აზრის მატარებელია ერთი მარტივი ბგერა ანუ ხმა — ასო.

a., ა-ღ-ებ, ი-დ-ებს, უ-დ-ის, ჭ-დ-ებთ, ა-დ-ებდ, გაა-დო;

b., დაუ-ც-ობ, დაუ-ც-ობს, დაუ-ც-ობთ, უ-ც-ობდ, დაუ-ც-ო, დაუ-ც-ე;

c., ა-პ-ობ, ა-ბ-ობთ, ა-ბ-ობდ, დაა-ბ-ო, დაა-ბ-ოს;

d. ა-გ-ებ, ა-გ-ებს, ა-გ-ებთ, ა-გ-ებდ, ფაა-გ-ო, ფაა-გ-ე;

e., ს-ტ-ევ, დს-ტ-ის, დს-ტ-ეს, ს-ტ-ეთ, დს-ტ-ევდ, დს-ტ-ეთ;

f., ა-თ-ენ, ა-თ-ის, უ-თ-ევის, ა-თ-ენთ, დაა-თ-ენ-დ, ა-თ-ეთ;

რევ, ჭ-რ-ის, ჭ-რ-ევის, ჭ-რ-ევ-ს, ჭ-რევ-დ, ა-ურ-ეთ;

დევ, დ-ის, დ-ევს, დ-ევდ, დ-ეთ, დ-ეე;

ჭ-ხევ, ჭ-ხ-ის, ჭ-ხევ-დ, ჭ-ხ-ეთ, დაჭ-ხ-ეე;

ჭ-ფ-ოფ, ჭ-ფ-ოფს, ჭ-ფ-ოფდ, დაჭ-ფ-ო, დაჭ-ფ-ე; (ა-ფ-ოფ, ფ-ან).

X. ცვალებადობა სიტყვის ძირებისა მანძილად მარტივებითა.

A. კ-ლ, კ-ლ, კ-ლ: კ(ა-ი-ე)ლ; კ(ვ)ლ, კ(ა);

ა. მო-ჭ-კ-ლ, მი-ჭ-კ-ლ, მოგვ-ჭ-კ-ლ-ი, დაგვ-ჭ-კ-ლ-ით, ჩაგვ-კ-ლ-ით; მ-ჭ-კ-ლ-ით, დაგ-ჭ-კ-ლ-ით;

ბ., მ-კ-ლ-ავ, გა-კ-ლ-ვ, გა-კ-ლ-ულ, გამ-კ-ლ-ავ, მ-კ-ლ-ვ-ელ, გამ-კ-ლ-ავ (ინგლ. Tokil-კ-ლ-ვ);

გ., მი-კ-ელ-ით, ნა-კ-ელ-ი, მამა-კ-ელ-ით;

დ., მო-კ-ლ-ულ, შემ-ოგვ-კ-ლ-ა, მოგა-კ-ლ-ეს, მ-ოგვ-კ-ლ-ეს, მ-ოჭ-კ-ლ-ეს, მ-ოგვ-ჭ-კ-ლ-ა, და-კ-ლ-ულ, მ-ოგა-კ-ლ-ა, სა-კ-ლ-ავ, გამ-ო-კ-ლ-ება, მ-ო-კ-ლ-ებულ, ნა-კ-ლ-ულ, („ნაკ-ლ-ულ“ სალ-ხში ამბობენ მახინჯად „ნაკრ-ულ“), მ-ოა-ჭ-კ-ლ-ებინა, ჩამ-ოა-ჭ-კ-ლ-ოს, მ-ოგვ-ჭ-კ-ლ-ეს;

ე., მ-ოა-კ=ვ=ლ-ევინეთ, მ-ოსა-კ=ვ=ლ-ელ, მ-კ=ვ=ლ-ელ; გვა-ჭ-კ=ვ=ლ-ევინებ-ნენ, გვ-ოჭ-კ=ვ=ლ-ენ, ჩაგვ-ჭ-კ=ვ=ლ-ენ, მ-კ=ვ=ლ-ელ-ოს;

ვ., მ-ოა-კ(ვ)-ლ-ავ მ-ოა-კ(ვ)-ლ-ინებელ, მ-ოგვ-ოჭ-კ(ვ)-ლ-ეს, — ამ უკანასკნელ მაგალითებში (კანონ. ვ) სიტყვის ძირში სჩნდება მარტივი ხირ-ოვანი — „ვ“-ინ, კარდამაგალ მ-ოქმელებინ კამ-ომ-ქმელია, ხ-ოლ-ო ძირის ცვალებად-ობა ანუ ფლექსიობა ცხადია.

XI. ჩა, ჩინ, ჩენ: ჩ(ა-ი-ე)ნ, ჩნ, ჩ(ვ)ენ.

ა., მ-ოს-ჩან-ს, უ-ჭ-ჩან-ს, უ-ჭ-ჩან-დ, გამ-ო-ჩან-ალ-ებ, გამ-ოს-ჩან-ალ, გვი-ჩან-ალ-ეს, მ-ოს-ჩან-ალ-ეს, გამ-ოს-ჩან-ალ;

ბ., გაი-ჩინ-ე, გამ-ო-ჩინ-ება, გამ-ოა-ჩინ-ეს, სა-ჩინ-ო (ს-ოფელია), გან-ჩინ-ება, ე-ჩინ-ა, გამ-ო-ჩინ-ებული;

გ., გა-ჩენ-ა, გავ-ა-ჩენ-ალ-ეთ, გაგვი-ჩენ-ია, გამ-ოსა-ჩენ-ალ, განა-ჩენ-ები, გამ-ო-ჩენ-ილ, გასა-ჩენ-ელ, გამ-ო-ჩინ-ება, ალ-მოა-ჩინ-ეს.

დ., გამ-ო-ჩნ-ალ, შეი-ჭ-ჩნ-ევს, შემ-ჩნ-ეულ, შემ-ამ-ჩნ-ევ-ელ-ისა-ვე, შემ-ჩნ-ევ, გვ-ამ-ჭ-ჩნ-ევ-ალ-ინ, შეუ-ჭ-ჩნ-ევ-ია, ს ჩნ-ალ, გამ-ოს-ჩნ-ალ-ებ-ოდ, შეგვ-ჭ-მ-ჩნ-ი-ესო, გვი-ჭ-ჩნ-ალ-ებ;

ე., მ-ოგვ-ჩ(ვ)ენ-ა, გვი-ჩ(ვ)ენ-ებს, ე-ჩ(ვ)ენ-ა, შეა-ჩ(ვ)ენ-ა, შე-ჩ(ვ)ენ-ებ, შე-ჩ(ვ)ენ-ებულ, შეგვ-ა-ჩ(ვ)ენ-ებს, გვე-ჩ(ვ)ენ-ა;

აქაც სიტყვის ძირს აფლექსიებს მარტივი ბირდვანი „ვ“-ინი და შემოაქვს შემომავალი მოქმედება, ხოლო ძირის ცვალებადობა თავის თავად ცხადია.

XII. კიდევ მაგალითი სიტყვის ძირის ცვალობადობისა ანუ ფლექსივობისა.

ა., **ნათ: ნათ**-ელი, სი-ნათ-ლე, ნათ-ლია, მო-ნათ-ლული, მოსა-ნათ-ლი, სა-ნათ-ური, მი-ნათ-ებს, გაა-ნათ-ო, ნათ-ლული, მო-ნათ-ლვა, ნათ-ელა, მ-ნათ-ე, მოგ-ნათ-ლა, მოუ-ნათ-ლე, გამომი-ნათ-ეს, დაა-ნათ-ლოს, განმა-ნათ-ლებელი, მია-ნათ-ებდა, გაუ-ნათ-ლებლობა, ამო-ნათ-ევი, გამაგ-ნათ-ლებინა, მოი-ნათლა, შემოგვი ნათ-ებდეს, ჩამოგვიგ-ნათ-ესო, გაგვგ-ნათ-ლეს, ამოგვიგ-ნათ-ეს, ტიტი-ნათ-ელა, ნათ-ლიდება, ნათ-ენი, გა-ნათ-ლდა და სხვა.

ბ., **თენ**: გა-თენ-ება, გა-თენ-დეს, უ-თენ-ია, გაა-თენ-ო, დაგვა-თენ-დეს, ა-თენ-ეს, თენ-დება, შემოგვა-თენ-და, გვი-თენ-დება, გაა-თენ-ა, თენ, თენ-ა, თენ-ია, თენ-ს, თენ-თ, თენ-და, თინ-ო და სხვა.

გ., **თინ**: თინ-ება, ა-თინ-ა, თინ-და, თინ-ო, თინ-ე, აა-თინ-ეს, ამოა-თინ-ა, ჩა-მოს-თინ-ებენ, ჩამოგვს-თინ-ებენ, „თინ-ა-თინ-ებდა“ და იქნება კიდევ სხვა.

დ., **ნთ**: სა-ნთ-ელი, ნა-ნთ-ი, აგი-ნთ-ო, ე-ნთ-ო, აუ-ნთ-ო, დაა-ნთ-ოს, მომი-ნთ-ოს, ჩამი-ნთ-ოს, ამომი-ნთ-ონ, მოგვი-ნთ-ეს, აა-ნთ-ონ, ნთ-იები, აე-ნთ-ნენ, აი-ნთ-ეთ, ნთ-ება და სხვა.

ე., **თ**: თ-ევა, ვა-თ-იე, ვა-თ-ევთ, ა-თ-იე, ა-თ-ოს, გაა-თ-ია, უ-თ-ევს, გავა-თ-იე;

ვ., საბოლოოდ ამ უკანასკნელ განყოფილებაში (XII-ში) ამოწერილ სიტყვების ძირად გვრჩება—**თ** და საფიქრებელია შემდეგი მოსაზრება: ამ ძირს „თ“-ნს განავითარებენ: 1. ჩვენი მანძილადები — თ-ა-ი-ე, 2. Particium perfecti-ს ნიშანი „ნ“ თუ „ნა“,—როგორც—ნა-წერ-ი, ნა-ტემი, ისე ნა-თ-ენი ან ნ-თ, ხოლო თ-ენ და თ-ინ-ში **ენ** და ინ ორივნ საერთო სუფიქსები ჩვენსა და ინდოევროპიულს ენებში: инъ, енъ, in, en.

XIII. შემმომსველი ნაწილები ძირისა სიტყვაში ანუ ფლექსივობა სიტყვისა.

1. **სი-ნათ-ლე**, განმა-ნათ-ლებელი, მო-ნათლული, მიაგ-ნათ-ებდა, გა-ნათ-ლებული, გაუ-ნათ-ლებლობა, ამო-ნათ-ევი, გადმოაგ-ნათ-ებინა, მოიგ-ნათ-ლა, გავაგ-ნათ-ლეთო, შემოგვიგ-ნათ-ებდნენ, ჩამოგვიგ-ნათ-ესო, მოგვიგ-ნათ-ოს, გაგვაგ-ნათ-ლეს, შემოგვიგ-ნათ-ებ-დნენ, სა-ნათ-ური, მ-ნათ-ელი, და-ნათ-ლული, მ-ნათ-ე. აქ საერთო ძირად ორის „ნათ“,—ხოლო ფლექსიობა ამ ძირისა ანუ შემოსვა მათი ჭნდება სიტყვის შემატებული ნაწილებით. ძირი სიტყვისა დავგნიშნოთ ადგებრულ რიცხვით—x-ით, რომელიც იყოს უცნობი მოალაგე მისი, მაშინ ასე გამოაჭშკარავდება **ფლექსიების მნიშვნელობა:**

2. **სი-x-ლე**, განმა-x-ლებელი, მო-x-ლული, მოაგ-x-თებდა, გა-x-ებული, გაუ-x-ლებლობა, ამო-x-ევი, გადმოაგ-x-ებინა, მოიგ-x-ლა, გავაგ-x-ლეთო, შემოგვიგ-x-ებდენ, ჩამოგვიგ-x-ესო, მოგვიგ-x-ოს, გაგვგ-x-ლეს, შემოგვიგ-x-ეს, აგვიგ-x-ებდა, შემოგვიგ-x-თებდეს, გაგვიგ-x-თებდეს, გაგვიგ-x-ეს, სა-x-ელი, სა-x-ური, x-ელი, x-ლული, x-ლია, ე-x-ო და სხ.

აქ სიტყვის ძირის უცნობლობაში აზრი ადარა სჩანს, რადგან დაშთენილი აქ წაბმულები და მობმულები,—ს—ლე, განმა-ლებელი, მო-ლული, მიაგ-ებდა, გა-ლებული, გაუ-ლებლობა, ამო-ევი, გადმოაგ-ებინა, მოიგ-ლა, გავაგ-ლეთო, შემოგვიგ-ებდეს, ჩამოგვიგ-ესო და სხვა—მხოლოდ გარეგანი სამოსელია სიტყვის ძირისა ანუ აზრისა. ესენი მიმოხვრას და ურთიერთობას ბირდვნებისას, რიცხვისას, დროისას და საგნებისას ემსახურებიან, ერთი სიტყვით აზრის გარემოებას გვიჩვენებენ, და ცალკედ თითონ, ძირს გარეშედ არაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭშნამენ, რადგან ზმრ-მოკლებულ არიან. სათავე ზმრისა სდგან მხოლოდ ძირში, როგორც ქართლოსიანების საარსებო ზმრი **ქართშია, მცხეთასა და ტფილისშია, ხოლო სხვა ჩვენი მოძმენი მხოლოდ აქ ჰპოებენ წარსულის სათავესა და მომავალის დარდგინებასა საეროდ და უკვდავ საკავშირედ.**

სათავე ზმრისა სდგას მხოლოდ სიტყვის ძირში; ფლექსიები თითონ ძირში თუ მის გარემო მხოლოდ ზმრის განმავითარებელნი არიან, ძალის, დონის და შნოიანობის მომცემნი, ასე ვსთქვათ, გრამმატიკური ჩუქრთმები ნათელ მოფენილ საერთო საკულტურო თქმა არსებობისა.

3. კიდევ ავიღოთ მაგალითი სიტყვის ძირზედ აგებულ სიტყვებისა: წერ-ა, მ-წერ-ს, და-წერ-ილი, მ-წერ-ალი, სა-წერ-ელი, ამოვი-წერ-დეთ, ჩაგე-წერ-ებოდეთ, გამოვა-წერ-ინებ-დეთო, სამ-წერ-ლო, მ-წერ-ლობა, მ-წერ-ლობითადი, წერ-ილადი, ნა-წერ-ები, შემო-წერ-ილი, წარ-წერ-ილობისა, ჩაგვი-წერ-იეს, ჩაგვა-წერ-ინეს, და-წერ-ილობითადი, ს-წერ, ს-წერ-ა, ს-წერ-ია, ს-წერ-ს, ს-წერ-თ, ს-წერ-და, ს-წერ-ო, ამოვი-წერ-ოთ, გამონა-წ-ები, წარ-წერ-ინობანი, შეგა-წერ-ინეთ, გა-ვი-წერ-ეთ, ჩაგვი-წერ-იეს, მიმოვი-წერ-ეთ, ს-წერ-და, მი-წერ-ია, გადასწერ-ოს, დაასწერ-ინებინებს და სხვა.

აქაც სიტყვის ძირს ნაცვლად მოვიხმართ ალგებრაული უცნაური ნიშანი x, რომელიც ვერავითარს ეთიმოლოგიურს სახიერებას ძირისას ვერ გვიჩვენებს, არამედ სიტყვის ძირს ზედ ეფარება და მივიღებთ კერძოდ უაზროდ დაშთენილს ნაწილებს ცნობილ სიტყვებისას ანუ ფლექსიებს, როგორც ზმრის გარემოებათა გარეშედ დაშთენილებს.

x-ა, მ-x-ს, და-x-ილი, მ-x-ალი, სა-x-ელი, ამოვი-x-დით, ჩაგე-x-ებოდით, გადმოგა-x-ინებდეთ, სამ-x-ალო, მ-x-ლობა, მ-x-ლობითი, x-ილადი, ნა-x-ები, შემო-x-ილი, წარ-x-ილობა, ჩა-გვი-x-იეს, ჩამა-x-ინეს, და-x-ილობითადი, ვს-x, ს-x-ს, ს-x-თ, ს-x-და, ს-x-ო, ავი-x-ოთ, გადმონა-x-ები, წარ-x-ილობანი, შეგა-x-ინეთ, გავი-x-ეთ, ჩაგვი-x-იეს, მიმოვი-x-დეთ და სხვა.

ეს სიტყვის შემმოსველი ნაწილები ანუ **ფლექსიები** გარეშედად არათერს ზმრს აჭმხელენ გონებასა, რადგან მხოლოდ ზმრის გარემოებათა მაჩვენებელნი არიან, ძირს და მისს ზმრს მხოლოდ აფერადოვნებენ ურთიერთობით, ბირობენებით, რიცხვით და დროის მიმოხვრით.

XIV. საზოგადო ფორმულა სიტყვისა.

საზოგადო ფორმულით გამოვჭესხოთ ქართულ სიტყვის შესაძლებელი სახიერება. ვსთქვათ, რომ y=შემდეგ ბრეფიქსებს =სი—, განმა—, მო—, მიაჭ—, გა—, გაუ—, ამო—, გადმოჭ—, გავაჭ—, შემოვიჭ—, ჩამოვიჭ—, მოგვიჭ—, გაგვაჭ—, შემოგვიჭ—, მოგვიჭ—, ამოვიჭ—, და სხვა, Z=შემდეგს სუფიქსებს = დე, —დებელი, —დული,—ებდა,—ებული,—დებლობა,--ევი, —ებინო, —და, —დეთო, —ებდეს, --ესო, —ოს,—დეს, —ეს,—ო,—ეს,—ებდა, —ებდეს, —ეს, —ელი, —ური, —ელი, —დული, —დია,—ო და სხვა, ხოლო X=ძირს სიტყვისას **ნათ**; მაშინ ამ სამი თანაბრობით შეგვიდგება შემდეგი მხოლოდ სამი შესაძლებელი ფორმულა სიტყვის სახიერებისა:

1., y+x, 2., x+z და 3., y+x+z:

1. ა-წერ, წერ-ილი, მო-წერ-ილი;

2. მს-ცემ, ცემ-ული, ნა-ცემ-სა;

3. მამ-ხელ, ხელ-ოსანი, სა-ხელ-ოსნო და სხვა.

მ. ქ. ყიფიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სადავო ნენ და ენ

წარსული წლის „სახალხო გაზეთის“ 494 ნომერში ვსთქვი, რომ მრავლ. რიცხ. მესამ. პირის ზმნის ბოლოა **ნენ**, ხოლოებითი რიცხვისა ენ. ვამბობდი, რომ ორთავე დაბოლოვებას თავ-თავისი ადგილი, თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს. **ნენ** ახლად შემოღებული კი არა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, არამედ მას სათავე უჩანს ძველს დროიდგან. მრავლობ. რიც. მესამ. პირში ზმნის ბოლო ყოფილა **ნეს**; შემდეგ უკანასკნელი ს-ნი შეცვლილა ნ-სად. ამის მაგალითები მოვიყვანე ბოლნელის მეათე საუკუნის ნაწერებიდგან, ფსალმუნიდგან, ვისრამიანიდგან, ვეფხის-ტყაოსანიდგან. ვწერდი, რომ **ნენ**-ს ხმარობს მთელი ქართლი და კახეთი. ასევე აბოლოვებენ ჩვენი ლიტერატორნი ქართლ-კახელნი და ზოგიც დასავლეთის საქართველოს მწერალნიც. ამისი მაგალითებიც მომყავდა იმავ „სახ. გაზეთში“.

პატივსაცემმა თ. სახოკიამ ჩემი წერილი კრიტიკულის თვალით განიხილა, დამიწუნა და გამიჯავრდა. იხილ. „სახ. გაზ. 655 და 656 ნომრები. მაგრე კი არ უნდაო, აი ასე და ამ კანონების ძალით იხმარებაო **ნენ**-ია. და თედო **ნენ**-ზე დაბოლოვებულს ზმნებს ოთხნაირ ხასიათისად ჰყოფს და ოთხნაირ კანონზე ამყარებს.

სახელდობრ:

1) ზმნებია, რომელთაც ფესვში ბოლოს უზით **ნ**, ნამყო სრულ მრ. რ. მესპირი ბოლოვდება ნენ-ზე. ფესვს **ნ**-ს ემატებაო ბოლო **ენ** და გამოდისო **ნენ**. მოჰყავს მაგალითები: გახედნა. მისი ფესვი **გახედნ**, ემატება **ენ** და გამოდისო—გაიხედნენ.

ხვეწნა	—	ეხვეწ**ნენ**.
წარდგენა	—	წარუდგ**ნენ**.
მორჩენა	—	მორჩ**ნ**ენ.
ჯმნა	—	იჯ**მ**ნენ.
ყვნა	—	იყ**ვ**ნენ.
ქმნა	—	იქ**მ**ნენ.
ვარდნა	—	დავარ**დ**ნენ.
ლოდნა	—	ელ**ოდ**ნენ.
ხვევნა	—	მოეხ**ვ**ივნენ.

2) ის ზმნებია, რომელთა დაუსრულებელ სახის ფესოში საბოლაო **მ**-ნია, მრ. რიცხ. მესამე პირში ამ **მ**-ნს მონათესავე **ნ**-ად იცვლის და დაბოლოვება გამოდისო **ნენ**-ზე. მოჰყავს მაგალითები, რომლებსაც აქავე მოვიყვანთ:

ძღომა	—	განძ**ღ**ნენ.
წყრომა	—	გაწ**ყ**ონენ.
დგომა	—	იდ**გ**ნენ.
შეთქმა	—	შეით**ქ**ვნენ.
დაცემა	—	დაეც**ნ**ენ.

3) ზმნანი, რომელთაცო ფესოში საბოლოო **ნ** აქვსო, აწმყო და მყობადში მრ. რიც. მესამე პირში **ნენ**-ზე ბოლოვდებიანო. მოჰყავს მაგალითები:

კბენ	—	კბ**ენ**ენ	—	უკბ**ენ**ენ.
სტვენა	—	სტ**ვ**ენენ	—	უსტ**ვ**ენენ

და სხვა და სხვა.

4) არისო აგრეთვე კიდევ ზმნებია, რომელნიც მესამე პირში მრავლ. რიცხ. უსრული დროისა, ბოლოვდებაო **ნენ**-ზე. ეს ზმნებია უსრულ დროს პირვ. პირში

ბოლოვდება **ე**-ნზეო. მხოლოდ სამსავე პირს მრავლობითი რიცხვსაც ემატება **ნ**. მოჰყავს მაგალითები:

1, ვიტანჯე — ვიტანჯენით
2, იტანჯე — იტანჯენით.
3, იტანჯა — იტანჯნენ.

ასე და ამ გვარად:

შევიყარე — შეიყარნენ.
ვეწვალე — იწვალნენ.
ვეწვიე — ეწვივნენ.
გავემგზავრე — გაემგზავრნენ.

ერთი ჰკითხოს კაცმა გასახარელსთ. სახოკიას, მე რაღას მიწყრება და მიჯავრდება! ნუ თუ იმიტომ რომ **ნენ**-ის არსებობის მაგალითები ჩამოვთვალე და არ მოვიხსენიე კანონები, რომლებზედაც არის დამყარებული ზმნების **ნენ**-ზე დაბოლოვება?! სხვები სულ უარს ჰყოფენ ამ **ნენ**-ს და რატომ არას ეუბნებით, ბატონო თედო! აშკარაა ამ **ნენ**-ის შესახებ ხუნდაძის გრამატიკა წინააღმდეგია თქვენის აზრისა. ან გადაათვალიერეთ „გუთანი“ — ოჯახში და სკოლებში სახმარებელი წიგნი 1911 წლისა ქუთაისში გამოცემული. იქ რაც კი ილია ჭავჭავაძის მოთხრობებია მოთავსებული და სადაც კი ილიას **ნენ**-ზე აქვს ზმა დაბოლოვებული, ყოველგან პირველი **ნ**-რი მოუსპიათ ძირიანფესოიანად. იხილეთ „გუთანი“ გვ. 142, 143: ურმები იდგენ. მეურმეები გაშოტილიყვენ. კამეჩები ეყარენ. ხარები იცოხნიდენ. კუდებით ბუზებს იგერებდენ. მეურმეები აიშალენ. თვალები გამოიყურებოდენ. მეურმეები დაბინავდენ. ყმაწვილები დაწვნენ. მეურმეები აიშალენ ყმაწვილები წაიღებდენ“.

ასე უსწორებენ ილიას, მაგრამ თ. სახოკია ილიას ხომ ქართული ენის ავტორიტეტად არა სთვლის, ალბად იმიტომ რომ ზმნას მესამ. პირ. ძრავლ. რიც. **ნენ**-ზე აბოლოვებს. უსწორებენ ილიას კიდევ: გვ. 241. „ხალხი დიდხანს იდგებოდა, რომ მღვდლის სიტყვეს არ გამთეფზლებია“. გვ. 145: „კაი ქეიფსაც გააწევიებთ“. განდევნილია პირველი **ნ**-რი ე. გაბაშვილის მოთხრობებიდანაც და შიო მღვიმელის ლექსიდანაც.

ახლა გადავავლოთ თვალი თ. სახოკიას მიერ **ნენ**-ზე დაბოლოვებულს ზმნებს. თითქმის ყველა უხმო ასოს, რომელიც კია ფესოდ ზმნის ბოლოში, აკუთვნებს დაბოლოვებას **ნენ**-ზე; **წნენ**, **გნენ**, **ჩნენ**, **მნენ**, **ვნენ**, **ლნენ**, **რნენ**, **ქნენ**, **ცნენ**, **ჯნენ**, **ლნენ**. რაც შეეხება **დნენ**-ზე დაბოლოვებას, ვერსად ვერა ხედავს და მეუბნება, რომ ამის მაგალითს ვერ მიჩვენებო, თუმცა მაგალითები იმავ 494 „სახ. გაზეთში მქონდა მოყვანილი. ს. ვაჩნაძემაც ჩინებულად დაასაბუთა **დნენ**-ის ხმარება „სახ. გაზ.“ 667, 671, 672 ნომრებში, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. ამით დიდი დახმარება გამიწია, შემინახევრა საქმე, რისთვისაც დრო და მოცალება არა მქონდა. ეხლა კი მხოლოდ ფაქტებს დავასახელებ.

იხილე ვეფხის ტყაოსანში ტაეპი 359.

„ავდექ, მსხდომნი ნადიმობით
აემზ**ადნეს** ასაყრელად“.

იხილეთ კიდევ ტაეპი 740.

„მე მაგისა მოსმენამდის
რად არ ყურნი შემეჯ**დნეს**“

იხილეთ ტაეპი 889.

„მერმე შედგრად წაიკი**დნეს**“

ტაეპი 1354.

„მათ მშვილდები დაიწვადეს,
მეჯოგეთა გაეკი**დნეს**“.

აი ვისრამიანიდგანაც. გვ. 26.

„და ყოველნი შემოიქნეს და მოვი**დნეს**
ძლევა-მოსილნი“.

„და გაგზავნილნი მოვი**დნეს**“.

სიტყვები: აემზადნენ, წაიკიდნეს, შე-

მეჭიდნეს, მოვიდნეს, წავიდნეს, გაეკიდნეს მესამე პირის ზმნებია მრავლ. რიცხვში ძველებურის ფორმისა. ეხლა კი ამბობენ მრავლობითში: აემზ**ადნენ**, წაიკი**დნენ**, შემეჭი**დნენ**, მოვი**დნენ**, წავი**დნენ**, გაეკიდნენ. ძველებურ **დნენს**-ში **ს**-ნი **ნ**-რად იცვალა, მაგრამ პირველი ნარი რომელის უფლებით და კანონით იდევნება?! **ნენ**-ზე დაბოლოვებული ზმნები იხილეთ მთელი ტაეპი ვეფხვის ტყაოსანში 1397.

აი კიდევ მაგალითები **დნენ**-ის არსებობისა. იხილეთ „სიბრძნე-სიცრუე საბასულხანისა. თავი 117.

„მოვი**დნენ** თამაშობით ცოლი და შვილი, ცეცხლში შევი**დნენ** და დაიწვნენ“. თავი 119.

„მეფე-დედოფალნი მოვი**დნენ**“ მაგალითი „ქილილა და დამანიდამ“. გვ. 192, 193.

„მოხუცებულნი სულტანის სამსახურად წავი**დნენ**“.

„მეფის წინაშე მდგომნი გაჰკვირდნენ“.

ინებეთ მაგალითები კიდევ „ბესიკიდგან“. ბესიკი გაბაშვილი ძველი მწერლების მოწაფედ გამოდის და ახალი პოეტების მასწავლებლად. იხილეთ „ბესიკი ქართ. სიტყვა-კაზმულის საზ. გამოცემა ამ წელსა გვ. 65, 66, 94, 129.

1) „წინა ჩაგისხ**დნენ** დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი“.

2) „მუხლს გეხვეო**დნენ** საკოცად“.

3) სწეწ**დნენ**, გლეჯ**დნენ**, პირთ იფხაჭ**დნენ**.

4) როს გაშველ**დნენ**, წაცაიქცნენ.

5) ბებერი დასად, ტერტერა ასად შესარიგებლად მოვი**დნენ** მალვით.

6) ვარჯოფ-ის შვილსა მიქებ**დნენ**.

ვგონებ საკმარია ეს მაგალითებიც, მეტი არ იქნება ჩამოვთვალოთ ის ზმნები, რომლებიც კი მოგვაგონდა და რომლებიც მრავ. რიც. მეს. პირში პირველის ნარის გამოკლებით აზრსა ცვლილობს:

აღიკვეცნ(ნ)ენ, ავიდ(ნ)ენ, აღივს(ნ)ენ, აღმოიფხვ(ნ)ენ, აცდ(ნ)ენ, აიწერ(ნ)ენ, ადგ(ნ)ენ, გადიბუგვ(ნ)ენ, გაიპენტ(ნ)ენ, გაილახვ(ნ)ენ, გაირყვ(ნ)ენ, გარდიქმ(ნ)ენ, გადიკაკვ(ნ)ენ, გადაიკაფვ(ნ)ენ, გადაიკეტ(ნ)ენ, გადაიწვ(ნ)ენ, გადვიდ(ნ)ენ, გაისინჯვ(ნ)ენ, გახდ(ნ)ენ, გაილეწვ(ნ)ენ, გაიხს(ნ)ენ, გადიჩეხ(ნ)ენ, დაიხოც(ნ)ენ, დაიმარხვ(ნ)ენ, დაიფუქვ(ნ)ენ, დაიფცქვ(ნ)ენ, დაიწვ(ნ)ენ, დაიბ(ნ)ენ, დაადგ(ნ)ენ, დააწვ(ნ)ენ, იდგ(ნ)ენ, იწვ(ნ)ენ, მოიჭმუხვ(ნ)ენ, მიაწვ(ნ)ენ, მოიკაზმ(ნ)ენ, მომიცდ(ნ)ენ, მოირწყვ(ნ)ენ, მოვიდ(ნ)ენ, მიდგ(ნ)ენ, შევიდ(ნ)ენ, შეუდგ(ნ)ენ, შეადგ(ნ)ენ, შეიქმ(ნ)ენ, ჩავიდ(ნ)ენ, ჩაიხელ(ნ)ენ, ჩაილეწ(ნ)ენ, ჩამოიბერტყ(ნ)ენ, ჩამოიხრჩვ(ნ)ენ, ჩამოეხს(ნ)ენ, ჩაიწვ(ნ)ენ, ჩაიკეტ(ნ)ენ, ჩაიწერ(ნ)ენ, ჩაიჭედ(ნ)ენ, ჩაიხოც(ნ)ენ, ჩაიხუტვ(ნ)ენ, წარუდგ(ნ)ენ, წარიკვეთ(ნ)ენ, წარმომიდგ(ნ)ენ.

ეს ზმნები ყველა **უსრული** სახისაა უ პირველ ნაროთ, ზოგი მრავ. რიცხვისა და ზოგი ხოლ. რიცხვისა. გარდა ამისა პირველი ნარის მტრები ამ ზმნებს სთვლიან აგრეთვე მრავლ. რიცხვში მესამე პირში სრულ სახისად. დაბოლოვების პირველს ნარს ის სამსახური მიუძღვის, რომ ზმნებს ორ აზროვნობას აცილებს და ენის ნაკლიც ამით თავიდგან აცილებულია.

ივანე ავალიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპიროსანი

მოხუცი მასწავლებლის ნაამბობი

(დასასრული)

ერთხელ,—როცა მე წიგნებს ვათვალიერებდი და ვარჩევდი მათ შორის მიტოსთვის შესაფერს, ის-კი დაღვრემილი, ცხვირ ჩაშვებული უძრავად იჯდა და მხოლოდ ფლეგმატიურად დააფარფატებდა ერთი საგნიდგან მეორეზე დაღლილსა და მიბნედილ-მინავლებულს თვალებს,—შევეკითხე:

— მიტო, რა მოგდის? რაღაცა ამ ბოლოს დროს სრულად მოიშალე, გამოიცვალე, რაღაც მკვახედ და უკმაყოფილოდ გამოიყურები... ავად ხომ არა ხარ?—

იმან მომაპყრა თვისი წვრილ-წვრილი, მაგრამ ღრმად გრძნობიერი და გონივრული გამომეტყველების თვალები, რომელთაც მხოლოდ ამ წუთში გაანათეს ღვთიურ ცეცხლით და მგზნებარე ნაპერწკლები გადმოაფრქვიეს ნაცრის ფერად მიბნედილ რკალებში ღრმად ჩამჯდარ ჩარჩოებიდგან გაცრეცილ-გაფითრებულ სახეზედ.

— არა, ვმადლობ ღმერთსა, კარგადა ვარ,—მშრალად და უხალისოდ წაილაპარაკა იმან და ერთი ღრმად ამოიხვნეშა, თან ოდნავ წინ წამოიხარა და დაუმატა,—ოხ, ივანე, ჩემო ივანე! რომ იცოდე რა მძიმე, რა გამოუთქმელად საშინელი ცოდვა მაწევს!..

— რა ცოდვა, — შევეკითხე დაფანტულმა.

— ოოჰ!.. რა ცოდვა... და... ის რომ... თედორე... ჩემის მეოხებით გამოესალმა წუთის სოფელს!..

— ეჰ, კმარა მიტო! რასა ჰბოდავ?!..

— ოოხ, მერწმუნე—ჩემის მეოხებით! მე მოვკალი მე; ჩემი საკუთარი, საყვარელი ძმა!—იმან ხმა აიმაღლა და ხშირი და მძიმე სულთქმა დაიწყო.—თქვენ არ იცით, და მე-კი ვარ ნამდვილი მიზეზი იმის სიკვდილისა. მე ვარ დამნაშავე!.. იმიტომ... იმიტომ... რომ...—მიტოს იმდენად გაუძნელდა ლაპარაკი, რომ ის უკვე ძალას ატანდა თავის თავს.—რომ... მე იმას... ხშირად შეურაცხვჰყოფდი ხოლმე და ზოგჯერ... ვცემდი კიდეც.—უცებ, თითქმის დაიყვირა მიტომ უკანასკნელი ორი სიტყვა და ცრემლთა, გულწრფელი სინანულის ცრემლთა ნაკადული მსხვილ წვეთებად ხშირ სეტყვასაებრ ღაპა-ღუპით მოსკდა იმას მიმქრალ თვალთაგან. გული ყელში ებჯინებოდა, სულთქმა ეხუთებოდა, ქვედა ჩარბი ნერვიულად უცახცახებდა... ის, ის იყო წაქცევას ჰლამობდა, რომ ხელი წავავლე და შევაჩერე.

— მიტო დამშვიდდი, ნუ სტირი ხეირიანად მომიყევ და გამაგებინე—რაშია საქმე? შეურაცჰყოფდი და სცემდი კიდეც... ეგ ხომ მოკვლას არ ნიშნავს.

— არა, მე ვარ დამნაშავე!—მტკიცედ წარმოსთქვა მიტომ.—იმისთვის რომ მაგ. ცემით დაავადდა იგი და.. ბოლოს კიდეც გამოესალმა ჯერეთ ნორჩს სიცოცხლეს.—და ოდნავ უფრო დამშვიდებით განაგრძო,—აბა როგორ არ დაავადმყოფდებოდა?—ერთხელ დიდი, უშველებელი კეტი ისეთი ვსთხლიშე თავში... აი რა ბრიყ-

ვი, უგუნური რამა ვარ, რა საზიზღარი, გარეწარი, ქვედაბული კაენი ვარ!.. ვეებერთელა საბიჯგარი პირდაპირ თავში!.. ის საბრალო შეტორტმანდა, კინაღამ არ წაიქცა, ძლივს ისევ თავი შეიმაგრა, მხოლოდ კურცხლები-ღა გადმოსცვივდა უაზრო გარეტებულ თვალთაგან... მახსოვს კიდევ ერთხელ წავსტაცე ფეხში ხელი და შეუბრალებლად ვათრიე ქოხში, კოკონის გარშემო... საზარლად გაჰკივის საცოდავი, მე-კი ულმობელი ისევ მივათრევ. მთელი პირის სახე დაეკაწრა; სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა ცხვირ-პირიდგან... ანა-და აი ეხლაც სულ. ერთი თვით უკან მის გარდაცვალებამდე; ერთი ისეთი მძლავრი მუშტი ჩავაბილე მკერდში, რომ ის უგრძნობლად დავარდა მიწაზედ და რამდენიმე წუთი სული ვეღარ ამოიბრუნა... და თქვენ კიდევ მარწმუნებთ, რომ მე არ ვიყო მისი სიკვდილის მიზეზი?.. სხვა სხვაა და ალბად მე იმას დავუზიანე რამე შიგნით გულ-მკერდში; ან რომელიმე ძარღვი, ან სხვა რაიმე,— ხომ ყველაფერი ადვილი შესაძლებელია? მკვლელი-კი, ცხადია, მე ვარ; მკვლელი-წყეული, კაენი-გარეწარი!..—მიტოს მეტი ვეღარ გაუძლო გულმა, სახეზედ ხელები დაიფარა და გულ-ამომჯდარი ქვითქვით—ვიშ-ვიშით გაბა ხანგრძლივი, ყრუ ზმუილი. მხოლოდ დროგამოშვებით ნერვიულად მხრებს აიქნევდა ხოლმე.

— მერე, რა-რიგ მიყვარდა იგი?!.. ოოჰ, რა რიგ მიყვარდი, ჩემო თვალის სინათლევ; საყვარელო ძმაო!.. მიყვარდა და ვაწვალებდი თან; ვსცემდი, ვსტანჯავდი!—დაუმატა იმან, მხოლოდ უფრო ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, თითქოს თავისთვის...

— და, ნუ თუ შენ არ გაგიგია მიტო, რომ ის წითელამ იმსხვერპლა? ეგ საშინელი სენია, სნებაზე უარესი,—განუმარტე მე.

— წითელა!.. რა ვუყოთ მერე? შესაძლოა წითელაც სჭირდა, მაგრამ ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მეცა მაქვს დანაშაული იმის სიკვდილში; მეცა ვარ მიზეზი მისი ნათელი მზის უდროვოდ დაბნელებისა. იშვიათის სიბრალულით ამევსო გული ამ უცნაურ ბავშვისადმი. მაჯებში ხელი წავავლე და გავუთავისუფლე დაფარული სახე. იქა-აქ ლალის ფერ დაკრულს, გაფითრებულ პირის კანს სისოვლე ეტყობოდა, ალაგ-ალაგ ბროლივით გამჭვირვალე სპეტაკი ცრემლის წვეთები ობოლ მარგალიტის მძივებად ეკიდნენ და ციმციმებდნენ.

— ოხ, რა რიგ მებრალება მე იგი?— კვალად აღმოჰხდა გულდამდუღრავი კვნესა ბავშვის უანგარო გულიდგან,—როგორც ცოცხალი, განუშორებლად სულ წინ მიდგას და მელანდება...

მე ყოველი ღონის ძიება ვიხმარე დამემშვიდებია მიტო. სიტყვა ბანზედ ავუგდე და თან-და-თან სხვა საგნებზე ლაპარაკში ჩავითრიე. და ბოლოს, როცა გამომეთხოვა, ბავშვმა უკვე გულდამშვიდებულად გამოიცქირა, თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს მხიარული ღიმილიც გადაეშალა მთრთოლვარე ბაგეებზედ.

მე თავს იმედს ვაძლევდი; ვფიქრობდი,—ყოველივე ეს მალე გაივლის; ბავშვს ჩქარა გაიტაცებს ცხოვრების ტალღა, იმედების ცხოველ-მყოფელ მორევში ჩაითრევს ყმაწვილური ოცნებით წარმოდგენილი მოშავლის—სასოებათა თვალწარმტაცი ფერადები. და მალე ისევ დაავიწყდება, გადაუვლის სიცოცხლის მომშხამველი, სულის მქენჯნელი სევდა-ვარამი... იმედი მქონდა ყოვლის შემძლე, ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმკურნელ დროის... მაგრამ მოვსტყუვდი!..

მიტოს დღითი-დღე უფრო და უფრო იტაცებდა და იპყრობდა მთელს მისს არსებობას მწუხარების სასტიკი გრიგალი. სული მისი განუწყვეტლივ შფოთავდა. განქრა უკვალოდ ცელქი ციალი ღვთიური ცეცხლის ცხოველ ნაპერწკლისა, რომელიც ისე ხშირად ეღვზნებოდა და მხიარულად დასთამაშებდა იმის პაწია თვალებს. ყოველი ასო, მისი სხეულისა უფრო დასუსტდა, დაწვრილდა, ტანიც ჩამოუგრძელდა. თითქმის აღარაფერსა სჭამდა. არასფერი არ ახალისებდა, მეტი ხანი ეძინა. და უძლეველ აპატიით შეპყრობილი ყველაფერს გულგრილად შეჰყურებდა. დაუძლურდა, არაქათი გამოელია. დღითი დღე შესამჩნევად დნებოდა, როგორც თაფლის სანთელი და ორიოდე თვის შემდეგ ლოგინადაც ჩავარდა.

მე განუწყვეტლივ მომდიოდა ცნობები მიტოს შესახებ. ჩვენი მოწაფენი რიგრიგად ნახულობდნენ იმას ყოველ დღე და მობრუნებისას მეც მიამბობდნენ ხოლმე მისს მდგომარეობას. ზოგჯერ კვირაუქმე დღეს მეც ვნახულობდი მიტოს... ერთხელ მე და ჩვენი ექიმი—სერგო პეტრეს ძე წავედით მიტოს სანახავად. როცა ქოხში შევედით, ბავშვი დაფლეთილ-დაკონკილ ქვეშაგებში იწვა, პირი კედლისკენ ჰქონდა, მაგრამ მოესმა თუ არა ჩვენი ხმა, მოტრიალდა, წამს რაღაც იდუმალი სიხარულის ელფერი გადაეკრა სახეზედ და მთელი სხეულის ყოველი კუნთის ძალზედ დაჭიმვით ძლივს წამოჯდა, ამ დროს სახეც საზარლად დაემანჭა, თითქოს აუტანელ ტკივილსა გრძნობდა სწორედ იმ ნაწილისას, რომელსაც ყველაზე მეტი ჯაფა-ძალდატანება სჭირდებოდა ამ პროცესში. იმ საბრალოს მოძრაობა მეტად ეძნელებოდა. ჩვენ მივესალმეთ.

— მიტო! რა გტკივა?—შევეკითხე მე.

— არასფერი არა მტკივა, ჩემო ივანე!

— როგორ თუ არასფერი? განა ვერა ვხედავ რა დაგმართნია?

— არასფერი არა მტკივა—ისევ განიმეორა იმან და მცირე დაფიქრების შემდეგ ჩუმად დაუმატა,—მე თედორე მომიხმობს თავისთან...

მე და სერგომ სახტად გადავხედეთ ერთმანეთს.

— გუშინ ცოტა მიმეძინა,—განაგრძობდა მიტო,—მძინავს და თავში-კი რაღაცა განუშორებლად მიტრიალებს, მტანჯავს, არ მასვენებს... და უცებ წარმომიდგა: თითქოს ჩემს წინ გადაშლილა დიდი ღრე, უზარმაზარი ხრამი—უფსკრული, ბნელი წყვდიადით გარემოცული, მე-კი ვწევვარ ზედ იმის ნაპირზედ და გადავჰყურებ ძირს—შორს, შორს უფსკულის საშინელ ბნელ მორევს... ძირი და დასასრული არსად უჩანს. ვთრთი და ვცახცახებ, ვშიშობ—არ გადავარდე; რაღაც უხილავი ძალა-კი იქით მიმიწევს, ღონივრად მიმეზიდება ძირს. მე უფრო და უფრო მაგრად ვაბჯენ ხელ-ფეხს მიწაზედ, მინდა ცოტათი მაინც უკან დავიხიო, მაგრამ, რამდენადაც ვლამი და ვძალობ უკან დაწევას იმდენად უფრო და უფრო მწევს რაღაცა და მეზიდება ძირს უფსრულისაკენ... უცებ—ჯერ ისე ბნელოდა, საშინელი ღამე მეფობდა,—ეხლა-კი სადღაც ძირს, ძირს ღრანტეს ფსკერზედ რაღამაც გაანათა და ოდნავ დაარღვია ჯოჯოხეთური წყვდიადი უფსკრულისა... დავაცქერდი: თითქოს ვიღაცა ზის, უფრო ჩავაკვირდი,—თედორე!.. ჩვენი პატარა ლეკვინაც კალთაში უზის... ეალერსება... აიღო თავი მაღლა, შემომცქერის,

ეროვნული

პირზედ საამური ღიმილი დასთამაშებს... და მეუბნება: მიტიკო, მოდი ჩემთან, ძმაო, მოდი!"-ო.

ქანცგამილეული ბავშვი მოწყვეტილი, უარაქათოდ დმვარდა ბალიშზე და თავდავიწყებას მიეცა...

ჩვენ წამოვედით.

— ა, როგორ ატყობთ?—შევეკითხე გზაში ექიმს.

— ძალიან ცუდად არის; დამაუძლურებელი ციება აქვს; მთელი სხეული დამდნარა, გალეულა,—კბილებში ძლივს გამოცხრილა ექიმმა, და კიდევ რაღაცა დაუმატა, მაგრამ მე ვეღარ გავარჩიე იგი.

სწორედ აღდგომა დღეს, როცა მრავალი ზარების ჰარმონიულად შეთანხმებულ ხმათა ტკბილ-საამური დუდუნი გაისმოდა ეკკლესიის მაღალ სამრეკლოდგან და შორს, სოფლის გადაღმა, ცის დასავალთან, ეთერის უსაზღვრო სივრცეში ნაზად და წყნარად განიბნეოდა, სასოებით გულის აღმვსები გუგუნი, და ირგვლივ ყოველი: უსულო თუ სულიერი ხარობდა და ლიტანიობდა, აი ამ მშვენიერ დღეს აღსრულდა მიტო... ის მიიცვალა წითელი კვერცხით ხელში. ჩვენმა მოწაფეებმა სასაფლაოზედ მიასვენეს, უგალობეს: „განუსვენე შენ უფალო, სულსა მონისა შენისასა"... და თან-და-თან დავიწყებას მისცეს იგი.

როცა სწავლა დაიწყო და მოწაფენი შეგროვდნენ, ჩვენ მოვიგონეთ მიტო.

— ახია იმაზე,—გაისმა ხმა უფროს მოწაფეებში.

— რადა?!.. შევეკითხე მე.

— იმიტომ, რომ იმან მოჰკლა თეოდორე,—მიპასუხა იმავე ხმამ.

— საიდგან მოიტანე შენ ეგ აზრი?

— თვითონ მიტომ გვითხრა! ყველას ეუბნებოდა: „მე მოვკალი თეოდორეო".

მე საჭიროდ დავინახე ამეხსნა ბავშვებისთვის, როგორც იყო საქმე. ყველაფერი დაწვრილებით უამბე იმათ, რაც-კი რამ თვითონ ვიცოდი ამის შესახებ. ისეთის გაფაციცებულის ყურადღებითა და გულმოდგინედ შემომცქეროდენ ბავშვები, თითქოს შიშობდნენ ერთი სიტყვა არ დაგვეკარგოსო. როცა მიტოს-მიერ ნახულ სიზმარზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველამ გაორკეცებულის ყურადღებით დაცქვიტა ყურები და თვალები ისარივით ხარბად მომაშტერეს. იქა-აქ გაისმა სიბრალულით ამოოხვრა...

— ანგელოსთა ღვთისათა უნებებიათ იგი,—ცრემლ-მორეულის ხმით ჩამოურია თავისი აზრი მტრედის ფერ თვალებიანმა ათიოდე წლის ვასომ.

ლაპარაკი გადავიდა მიტოს სიკვდილზე, იმის დასაფლავებაზე.

— აი, აწი მიტო უკვე აღარ არის თქვენს შორის,—დავიწყე მე ბოლოს დასკვნის კილოთი,—მაგრამ თქვენ მაინც არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ იგი. გახსოვდეთ მუდამ, როგორც კეთილი ადამიანი და ამხანაგი. მიუტევეთ მას თუ როდისმე ვისმე რაიმე დაგიშავათ, თუ რითიმე შეურაცგჰყოთ ვინმე თქვენგანი და გაწყენინათ—აპატიეთ. ილოცეთ მისთვის, შეავედრეთ მისი უმანკო სული უფალსა... თეოდორე, რა თქმა უნდა, იმას არ მოუკლავს, მაგრამ თეოდორეს სიკვდილი-კი, უეჭველად შეიქმნა მიზეზი მიტოს სიკვდილისა.

— ძლიერ კეთილი გულისა იყო მიტო,—გამაწყვეტინა ლაპარაკი იქვე ჩემს ახლო მდგომმა პატარა გოგონამ...

— **პატიოსანი**!—დაბალის ხმით მტკიცედ, თითქოს გაუსწორა უფროსი კლასის მოწაფემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა თვე. მეორე. დადგა გაზაფხული. მშვენიერი ამინდები დაიჭირა. საამური, თბილი დღეები ოცნებით გვიზიდავდა მინდვრად, სოფლის გარედ, სადაც ფართედ და ლაღად გაუშლია ფრთები თავისუფალ ბუნებას; სადაც ბუნების შვილთ, ახლად შობილთ გაზაფხულისგან, ახალ სიცოცხლის ძალით აღგზნებულთ არ მიჰკარებიათ ანგარება ცხოვრებისა, ბოროტება ადამიანთა, სადაც დალეწილა სიცოცხლის შემჯაჭველი ხუნდი—ზამთარი და ფერად-ფერად ყვავილებით ტურფად მოქარგულ მდელოს, თავისუფლად ჩაულიკლიკებს, თავის გულის ნადებს, უმღერავნებს იდუმალ ხვაშიადს ანკარა ნაკადული და მაგრილებელ ცინცხლებს აპკურებს, როგორც გულით მოგლეჯილს წრფელ გრძნობას, თვალით მოსხლეტილ ბროლის ცრემლებს. იმათ ცელქობას-კი ცხოველმყოფელი მზე—დედა სიცოცხლისა—მაღლიდგან ლაღი ქათ-ქათით დასცქერის და თითქოს ალერსით ხელებს დაუსვამს,—ნათელ სხივებს ააციმციმებს ნორჩ მდელოზედ, ააცქრიალ-ააციალებს და გულ-ღვიძლში ჩაექსოვება მოკისკასე ნაკადულის პაწაწინა ტალღებს, თითქოს იქედანა სწოვს უკვდავების ნექტარს თავის ძლიერებისას და მათვე ანიჭებს უკვდავება-მშვენიერების ძალას. იქა-აქ ჩირგვებში საამურად გაისმის მრავალ-გვარ კილო-ჰანგები მოლხენილ ფრინველთა,—გაზაფხულის განახლებულ სიცოცხლეს, რომ ეგებებიან აღტაცებულნი; შემოქმედს—მშვენიერების ღმერთს უგალობენ ჰიმნს ქებათა-ქებისას და მით ჰარმონიულად ამთავრებენ ბუნების თაიგულის, უკვდავ მშვენებას... იქ ნორჩი სიცოცხლე სდულს — „სიცოცხლე-ნიტარება“!.. იქ უკოდველ-უანგარო წმინდანთა სავანეა... იქეთკენ გვიზიდავდა ჩვენი ინსტიქტი,—„იქნებ შეიგნოთ ადამიანნო, თუ ვით უნდა ცხოვრება, თუ რა არის ბედნიერება“-ო, მაგრამ ბუნება დიდი ხელოსანია და მისი მიბაძვა ცოდვილთათვის მიუწვდომელია—შეუძლებელი. იქით მეზიდებოდა ეხლა მეც რაღაც იდუმალი, დაუცხრომელი ძალა... ბედად უქმეც მალე გამოერია. წირვის შემდეგ მე სასეირნოდ გავემგზავრე. სასაფლავოსკენ ჩავლა მომიხდა... შევხედე,—მიტოს საფლავზე მთელი ხროვა თავებისა ფუსფუსებს... მეც ცნობის მოყვარეობამ დამძლია და იქითკენ მივუხვიე... ბავშვები გაფაციცებითა და გულდასმით ასუფთავებდნენ მიტოს საფლავს; სთხრიდნენ უვარგის ბალახებს და ასწორებ-ალამაზებდნენ მიწას.. იქვე პატარა გოგონებიც გვირგვინსა სწნავდნენ ლამაზ ყვავილებსა და მწვანე ფოთლებისგან, რომ მიტოს საფლავს—სათავით მდგომ ჯვარზედ ჩამოეკიდნათ.

მე მივესალმე ბავშვებს; განზრახვა მოვუწონე და შექებით შევაქეზე, განეგრძოთ ეგ კეთილი საქმე...

ორი ჩიტი იჯდა ჯვარზე და რაღაცას სევდიან-კაეშნიან კილოზე ნაზად ჟღურტულებდა.

ეს მიტოს სულია!.. სტირის, რომ ასე უდროვოდ გამოესალმა წუთის სოფელს, გამოაკლდა ტოლ-სწორებს და, დღესაც აქ, ჩვენთან მხიარულად დროს ვერ ატარებს,—მითხრა ერთმა გოგონამ და ხელი ჩიტებისაკენ გაიშვირა...

ილ. გოგია.

(დ. ფინი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშორების ჟამს

გაცდა ჭეშმს სამკვიდროსაგან, თუ დგომა არ ეგებოდეს,
გული რა ნადგების მორევსა არ ოდეს გაესვლებოდეს.
თუმცა მგზავრობა ძნელია, რაზომცა კაცი კვდებოდეს,
და მაგრამ შინ ჭირსა ისა სჯობს, გარ ადი მოედებოდეს.

"ქილილა და დამანა"

სამშობლო მხარეო! წამომიქროლა გაშორების სასტიკმა ქარმა. ფიქრ-ცრემლიანსა შემოდგომის ფოთოლსავით მიმაწიალებს უცხოეთისკენ. ჩვენი გათიშვა ვგონებ იყოს სამუდამ ჟამო, ვგონებ უკანასკნელად სჭვრეტენ თვალნი შენს საოცნებო მდელო წალკოტებს. უკანასკნელად სრბის ოცნება ჩემა გომბორის მთის გრეხილებზედა... ვშორდები ჩემის ყრმობის აკვანსა და იმას ვჩივი, იგი აკვანი არ გადამექცა სამარეთა... სამარადისო შემოდგომის ფრთებ განწონებულს სიკვდილის ჟამსა ალაზნის ველის ცელქი ნიავი უკანასკნელად არ გამაჟრჟოლებს ნეტარებითა... მშობლიური ცის ვარსკვლავთა ხომლი არ მომფენს ვერცხლის სხივებსა, რომ ერთხელ კიდევ ციმციმკიანთით მომიქსოვოს ტკბილი სიზმარი.

ცხადლივ ობოლსა ყარიბი ოცნება რამინადაც ველარ გადამაქცევს ვისისადმი სატრფიალოდა ვახლახ! იგი დამისაფლავა სევდის კურუმმა.

სამშობლოვ ჩემო! ვითარ მინდოდა შენს წიაღში გამეცადა ნეტარების წუთები და საუკუნენი.

რა აღფრთოვნებით მოვისწრაფოდი შენსკენ, რადგან შენს კალთებზე ვჰგიებდი ასულს შენსავით ტურფას და საყვარელსა.

ვფიქრობდი ცხოვრების ღუზას იმის ფრთეთა ქვეშ გამოუშვებდი და მოქანცულსა ფიქრ-გონებას განვასვენებდი.

ვგონებდი მუნ ავმართავდი რწმენის ტაძარს და ტრფობის საკურთხეველზე ჩემს ობოლს გულს შესაწირავად დავაკმევდი.

ეჰ, თურმე საშინლად ვტყუვდებოდი... არ გამიმართლდა პაემანი. ვერ გავიცადე წუთიერი ნეტარებაც კი... ვისაცა ვმონებ ის მიწყივ მელტვის...

განა შეიძლება ამის უძლიერესი წამება?

სატრფოს გულისთვის გადმოვლო ზღვა და ხმელეთი, მოჭირვებით ეცადო იმის შეხვედრას და ვერ ეღირსო, ვერ აახმატკბილო სიყვარულის ორძალი. ნუ თუ, ნუ თუ არ ესმოდა სულის ძახილი? ნუ თუ ვერ მიმიხვდა ხვაშიადსა მაშინ, როდესაც ყვავილებსაც არ დაჰრჩათ შეუმჩნეველი.

მახსოვს, იამ შემასწრო თუ არა თვალი—ოდნავ გაიღიმა და შემომძახა: იხარებდე, შენი ღვთაება აქ არისო. ჯერ გავრინდდი ნეტარებისაგან და ბოლოს, როცა ცნობად მოველი შევეკითხე: შენ გენაცვალე იავ, მითხარი: სევდას ხომ არ დაუმონია მისი ოცნება მეთქი.

— არა ჩემო კარგოო—მიპასუხა—მისი ოცნება ისევ ისე ცქვიტია ვით მთის ნიავი, მისი თვალები ისევ ნარგიზობენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გული ისევე უმანკოა ვითარცა მტრედიო. სთქვა თუ არა ეს სულს ჰმუნვის ძაძა ჩამოეფხრიწა.

დაუწყე ძებნა გულის უფალსა. იგი კი არა გამოჩნდებოდა. სუმბული შევნიშნე. მასაც ვაცნობე რაც მაწუხებდა.

საწყალი! ისე იყო ურვეული და მიბნედილი იადონის გალობისაგან, რომ ვერა ჰყო გულის ხმად ჩემი შეკითხვა.

იასამანი ჯერ პირს მარიდებდა, მაგრამ რო არ მოვეშვი ოდნავ შეირხა... ჩაფიქრდა და მითხრა: ვით მოგიყვე, საბრალო-ბელო, შენი მტყვევნელის ამბავს, როდესაც ისეთივე საამო არ იქნება, როგორც იამ გადმოგცა... ია მეტის მეტი მიამიტი რამ არის. სწამს, რასაც ჰგრძნობს, სხვაც მას გაიცდიდეს. ასე ჰგონია რაკი თვით ვერ გაუბედნია ვერაფერი სხვაც ეგრე იყოს. საკმარისია განთიადისას თვალი მოჰკრას შენს ღვთაებას საოცნებოდ გამოსულს, რომ დარწმუნდეს მისს უმანკ...

—სთავხედობ იასამანო—შევყვირე გაშმაგებით... იგი ანგელოსის უწმინდესია და იალბუზის თოვლის უსპეტაკესი... კიდევ რაღაცის თქმას ვეპირებოდი, რომ ბულბულმა ჩაიქვითქვითა. ვერ მივმხვდარიყავ რამ გამოიწვია მისი კვნესა... ჩემთან ერთად აღშფოთდა იასამანის მიმართ, თუ ჩემს გულუბრყვილობას ვალალებდა...

ოდეს მასაც ვეაჯე—მიპასუხა: გეთაყვა გამანთავისუფლე მაგის თქმისაგანა, ჩემი ვაებაც ვერ დამითმენია, სჯობს მთვარესა ჰკითხოვო.

ეჰ მთვარე, მთვარე. ვინ ენდობა მას. განა ქალწულივით თვალთმაქცი არ არის? ისე გაფითრდება, ისე განაზდება, თითქოს არაფერი იცოდეს. ნამდვილად კი დიდი მზვერავი და ენა-ტანია რამ არის. რამდენჯერ, რამდენჯერ გაუნდვია ყრმას თავისი საიდუმლო მთვარისათვის, მას კი ის საიდუმლო ვარსკვლავებისათვის უცნობებია, მათაც იგი ამბავი სასაცილოდ შეუმჭევრბიათ და კისკისით ჩამოუძახნიათ ყრმის სატრფოსათვის და გაუგულისებიათ... შეუჯავრებიათ მისი აშიკი.

აბა ამის მცოდნეს ვით მიმემართნა მთვარისათვის. უნუგეშოდ ვიარებოდი.

როგორც ყვავილნი შუა ღამისას ყლორტებს მაღლა აჰმართავენ და მოიხმობენ, მოიწოდებენ განთიადს,—ისე ვეეედრებოდი ჩემს ცისკარს, მაგრამ ყრუ იყო ჩემთვის.

აი, რა მაურვებს ჩემო ქვეყანავ.

აი, რამ დაასუსტა ჩემი მტკიცე სასოება.

მარქვი გეთაყვა: ვით მედგომება იმ ქვეყნად სადაც სიზმარშიაც კი სიზმარი გამიბედითდება. ავყია ბედი რის ავყიაა, თუ მუხანათურად არ გამიგმირავს მას ყოველს წამისად...

აღსრულდა. სამუდამჟამოდ მემშვიდობები. მართალი არის, შენგან ლტოლვილი შორს, მარტოობის უდაბნოში ოცნება ჩემი საფლავსა ჰპოვებს და კაეშანის უფესო, მორუჟღული ცა წესს აუგებს, მაგრამ თვალები ხომ აღარ დაინახავენ, თუ ვით არ იკრძალვის ჩემი მწუხარების მიზეზი აუგიანობას, თუ ვით დასზიდავს ხოლმე ტრფობის ისრებს სალახანათა ლიქნას მინდობილი მათი გულის განსაისვრელად.

დ. თურდოსპირელი.

3 ენკენ. 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა მდინარის

(პოემიდან „აჩრდილნი“)

... ქვეყნის მნათმა, ცის მშვენებამ
მაღლით სხივი გამოსტყორცნა,
დაქათქათა ლამაზ მდელოს
და გულ-მკერდი გადუკოცნა!..
ლხენის ნიშნათ ჩიტუნია
შეფრთხიალდა, ცად ავარდა,
მან საამო, ნარნარ ხმებით
მზეს მადლობა გადუხადა!
ცელქმა სიომ ბუჩქ-ბალახებს,
ფოთლებს ნაზად დაუქროლა
და მათ შორის საიდუმლო
ჩაჟქსოვა ფიქრთა სრბოლა!..
მოკისკასე, მონარნარე
შეუერთა ხმაც მდინარის,
ხან სიამის გამომხმობი,
ხან მეტყველი ფიქრთა მწარის!..
ეჰ, მდინარევ, ჩემი გული,
შენს ჭირ-ვარამს შეჩვევია,
შენი სრბოლით აღტაცებულს,
ხშირად ლხენაც კი მწვევია!..
ხშირად გისმენ საღამოს ჟამს
დამწველ გრძნობით მონარნარეს,
ან ვინ უწყის, რას ბუტბუტებ,
რად მოაფრქვევ სევდას მწარეს!..

მდინარემ ხმა გაიმეტა,
ხმა მშვიდი, ხმა მონარნარე:
—ულრან მთებში დავიბადე,
გავიცანი უცხო მხარე,
ძირს მდელოსკენ დავექანე,
მომეწონა ტურფა არე,
დღისით მზე გზას მინათებდა,
და ღამით კი ბადრი მთვარე!..
ქვეყნის მკერდი გადმოვლახე,
ხმელეთი, ტყე, მინდორ-ველი,
ბევრგან ვნახე ნეტარება
და ბევრგან კი ტანჯვა, მწველი!..
ფრთებ შეკვეცილ ობოლ მდელოს
მოვუქარგე ბევრჯერ მკერდი,
სიამის ფრთა მახ მივუძღვენ,
ჩავუნერგე გულს იმედი!..
მაგრამ ძალამ, ბოროტ ძალამ,
არ დაზოგა, დააობლა,
თავისს ბედის ასაჟღერათ
ფრთა შეჰკვეცა, დაუმოკლა!..
და აი მეც, ხან ვნარნარებ,
ხან მატოკებს მწარე ფიქრი
და სევდის ხმით გამოგიხმობ,
მტრისა წინ თუ ქედს არ იხრი!..

გელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფითელი

(ამბავი)

ვერავინ ვიშოვნე ფიჩხზე გამეგზავნა!—მთქნარებითა სთქვა პეტრემ, როცა შემოვიდა თავის პატარა სახლში.

— ვის გაგზავნიდი?! — უკმაყოფილო ხმით უპასუხა კატომ—დღევანდელ დღეს ვის სცალიან რომ, შენთვის ფიჩხი მოიტანოს? ის დრო წავიდა, როცა ბატონობდი!

— მა?! საალდგომო პური არ გამააცხეთ?!—აღელვებით ჰკითხა ცოლსა პეტრემ.

— რატომ არ გამოვაცხეთ?! ვენაცვალე ჩემ პალიკოს: ჯერ ბინდ-ბუნდი იყო, როცა ტყეში წავიდა, იმდენი ფიჩხი ჩამოიტანა, რომ სამ-ოთხ თონეს ეყოფა.

— ო! ყოჩაღ ბიჭო! მაგდენი მოზიდა მარტო პალიკომ?—გაეხარდა პეტრეს და მხიარულად გადაიგრიხა გძელი თეთრი ულვაშები.

— განა არ იცი, ვინ უშველიდა?—შუბლ შეკვრით უთხრა კატომ—მთელი დღე ეგრე საცოდავად დაფრატუნებ...

— კაი! კაი!—საჩქაროზე გააჩუმა პეტრემ ცოლი, ეშინოდა იმათ შუა ჩვეულებრივი ჩხუბი არ გაჩენილიყო.

— ჩემი ხნის კაცმა ფიჩხზე იაროს?—წაიბუტბუტა, გავიდა მეორე ოთახში და მიაჯახუნა ძველი, დაბალი, გამურული კარები...

— არა მყვანდე!—გაჯავრებით ქოქოლა მიაყარა კატომ ქმარსა—ოი! ძუკნა ძაღლი იყოს შენის იმედით.

—

თავადი პეტრე სულანოვი ზემო ქართლის ერთ კოხტად გადაშლილს სოფელში ცხოვრობდა. მოძრაობის შემდეგ, როცა ხალხი საშინლად შეწუხდა და ავაზაკების თარეშობამ ბევრი კაი ადამიანიშვილი იმსხვერპლა, მებატონეები, ზოგნი აქა იქ მიიმალნენ, ზოგნი ქალაქისკენ გაეშურნენ, და ზოგმაც ახლო-მახლო რკინის გზის სადგურს შეაფარა თავი. პეტრემ კი იმ დროს თავი ვერ დაანება თავის პაწია მამულს.

— აბა სადა მაქვს იმდენი სარჩო, თავი დავანებო აქაურობას და სხვაგან გადავიხვეწო? სახლი რომ დავიქირაო, ფული საიდანღა უნდა მივცე? ერთი თითისტოლა ბავშვი მყავს, დღე და ღამ თავჩაღუნული მუშაობს, იმდენი სად შეუძლიან, რომ უცხო სოფელში მაცხოვროს?—ხშირად ეუბნებოდა პეტრე თავის ნათესავებს—რას ბრძანებთ, საძაგელი დრო დადგა, ნადირი უფრო მაღლა დგას ეხლანდელ ადამიანზე, მაგრამ რა უნდა ვქნა? რა შემიძლიან მე უბედურს?!

მართლაც მეტი რა ღონე ჰქონდა პეტრეს, თუ არა მოეთმინა და ისე გამკლავებოდა საერთო სამწუხარო გარემოებას. ვისაც ასობით დღიური სახნავ-სათესი და საძოვარი აქვს, ან ვისაც ცხოვრების სხვანაირი წყარო აქვს, ისინიც კი ჩივიან აგვიოხრდა ოჯახი, როცა მამულს თავი დავანებეთო.

რა ღონე ჰქონდა პეტრეს, რომლის მამული სულ ოცდა ათის დღისა იყო და იმის მესამედიც ქვა-ღრეს შეადგენდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია განათლებულ ქვეყნებში ორი დღის მიწაც, რომ ჰქონდეს ვისმე სილარიბეს არ განიცდის, მაგრამ... ადამიანი იქ სულ სხვა პირობებში იბადება, იზრდება და მუშაობს, ვიდრე ჩვენში, იქ კაცი შეიარაღებულია უმაღლესი კულტურითა, ცოდნით, რასაც იძენენ უფასო სასწავლებლებში, იქ ყოველი დილა ტკბილი და ჩუმი ლოცვით იწყება; რადგან ადამიანი მთელის თვისი არსებითა გრძნობს რომ ის არის ბუნების მეფე...

ჩვენთვის იქაური ცხოვრება მხოლოდ ოცნებაა...

ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რანაირი სილარიბე იყო პეტრეს ოჯახში!

სამი გასათხოვარი ქალი, ხანში შესული მათი დედ-მამა—ამ ხუთ სულში არავის არა ჰქონდა არც ნიჭი მუშაობისა, არც ცოდნა, მთელს ოჯახს ინახავდა ერთათ-ერთი თვრამეტი წლის ვაჟი პალიკო.

მარიამს—ის იყო შუათანა, 21 წლის ქალი—ცოტად ეხალისებოდა ბოსტანში მუშაობა.

როგორც მწვანილი თავს ამოჰყოფდა, მარიამი არ შორდებოდა თავის მწვანე კვლებსა, მაგრამ მეზობლები არ უსვენებდნენ.

ხშირად საწყალი ქალი იდგა კვლის ნაპირთან და ცხარე ცრემლით სტიროდა, თითქო ეს არის ვილაც ამისი საყვარელი და მახლობელი საფლავში ჩაასვენესო...

— შვილო, რა მოგივიდა?—ფანჯრიდან ეკითხებოდა ხოლმე დედა—რაზე იხეთქავ გულსა?

— რაღა რა მომივიდა? სულ გაუოხრებიათ ხახვი სასიკვდილეებსა, წამლად რო გინდოდეს, ერთ თავს ველარ იშოვნი. მეზობლები კი არა, მგლები არიან, ერთი შავი ჭირი ეძგეროს იმათა.

დაფეთებული თვალებით აქა-იქ უყურებდა კატო და ხმა დაბლა ეუბნებოდა ქალს:

— აქეთ მოდი, ქალო, რაღას უშველი... წამო.

— სულ ხელები დავიგლიჯე მარგლით, ფუჭად კი ჩაიარა ჩემმა ამაგმა. აი სადაა ერთი ღონიერი ვაჟკაცი, რომ იმათ ოხტიდან ამოვიდეს!?..

— მარიამ, დედა გეძახის.

— მარიამ! არ გესმის?

მარიამმა თავშლის ბოლოებით მოიწმინდა თვალები, გადადგა ფეხი.

მარიამმა—ბნელ დერეფანში რომ თავი შემოჰყო, კატომ დაღონებულის ხმით უთხრა:

— შვილო, დედა გენაცვალოს, როგორ შეიძლება ეგრე გაშფოთება? აბა მტრებს რათ იჩენ? ამისთანა ოხერ დროში განა შეიძლება ასე ლანძღვა და წყევლა?!

— მა? ხმა არ ამოვიღო?! აბა რას ამბობ? ურიას უნდა აეღო ხახვი, ბეს მაძლევდა, ჩითის კაბას მაინც ვიყიდიდი, ისე დავდივარ, ხორცი მიჩანს.

— განა ცამბობ რომ ჯავრობის საბუთი არა გაქვს? მაგრამ, ხო იცი, შვილო, რა უბედური დროა ახლა? სჯობს გავჩუმდეთ!

განა მარტო მარიამი, იტანჯებოდა, იტანჯებოდა ბოროტმოქმედთაგან პალიკოცა.

იმათ ბაღში ერთად-ერთი ატმის ხე იდგა, რომელიც ამყნო ამ ყმაწვილმა, შარშანა მოისხა კიდეცა, და პალიკო შეხაროდა მწვანე ქვის მსგავსს მაგარ ატმებსა.

ფიქრობდა თავისთვის გამოფენის დროს თბილისში ჩავიტანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოინჯ შემოყრილი ხის პირდაპირ დადგებოდა. შეხაროდა, თითქო ეს იყო იმისი საყვარელი შვილი, ან მეგობარი. ხანდახან, შუადღისას სიცხეში, პალიკო დაღალული დადგებოდა წითელ მოცხარის ბუჩქთან, გაჰყურებდა უკვე შემოსულს ატმებსა და ჰფიქრობდა:

სულ უკანასკნელი ხუთ მანეთს მაინც ავიღებ ამ ატმებში, თბილისში ჩასვლაში არაფერს დავხარჯავ, ტივი მიაქვთ ბიჭებს და იმათ გავჰყვები, პურს თან წავიღებ, ბინაც იმათთან მექნება. ვიყიდი იქ ოც ატმის ხეს, ჩავჰყრი და სამ-ოთხი წელის შემდეგ მექნება ატმების კონსერვების ფაბრიკა, გავაჩენ სამუშაოს, ოჯახს ფეხზე დავაყენებ, ღარიბ მეზობლებსაც ლუკმა-პურს გავუჩენ!...

--ატმის კონსერვების ფაბრიკა თავ. პავლე პეტრეს ძის სულანოვისა! ჰე!— გაიღიმა პალიკომ თავის ოცნებაზე.— ღმერთო, მომეცი შეძლება, წინ წავიყვანო ჩემი საქმე!—წმინდა გულით სთხოვდა უფალს ყმაწვილი კაცი.

საცოდავი პეტრე კი გაჭირვებაში იყო, ხანდახან ქალამანიც კი ენატრებოდა; მაგრამ თუ იმის გულმა არ იცოდა დიდი სიხარული, არც დიდი დარდი იცოდა; პატარა ვარსკვლავის მზგავსათ იმის სიცოცხლეს, შრომის მოყვარული, მშვიდობიანი და კეთილი პალიკო უნათებდა.

პეტრეს არც საშუალება ჰქონდა და არც შეძლება მცირე სწავლა მაინც მიეცა პალიკოსთვინ. ბავშვმა თავის თავად ისწავლა დედა-ენა, წერა-კითხვა, რუსული კატორგიდან გამოქცეულმა რუსმა ასწავლა. მართალია, პალიკოს არ გაუთავებია არც საშუალო სკოლა, არც მაღალი სასწავლებელი, მაგრამ ბუნებამ იგი იმისთანა წრფელის გულითა და სვინიდისით, დაასაჩუქრა, რომ სოფლად მთელს ამხანაგობაში, ანუ ნათესაობაში ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. საცა უნდა ყოფილიყო, სახლში ხელ ცარიელი არ შემოვიდოდა. ვალს აიღებდა და რითიმე ასიამოვნებდა თავის დედ-მამას, დებსა; ჩაი, შაქარი, საპონი, იაფი კანფეტი, თამბაქო ხშირად მოჰქონდა ხოლმე შინა. დიდ შაბათსაც ჩვეულებრივ მთელი დღე ოჯახს მოუნდა; დადგა გძელი მაგიდა, ლამაზად მორთო წითელი კვერცხებით, თითონ პალიკომ შეღება ენდროში, ოთხ უბრალო ლიტრას წაუსვა თეთრი მიწა, შიგ ჩადგა ახალ გაშლილი ყაყაჩოებისგან გაკეთებული თაიგულები და აქა-იქა დადგა, მაღალ პასკაზე დააყენა შაქრის ბატკანი ცის ფერ დროშიანი. გაუკეთა შაქრის ჯვარი, კოხტად დასჭრა ნაზუქი, თეფშებზე დაალაგა.

— შემწვრები?—ჰკითხა პალიკოს მამამ.

— სამზარეულოდან გამოდის სუნი, არ გესმის, მამა?—გაუკვირდა პალიკოს— ბატკანიც გვაქვს და გოჭიცა. ბასილამ მომცა ჩემ ნამუშევარში.

როცა ცივმა ღამემ და სიბნელემ მოიცვა სოფელი, პალიკო და მარიამი ლიტონიაზე წავიდნენ.

აგერ შავ ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა.

მაღალ-მაღალი, წვრილი, თეთრ-პიკის ახალუხა, მუქ ჩოხაში გამოწყობილი თეთრ ბოხოხიანი პალიკო ისე ირჩეოდა ჯგუფში, როგორც მაისის მაღალი ვარდი უბრალო ბალახებში.

მთვარეს თითქოს რიღასიც შეეშინდა, დაიმალა შავ ღრუბელში; მთები თითქოს ნაბდებში, ცივ ბურუსში გაეხვია; აქა-იქ ცაზე პაწაწა ვარსკულავები გაჭრნენ, თითქოს ვიღამაც ოქროს ლურსმნები ამოაძრო.

ამოვარდა ქარიშხალი; ტიტველა ხეებმა პატარა ეკლესიის გარშემო ზანზარი დაიწყეს.

ძველ მუხაზე ჩამოკიდებული პატარა ზარები ნაზის წკრიალა ხმით იწვევდა ხალხს საყდრისკენ. მაგრამ იმათი ხმა იქვე გალავანში სწყდებოდა და ნაპერწკლის მზგავსად იფანტებოდა. ხან და ხან ქარი ხევში მიიმალებოდა, მაშინ პატარა ზარები თამამად დაიწყებდნენ თავის წკრიალს, თითქოს სურსთ ჩქარა ახაროს ქვეყანას:

— აღზდგა ის, რომელმაც სიკვდილითა სიკვდილი დასთურგნა და კაცთ მიანიჭა ცხოვრება საუკუნო.

ამოვარდა ისევ ქარი, გააჩუმა პატარა ზარები, ჩავარდა ქვევით, ჩამოვარდა წამით ისევ სიჩუმე...

უცებ ამ ბნელსა და ცივს სიჩუმეში მოისმა დამბაჩის ხმა, ერთი, მეორე, მესამე.

ვიღამაც ეკლესიის ახლო ღრმათ ამოიკვნესა. ზარებმა ხელახლათ დაიწყეს წკარუნი, თითქოს თავისი ხმით უნდოდათ დაეხშოთ კივილი, გმინვა, მწარე ცრემლი...

ხალხი სიბნელეში ირეოდა... დედა მიწაზედ მოსჩანდა რაღაც თეთრი გაშოტილი...

მოიტანეს სანთელი... დედაკაცების წყევლა-კრულვა და წივილ-კივილი ჰაერს აპობდა. ვიღაც მოხუცი გულსაკლავად ქვითინებდა...

ეკლესიაში დამბაჩის ხმა შემოესმათ. ამას მოჰყვა წივილ-კივილი, ღრიანცელი. შეჰკრთა ხალხი, ყველას მომაკვდავის ფერი გადაეკრა სახეზე.

—ქრისტე აღდგა!—მიულოცა მღვდელმა მრევლს, მაგრამ პასუხად სამარისებრივი სიჩუმე იყო... რამდენსამე წუთს მამა იოსები უძრავად იდგა გაშტერებული, ჯვარით ხელში, ბეჭებამდინ თეთრი თმებითა, სადღესასწაულო შესამოსელში რაღაც ქანდაკებას წარმოადგენდა.

ეკლესიაში აქეთ იქით შიშით ჩურჩული იწყეს... თითქოს შხამიანი გველი შემოსრიალდაო...

— ნეტა ვინ მოკლეს?

— ვინ იყო ის იუდა... რომ ასეთს ღამეში სისხლი დაღვარა?!

— ხელსახოცი და წითელი კვერცხი უბიდან გავარდნია...

— დედასა!

— დაიღუპა პეტრეს ოჯახი!...

—

ტიტველა ხეები გულსაკლავად ზუზუნებდნენ, თითქოს მათაც იგრძნეს ის დიდი უბედურება, რაც იმ საღამოს მოხდა.

ცა გაშავდა, წამოვიდა წვრილი წვიმა. ეკლესიის ზარაც სამგლოვიაროდ წკრიალებს და გულდაკოდილად რაღასაც შესჩივის ბებერ მუხას. ამაყი მუხაც მძიმედ იქნევდა ტოტებსა და პასუხად ზარებს ეუბნებოდა:

— აქა ვარ დაბადებული, აქ დავბერდი, ას ოცი წლისა ვსრულდები, ეს პაწია საყდარიც დიდი ხანია ჩემს წიაღშია აგებული და ჩვენს არემარეში, აქამდისინ არ დატრიალებულა ამისთანა უბედურება, რომლის მოწამენი დღესა ვართ. ხალხი გაველურდა. აბა ვინ გაიმეტა სასიკვდილოთ ის ანგელოზი?! თუ არა ბოროტი შური, სხვა რა იქნებოდა მიზეზი იმის მკვლელობისა?!

იგი იყო ყველა ნაცნობ მეგობრების და ნათესავების სიამაყე, ჩაგრულ გლეხკაცთა მეგობარი...

ხეებს საზარელი ზუზუნი გაჰქონდათ,

ეროვნული

თითქოს ჩუმად სტიროდნენ და მოსთქვამდნენ საბრალო პალიკოს უდროოდ დაკარგვას, ვერაგულად სიკვდილს.

უცებ ისეთი ძლიერი გრიგალი ამოვარდა, რომ კაცს ეგონებოდა, კიდევ ერთი წუთი და ვეებერთელა მუხას ძირიანად ამოგლეჯოს, ერთს შეუბერავს პატარა ხეებსა და როგორც ბუმბულს ზეცაში ააფრენსო, ეკლესიას დაანგრევს და ქვას ქვაზედ აღარ დარჩებაო.

ჩავარდა გრიგალი: შუბლ შეკრულ ციდან დაიძრა სუსხი ჰაერი.

ზუზუნებდნენ ხეები, თითქო ჩუმათ თავს დასტიროდნენ კოხტა პალიკოს...

—

ირიჟრაჟა.

გვერდაზე, საცა პაწია ეკლესია იდგა, გამოჩნდა მოხუცი, დაეშვა ძირსა, უქუდო, თმა გაჩეჩილი, მარტო ახალუხა, დასახიჩრებულის სახით, მირბოდა სადღაც გაჩქარებული, უკან იხედებოდა წამ და უწუმ და საშინლად ჰგმინავდა:

— ვაიმე შვილო!

მერე უცებ, განთიადის სიჩუმეში ისმოდა მისი საშინელი ღრიალი:

— წითელი!.. წითელი!..

არე-მარე, დედა-მიწა, ცა, მთელი ქვეყანა ამ წუთში იმ საბრალოს სულ სისხლის ფრად ეჩვენებოდა.

— წითელი!.. წითელი!.. საშინლად ღრიალებდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, თითქო ზურგზე რაღაც უზარ-მაზარი სისხლის ფერი ალი ასდიოდა, არე-მარეში იფანტებოდა და ამ საბრალო მოხუცსაც გარს ეხვეოდა.

მირბოდა ქვა ღრეზე, მირბოდა გამწარებული...

— ვაიმე! დამეწია! მიშველეთ! მიშვ.... მოხუცს მოეჩვენა, რომ გარშემო ხეები გასისხლიანებულან და მისი ტოტები პირსახეში სცემენ.

— ვაიმე შვილო! ხალხო! მეზობლებო! ნათესავებო! მიშველეთ!

—

მირბოდა ანთებულის სახით, აუტანელის დარდით აღვსილი, სად მირბოდა? ვისთან?

თვითონაც არ იცოდა.

კიდევ მოიხედა უკან—ასტეხა საზარელი კივილი.

ცა, მთები, ამწვანებული მინდვრები, სადაც მიჩხრიალებდნენ ვერცხლის ფერი წყაროები,—ტყე, მთელი არემარე სისხლის ფრად ეჩვენებოდა.

— ვაიმე, შვილო! ვაიმე!

მტკვრის ტალღები შრიალებდნენ, ოქროს ფრათ იშლებოდნენ მზის სხივების საცერში.

— ვაიმე, შვილო!.. ვაიმე! დაიძახა უკანასკნელად და გადაეშვა მდინარეში.

დ. ვედრებისელი.

10 აპრილი
1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

ბაღალ მთიდან მოსხლეტილი
მიმოისვრის მარდათ მძივებს,
მობიბინე, მწვანე მოლზე
მოლიკლიკებს, მოლივლივებს!

—

მეუფება მნათობ მზისა
მდელო—მინდვრებს მოეფინა,
მაღლობიდან მადლი მთისა
მიწას მცთარსა მოევლინა!

—

ციდან ცრილი ცივი ცვარი
ციცაბოზე ციალს ცდილობს;
ცის ციაგის ცელქ ციმციმთან
ცდომილობა ცუდ-ცოდვილობს!

—

შავარდენმა შავ-შაშვს შიშის
შადრევანი შეაფრქვია;
შაშვი შროშნის შტოზე შეხტა
შროშანმა შტო შეარხია!

—

სუსტი სიო სისინითა
სუსტს სოსანს სწვდა, სუსტად სერა,
სასოებამ სულის სწრაფვა
საოცნებო სერზე სწერა!

—

დილას დარდი დაუმონე,
დილამ დიდ დევს დამამსგავსა,
დილამ დუხჭირი დრო დასცა
დაამხო და დაახავსა!

ლადო გეგეჭკორი.

1911 წ. ტფილისი.

შავი ფიქრები

უფა ღამეა... ბედკრულს რული არ მეკარება,
სარკმელთან ვზი შებოჭვილი მწარე ფიქრებით,
ჩემს გარემო კი... მეუფეობს ღრმა მდუმარება,
ღრმა მდუმარება დანავარდობს გრძნეული ფრთებით.

*
* *

რისთვისა ღელავს გული ჩემი, ოხ, რად ვალალებს,
რატომ არს ლოცვა მისი ესდენ კაეშნიანი?
რატომ არ ჰშრება სისხლის ცრემლი ნაღვლიან თვალებს
სულთქმის ქვითინით რას მისტირის გედის ხმიანი?

*
* *

არ ვიცი, არა! ამ ბნელ ღამეს ჩემს სულს რა სწყურის
ან რამ დაჰბადა მისი სწრაფვა სიტყვით უთქმელი?
ეს კია, რომა უდაბნოში ხშირად ხმა ისმის,
თუმც არვინ იცის რა არსია მის წარმომთქმელი.

დ. თურდოსპირელი.

სოფ. ვაჩნაძიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრებით საყვედური

—

შენთვის გავიჭერ უდაბნოს მწირად,
შენის ფიქრითა სულით ვარ ავად;
უშენოდ ყოფნა არ მიღირს ჩირად,
ჩემთვის მზე-მზეობს ბნელად და შავად...

—

უთვლელჯერ ცრემლი შენთვის მდენია—
შენ კი სხვას მონებ... არა გრცხვენია...

—

აზრით მოვქსოვე შენი ედემი:
იქ ნექტარის ტბას იაზმა ერთვის,
იქ ლამპრად იწვის ტრფიალი ჩემი,
იქ ყვავილებსა რძითა ვრწყავ შენთვის...

—

მთელი სიცოცხლე შენთვის... შენია—
შენ კი სხვას მონებ... არა გრცხვენია...

—

სოფლის მწყევარმა, შენ შეგიყვარე,
თავხედმა შენ წინ დავხარე თავი;
გულით ქვამ შენთვის ცრემლი დავღვარე,
ცულლუტმა შენს ბედს შევსწირე მკლავი...

შენთვის სიკვდილიც ნატვრად მშთენია—
შენ კი სხვას მონებ... არა გრცხვენია...

კიკნა-ფშაველი.

სევდის ტალღები

საშინელმა ქარმა გაისისინა... ღრუბელთ შორის დაბადებული ნაღველი შეტბორა მან... იცინის ბუნების ულმობელი ძე, იცინის ბნელი გრიგალი... შავი ხმით ქვეყანას უყივის გულ თვალგესლიანი...

— საბრალო, მხარევ!.. გაჰკივის ქარი—„დანაღვლებული სახე შენის გულისა, მომწონს მე,—ვკოცნი, ვკოცნი მას!.. კვნესა შენის სულისა მამხნევებს მე;—სალამი, სალამიმას!.. თვალთაგან შენთა გადმოდენილი გესლის ნაკადული მაცოცხლებს; ის წამალია ჩემის წყლულის, დაფლეთილ გულის, რომელიც აგრე

იტანჯება შენი სიცილით!.. მძლავრათ ქანაობს ფრთები ჩემი, როს გესლი შენის თვალისა ტალღათ ეპკურება“!..

საშინელი ქარი იგი, ვით გველი, გულ-ზვიად ზღვის თვალ-უწვდენელ ნაპირზე მიიკლაკნება... მნათობი სხივი სამარეში ზის, მაგრამ ამოცურდება თუ არა, მისი ციალით გველის ზურგის აჭრელებული ზოლები ლამაზათ ბრწყინავენ!..

იცინიან გველები!..

შემოდგომის, ხშირი და ულმობელი სტუმარი არ ერიდება ქვეყნის დიად გულს, ზღვის დიად ძალას, მთის ზვირთებათ ზე ალმართულს!.. არ ერიდება ზღვის გემს—საშინლათ მქშინავს ოკეანის გულში!.. მიჰქრის სასტიკი ქარი, მიჰქრის შორეულ მთისკენ, დაობლებულ ტყისკენ,—იქ, სადაც დაცვივნულ ფოთოლთ კვნესა გაისმის... და ზღვაში დაღუპულ მებადურის ქოხი მწუხარეთ გამოიყურება... სტირის!..

ჰოი, ქარო, ქარო სასტიკო!.. რამდენჯერ გინახავს ის ქოხი შენ! რამდენჯერ სტუმრებიხარ მის დაგლეჯილ კედლებს, დამტკბარხარ მისი ხსენებით, შენს გულს ნექტარი ჩაწვეთებია!.. გიმღერია ქარო,—მწარ ჩანგურის ხმაზე გიმღერია... დამტკბარხარ იმ ჩანგურის ჰიმნით, რომელიც დაწყლულებულმა ხელებმა შეჰქმნეს ქარიშხალის ნავარდის დროს... ჰიმნი იგი ქარიშხალის სასტიკ ხმას შეუწონეს...

სასტიკი კვნესა სასტიკ სიცილში ჩააქსოვეს!..

ზღვის პირას ობლად მდგარი ტყე გწყევლის შენ, ქარო სასტიკო! სწყევლის ყრუ სამყაროს!.. და არ ილგვება დედამიწისა პირიდან... სკოცხლობს!.. იქ ჩიტუნების დამტკბობი ხმები არ ისმის, ბულბული შორს გაფრენილა და ღრუბლების თალხით დაშავებულა გაძარცული ტყე... ქარის სისინი მისს გატიტვლებულ ტოტებს ეამბორება!..

მაინც ცოცხლობს ის...

როცა შავი სუდარა, ვით კუპრი უფრო იშლება, ეფინება ტყეს... სოროებიდან ნადირნი ზე ამოდიან, დაძრწიან, სიკვდილის ხმაზე გალობენ—მაინც ცოცხლობს ტყე...

სიკვდილი შორსაა... დატყვევებულია!..

სკოცხლობს და სტირის ტყე!..

— რა გაცინებს სასტიკო ქარო!?

— მე მომწონს ტყის მრავალი ცრემლები!—იყო პასუხი...

დაბნელებული ცა, გულ-ზვიადი ზღვა და მმოძრავი გემი ოკეანისა—დაფიქრებულან!.. მათ შორი ახლო, ზღვის ნაპირას არსებობს ქოხი... ბინა დაღუპულ მებადურისა!.. ტყისა და ქოხის ცრემლები არ შორდებიან ერთი მეორეს... მოძრაობს ტალღა, ბობოქრობს ცრემლი... ის ალბობს გაშეშებულ მიდამოს!..

შავი ხმით გაჰკივის გრიგალი და შემოდგომის მიერ გაძარცული მიდამო სტირის!..

სტირის ქვეყანა!..

ჩემი კვნესა კი—სიცილია, რადგან ჩემს ტირილს სიცილი სწყურია!..

გელა.

ჭიათურა
25 ოქტ. 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლბათა ფერფლი

I.

შემოდგომის ფოთოლი.

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჰკვდება ფოთოლი,
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებში დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული
და სიყმაწვილე კი არას დროს
არ დაბრუნდება.

ქვითინებს ქარი.. თან წაიღებს
ყვავილთა ჩურჩულს,
ჰანგი საზარი სულს მიშფოთებს
და გულში მწვდება,
რომ ვერას დროს ვერ ველირსები
მე ჩემს გაზაფხულს,
და სიყმაწვილე კი არას დროს
არ დაბრუნდება!

II.

Ave Maria

ელვარებს, დნება წმიდა ნათელი,
აკრთოლვარ-მთრთოლვარე სხივთა მფრქვე-
ძლიერო სულო, შენკენ მოილტვის [ველი
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.
რა რიგ მწყურია შენს შორე-ახლოს
განახლებისა მოვიკლა ჟინი
და ვუცქეროდე თუ როგორ ბრწყინავს
ღვთაებრივობის შენი გვირგვინი.
რამდენი ღამე გამითევია
მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა,
მე ვერ ვამჩნევდი თუ როგორ რთავდა
მთვარე ვარსკვლავებს, როგორც შვილს დე-
ასე, არ მინდა ვუცქირო წმინდანთ [და.
გარს რომ გარტყიან... ყველა ბნელდება
და თვალ-წინ მხოლოდ შენი აჩრდილი
უხილავ ძალით ხორციელდება.
ოჰ, ეს ნათელი, თვალთა ნათელი
გულის სიღრმემდე მწვდება, მედება!
რა არის შენთან კაცთა სურვილი
ან რით მოგხიბლავს შემოქმედება?
იყო დრო და შენ ქვეყნად იყავი
მაგ განუსაზღვრელ მშვენიერებით,
მაგრამ რით უნდა დაგეტკბო გული
კაცთა ღალატით თუ ცბიერებით!
ეხლა აღარ ხარ და ჰქმნის ოცნება
უკვდავი სახით უბრალო ტილოს,
რომელსაც ძალუძს თუნდაც ველური
დაატყვევოს და დაიმორჩილოს.
მასში ყველაა, რასაც დაღლილი
ადამიანი ქვეყნად ეძიებს,
შვენება სულის და სილამაზე
შეხორცებულ მარადის ჰგიებს,
ელვარებს, დნება წმინდა სანთელი
მკრთოლვარ-მთრთოლვარე სხივთა მფრ-
ქვეველი.
დედაო ღვთისავ! შენკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი!

III.

მალე, სულ მალე!

სარკმელთან ვზივარ... მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს:
მოვა მოხუცი ძალ-მილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს.
გადიფრენს თვალ-წინ ძველი ოცნება,
შეიკუმშება ტანჯვებით გული,
რომ არას დროს არ განმეორდება
დრო ბედნიერი და დაკარგული,
და გავყვები ჩემს მარტოობის გზას
სამარისაკენ მიმავალ გზამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესის ფანდური და მეც ვიკვნესებ
უნდა ვიკვნესო, მაგრამ სანამდე?
სარკმელთან ვზივარ... მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს;
მოვა მოხუცი ძალ-მილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს...

IV.

სასაფლაოზე.

საღამო არის... სასაფლაოზე
ღამე ეშვება წყნარად, ბინდდება.
შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე
და მწარედ, მწარედ აქვითინდება;
ქვითინი თვითონ კუბოს ჩასწვდება,
ცრემლები კიდევ—ყვავილთა ძირებს,
გამოიგლოვებს პირველ სიყვარულს
და სიცოცხლესაც გამოიტირებს.
ვინ მისცემს ნუგეშს საბრალო ქალწულს?
თვითონაც იცის რისთვისაც ჰკვდება:—
არ განახლდება წარსული ჟამი,
არ დაბრუნდება ბედნიერება!

V.

ველნი ჰყვავიან

ველნი ჰყვავიან—
გულო, დაწყნარდი!
ადრე თუ გვიან
სიცოცხლის ვარდი
ბედნიერებად
გადაიშლება...
დროც ხომ იცვლება—
დროც ხომ იცვლება?!
არის სადღაცა
ნეტარი მხარე,
არის წმიდა ცა
შუქით მგზნებარე.
ილვიძებს ველი
მკვდარი, უსულო...
დაწყნარდი გულო,
დაწყნარდი გულო!

VI.

ხ ო მ ლ ი

ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა,
ცის დასავალი,
სდარაჯობს ეთერთ სიმშვიდესა
და მყუდროებას;
მარტოდენ ზვირთი მოვერცხლილი
და ძილ-დამფრთხალი
დრო-გამოშვებით გაიტაცებს
საწუთროებას,
თავის სიზმრებით, თავის მწარე
მოგონებებით.
დაღლილ-დაქანცულს უსაფუძლო
სიცოცხლის ვნებით.
მე მახსოვს და არ მაყიწყდება
ვარსკვლავთ კაშკაში
შუქთა ფერხულში ისე წყნარად
გადაშლილიყო!
და მხოლოდ მარტო ვარსკვლავებმა
იცოდენ ცაში,
რომ ქვეყნად ჩემზე ბედნიერი
არავინ იყო!
ჟამი რბიოდა... ვერ ასწრებდა
შეხედვას თვალი
და შეეჩვია გული სევდას,
ურწმუნოებას.
ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა
ცის დასავალი
ისევ სდარაჯობს ცის სიმშვიდეს
და მყუდროებას.
ვარსკვლავთა ხომლი ისევ დნება
სხივთა ფრქვევაში,
ზღვისა ყვავილებს უალერსებს
სამხრეთის ქარი.
ეხლაც კი, მხოლოდ ვარსკვლავებმა
იციან ცაში
ჩემი ფიქრები და წარსულის
მწარე ზღაპარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

სერენადა

რად მინდა ნიჭი, ჩემო ლამაზო,
ჩემის ჰანგით თუ ვერ დაგაღონებ?
რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში
სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ?
ან რად მიმაფრენს ცელქი ოცნება
და გულს ალერსის წყურვილით ავსებს,
თუ ეს ოცნება დაუღალავი
შენც ჩემთან ერთად ვერ აგიტაცებს?
გული სავსეა წყნარი სიმღერით
სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა.
ვიმღერებ... შევქმნი სევდის დიდს სახეს,
წყურვილსაც მოვკლავ... მაგრამ რად მინ-
და?

VIII.

* * *

ხშირად ვოცნებობ და შეესაქერი ცას
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას!
მე ვმღერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას
სევდით ვუერთებ ჩამქრალ გულის თქმას.
ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს,
მეგობრებს, სატრფოს ენებით მღელვარეს.
არ ანათებენ ისინი ჩემს გულს,
არ-ღა მომფენენ შვებას სიხარულს!
ბნელდება მთვარე... თრთის ვარსკვლავი
და ძირს ეშვება ოცნება სივრცის! [ცის

IX.

გამოსალმება.

მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
არაგვო, ჩრდილი რაზედ გფენია?
მტკვარო შენ მაინც მითხარ, რას სწუხხარ,
შენ მაინც რაზედ მოგიწყენია?
ნუ თუ იგრძენით რომ ჩემი გული
ისევ სავსეა მწამვლელ გრძნობებით
რომ ვერას დროს კვლავ ვეღარ გიხილავთ
და სამუდამოდ გემშვიდობებით?
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და ჩემი ნანა.
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,
მაგრამ რაღა მაქვს სიმღერისთანა?

X.

შემოქმედება

მოხდება ხოლმე: ცა მათრთოლებს
განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.
ვბრძანებ: ტყის შქერში გარინდდება
ნიავი ნელი,
ვიტყვი და ღმერთად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლის მომქმედი,
ასე-მიდამო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ კაცთა
მძვინვარე ბედი—
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება!
ეს მაშინ არის, როცა აზრი
მიჰქრის შორს, შორს, შორს!
და ჰანგი გულში დაგუბული
ეძლევა შვებას.
ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემს თანაბარს
და ვისმეს ჩემს სწორს
რომ ამგვარადვე ეძლეოდეს
ტკბილ-ნეტარებას.
ვხედავ: მიფრინავს იქ, სადღაცა
ნისლი უსახო,
ვგრძნობ, რომ თვით ტალღას დაუ-
გააპობს მკერდი. [ძლეველს
და მზადა ვარ რომ ველური ხმით
ყველას შევსძახო:—
„დამიმორჩილდით... ყველაფერს ვქმნი...
ღმერთი ვარ, ღმერთი“!

გ. ტაბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიგიენა

(წერილი მეორე)

(შემდეგი)

3. წყაროს წყალი.

Cიდან, ატმოსფეროდან ჩაშოსული წყალი დედამიწაზედ რო ეცემა, ჯერ ზედაგი შესვამს, გაძღება ხოლო რასაც ზედაგი მოიჭარბებს დედამიწაში ჩადის, სადამდისაც კი შეუძლიან ჩაატანოს, ხოლო როცა დედამიწის სიღრმეში დაუხვდება სადმე კლდე, ანუ აუალო მიწის გაუვალი ნიადაგი, იკვლევს გზას და სადმე, მთის რომელისამე მხრიდან, გამოხეთქავს გარეთ ანკარა წყალი. აი ამას ვეძახით ჩვენ წყაროს.

წმინდა ნიადაგში ამ გვარად გაწურული წყალი მშვენიერ თვისებას იძენს. ჩვენდა საბედნიეროთ საქართველო მდიდარია ანკარა და უმწიკვლო მთის წყაროებით. ამათში ზოგიერთი წყარო მაჭარ წყალივით ამოჩუხჩუხებს, რადგან შიგ ჭარბად არის ბუნებრივად გახსნილი (შერეული) ნახშირ მჟავა გაზი, და, აკი ამიტომაც გემრიელი, სასიამოვნო და სახარბიელო სასმელია!.. ბირს მაჭარივით ხუხამს, კაცი სმით ვერა ძღება *). ამ გვარი წყალის ხმარება, რადგანაც უნდა ჯანმრთელობისთვის მეტად სასარგებლოა და აკი შურით შევცქერით მთის ხალხს, სისხლით ჭარბს. ესენი უშიშრად სმენ სადს და გემრიელ წყალს, მაგრამ სადაც წყარო მიწებში არ არის გატარებული და ახდილ წყაროში კი ჩაცვინულია ხის ფოთლები და ბალახები, ასეთი წყარო ჯერ უნდა ამოიწმინდოს კარგად და როცა ხელმეორედ დაიწმიდება, მხოლოდ მაშინ დალიოთ.

თუმცა სოფელს და ქალაქ ადგილებშიაც მოიპოვებიან ბევრგან წყაროები, მაგრამ მთის ცივ-ცივ წმინდა წყაროებს ვერ შევადარით. ბირიქით დიდი სიფრთხილეა საჭირო და აი

*) სამარადისო სახსოვრად დამრჩა, ერთხელ ჩემს მოგზაურობის დროს ოსეთში, დიდი ლიახვის ხეობით სოფ. კოშკიდან გზამ მარჯვნივ აგვიყვანა მთაზე. ავედით სოფ. ზემო ერმანს, აქ გზაზე სოფ. კაპუსტასთან ისეთი უშველებელი წყარო სჩქეფს, რომ წისქვილს დაატრიალებს. ეს წყარო წარმოადგენს ნამდვილს, ბუნებრივს ზელცერს. უშრეტელ სიმდიდრეს თუკი პატრონი აღმოუჩნდა როდისმე. ამ 25—30 წლის წანეთ ბოლჯომის წყალსაც დიდი ხსენება არ ჰქონდა, მაგრამ ეხლა არამთუ რუსეთში და მთელს ევროპაში მისი ხმარება გავრცელდა, ამ ბოლო წლებში ამერიკაშიაც კი დიდი გასავალი აქვს, ასე რომ ბოთლებში ჩასხმას ვერცკი ასწრობენ ბოლჯომის ზავოდში, შორს რად მივალთ, თბილისის ახლო თვით მცხეთაში იქ, სადაც გზა ტკეცილის ზასტავა სდგას, მცხეთის ხიდის (ქვიტკირის) აქეთ, ძირს მტკვრის მარჯვენა კიდით მშვენიერი მთის წყარო გამოსჩქეფს, ძველმა კაცებმა ამ წყაროს შესანიშნავი თვისება დიდი ხანია იციან —რაც გინდ გულ-მუცელზე შემოგაწვეს, ამ წყაროს წყალს დალევ თუ, არა იმწამსვე ისე სიმსუბუქეს იგრძნობ, თითქოს ათ ფუთიანი ტვირთი მომშორდაო. ამ წყაროს წყალი პატარა ბიჭებს, მცხეთელებს, ლიტრებით ჩამოაქვთ თბილისში და თითო აბაზად ჰყიდიან. ამ წყაროსაც რათქმა უნდა გამოუჩნდება ოდესმე პატრონი, ხოლო ქართველი კი არა, უცხოელი კაპიტალისტი, რომელიც ამ ულეველ წყაროთი მილიონებს შეიძენს.

ერთს დროს განსვენებული ილია ჭავჭავაძე თავის საგურამოს წყაროს წყალს უპირებდა ექსპლატაციას, ამ საგანზე ჩემთანაც ჰქონდა ლაპარაკი, მაგრამ შინაურულად საქმის მოწყობით ვერას გავხდებოდით და საქმის ფართედ დასაყენებლად კი კაპიტალია საჭირო.

რისთვის: ბევრგან შიგ სოფელში, ანუ მის ახლო სასაფლაოზ არის გამართული, სადაც განურჩევლად ყველას მარხვენ, რაც გინდ სა-შინელი ჭირით იყოს გადაცვლილი (ხოლერა, სახადი, მუცელ-კეთილა, ჭლერქი და სხვ...). წვიმის წყალს გახრწნილი გვამის ნაწილები მიწაში დრმად ჩაქვს და ნიადაგი იყლინთება ეოველივე სიბილწითა და ჭირის ბაციელებითა. აქედან, ამიტომაც, ადვილი წარმოსადგენია, ამ სასაფლაოს ქვეშიდან გამოსაყონი, გამოსადენი, გამომდინარე წყარო რა თვისებისაც იქნება! მოგაგონებთ რომ ჭირის ბაქტერია-ბაციელებს ვერაფერი ვერა სჯობს, არაფერი არ ხოცავს 100—110% (ასი გრადუსი) მდუღარეს მეტი და მაშასადამე დალევთ თუ არა ჭირიან წყაროს, ბატონი ბაქტერია ახლა თქვენს სისხლში დაიწყებს ფუფუნებას და, იმავ სასაფლაოზე გაგისტუმრებთ, საიდანაც წყარომ თვით ეს ბაქტერია გამოიტანა, გამოსახა.

რაც სასაფლაოს შესახებ ითქვა, იგივე ითქმის ქარხანა-ფაბრიკებზე, საფასეებზე, სოფლის და ქალაქის უსუფთაო ქუჩა-მოედნებზე, ფეხის ადგილებზე, თუ რო ამათი უწმინდურობით მიწაა გაყლენთილი და მერე ამ წაბილწულ ნიადაგის ქვეშიდან წყარო გამოდის, ნუ თუ არ შეგესიზდებათ ამ გვარი წყაროს დალევა—

მოსულს მდინარეს გზა და გზა ერთვიან მთიდანვე წამოსული ხევები, რომელნიც დიდს წვიმიანობას ნიადგრებად ემატებიან დედა მდინარეებს: მტკვარს, ჭოროხს, რიონს, ალაზანიორს, მდინარეებშივე ჩადის გაზაფხულზე გამდნარი თოვლის და ეინულის წყალი. ბევრგანაც თვით მდინარეს კალაპოტში მიწის გულიდან ამოხეთქეებს წყაროს წყალი.

აქედგან ადვილად შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მდინარენი თითქმის რო წყაროს წყალისაგან შესდგებიან, ამიტომაც ეველა ჩვენს მდინარეში სუფთა სასმელი წყალია, თუ რო, რასაკვირველია, სადმე გზაში, ბარად არ შეერევა გუბე-ჭაობი ანუ ნაგუბი, ნადგამი ფშანი.

საკმაო მარტო ის გავიხსენოთ, რომ მთა ადგილებში და ქვემოთაც ჩვენს მდინარეებში ეველგან სუფთა გემოს კალმახი ბუდობს. იქამდე ანკარა და წმინდა, უმწიკვლო წყალია, რომ მთაში მიერუებულ მუდრო ადგილას მთელი საათობით მე თითონ თვალი მიდევნებია კალმახთა ცხოვრებისათვის (მდ. თეძამის საათვე, ძაძას საათვე და სხვ.

მთის წყაროებს მიეწერება ის გარეშოებაც, რომ საქართველოს მდინარენი მეტად მდიდარნი არიან ნახშირ-მჟავა გაზით (20 გარსი), რომელიც წყალს მაჭარივით სასიამოვნო სასმელს ხდის. მაგრამ ესე ეოველივე ქება-დიდება მხოლოდ მთაში მეოთ მდინარის წყალს ეკუთვნის, მაგრამ იქ სადაც ადამიანი სცხოვრობს და მისი ფეხი ხვდება, იქ მდინარეც ეოველივე ბიწიერებითაა სავსე.

სასაფლაოს, ქარხანა-ზაოდებს, დაბა-სოფლებს და მეტადრე ქალაქებს თავის უწმინდურობით ერთ ნაირად შეუძლიანთ წაბილწონ და მოშხამონ როგორც ჭა და წყაროს წყალი ისე მდინარის წყალიც.

ეველამ კარგად ვიცით, რომ დიდ წვიმანიადგრის დროს ქალაქი თუ სოფელი რო ირეცხება, მთლად უწმინდურება (ფეხის ადგილის მიდებიდან და სხვ.) ხევში ჩაეყრის, მდინარე წყალი ივსება ჭირითა და ვაი-ვაგლახით. კარგად იცოდეთ, რომ ეოველივე გადამდები სენი სასმელი წყალით ვრცელდება, მეტადრე ეგანა-სისხა, ციებ-ცხელება, საოფლე, ხორგლა და სხვ...

მაგრამ რაც უნდა იყოს, მდინარის საქმე მაინც კიდევ სხვა არი. ჯერ ერთი რო ჩქარად მიდის, მიმდინარეობს და თან მიაქვს შორს ეოველივე უწმინდურება, მეორეც ესა—წყალში თავისუფლად მეოთი მყავბადი ქიმიურად მოქმედობს უწმინდურობაზე და ამიტომაც უვნებელ ქმნის ეოველსავე ბიწიერებას.

მაინც და მაინც თუ რო სხვა სახსარი არ არის, მდინარე წყალის ხმარება ასე უნდა: შიგ სოფელში და ქალაქში ანუ ამათ ქვემოდ ადებული წყალი არამც და არამც არ უნდა იხმარეთ არც დასალევად და არც ჭურჭლისა და სარეცხისათვის. ეს წყალი ეზოსა და ქუჩის მოსარწყავადაც არ ვარგა არამთუ შინ, ოთახის იატაკის სარეცხად. ესე იგი თუ რო წყალი ჭირის ბაქტერიებს შეიცავს, ამისთანა წყალი გინდ დაგიდევია, გინდ შინ გიხმარია. თუ დადევის დროს ანუ ბირის დაბანის, ბირის გამორეცხის დროს, იმის შიშია, რომ წყალს ჩავაყოლებთ ჭირის ბაქტერიას, აგრეთვე უნდა გვეშინოდეს ჭურჭელზე რო ბაქტერია დარჩება, იატაკის რეცხვის დროს რო იატაკს მიეკრობა ჭირი, ეზოსა და კარმიდამოს რო მორწყავთ, იქაც ჭირიან წყალს მოვფენთ, ჭო და იატაკს და ეზოს მტვერი რო აუვა, მტვრიან ჭაერის შესუნთქვის დროს ფილტვებში ან კუჭში ჩაგვზანით ჭირს და მერე ის თითონ იცი რასაც დაგვმართებს.

მაშასადამე ერთი ხერხი და დაგარჩენია—რადგან მდინარე წყალს ქვევით, თავქვე მიაქვს ეოველივე ჭირი და უწმინდურება, ამიტომ წყალი უნდა აიღოთ სოფლის (ქალაქის) ზემოდ და ისიც დამე, როცა ფეხი მისწყდება, ან არა და სისხამ დილით.

თბილისი დიდი ხანია მიდის წყალს სარგებლობს; გადარჩა შიშსა და უწმინდურებით სავსე წყალს. ახლა არამც თუ სასმელად და შინ სახმარებლად, ქუჩების მოსარწყავადაც-კი აკრძალულია მდინარე მტკვრის წყალის ხმარება. მაგრამ ჩვენი კეკლუცი ქუთაისი-კი ჯერაც ვერ ელირსა „ვოდოპროვოდს“. დღესაც ბოჩკებით ზიდავენ რიონის წყალს და ისიც იცით სად ავსებენ ბოჩკებს?—ქალაქის შუაგულს, გიმნაზიასთან, ჯაჭვის ხიდის ქვემოდ. მე თითონ დავესწარ სურათს: მარიამობის სიცხეში კამეჩები შეერეკათ საგრილებლად რიონში და იქვე მათ გარშემო გაჯიბრებით ავსებდენ კამეჩების ნაბანით ბოჩკებს. მე არ ვიკადრე კამეჩების ნაბანი „კუბალნიაში“ მებანა და ისევ ჯაჭვის ხიდზე გავგრილდი.

—

6. ტბის წყალი

თუ რო ტბას გასავალი აქვს და წყალი უოველთვის იწმინდება, ამისთანა ტბის წყალს არა უჭირს-რა სახმარად და სასმელადაც. ჯავახეთში **ტაბიწყურის** ტბა და **ფარვანისა** სავსე არიან გემრიელი კალმახით და შიგ რო ჩავიხედე კენჭები ჭრელად არიან ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავი იყოს. დედამიწიდან წყალი ყოველთვის კეთილშეზავებული რადი ამოდის. მაგალითად თუ რომ წყაროს ნაკადულმა შავი მიწა, მსუქანი რამ ნიადაგი გამოიარა, მაშინ წყალი ჭარბად შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებსაც, რომელთა შორის შეიძლება შავნებელიც ერიოს. აგრეთვე როცა წყალი კირიან ნიადაგს გამოივლის, კირს ხსნის და **კირიანი წყალი** ხდება.

თუ რო წყალი 10—15 წუთის დულილის შემდეგ ფერს იცვლის და მუქი ფერისა ხდება, ეს უტეუარი ნიშანია, რომ წყალს ბევრი კირი ურევია. ამას **მაგარ წყალს** ეძახიან, შიგ სპონი არ ქაფდება, ადამიანს კუჭს და წელებს მოუშლის ხოლმე—ტანში ოფლარეთებს, ზაფხულობით ყვანა და მუცელ-კეთილი სოფელს იკლებს, ხალხს ყლეტავს.

ევროპის ერთს დიდ ქალაქში ხალხი უზომოდ იხოტებოდა. იძიეს, იკვლიეს და მიზეზი მუცელ-კეთილისა „ანგელოზი“ კი არა, წყალში ნარევი კირი აღმოჩნდა. შორის მთიდან მშვენიერი თვისების წყაროს წყალი მიდებით გამოიევანა ქალაქმა და იმ კირნარევ წყალს კი კარები აუქოლა. ის იყო და ის. ამ გონიერმა ზომამ შესანიშნავი გავლენა იქონია მოქალაქეთა ჯან-მრთელობაზე, ბირველ წლებშივე ხალხის ზარალმა იკლო და მერე სიკვდილი ნახევარზედ შემცირდა.

კირ ნარევი წყალი ოჯახში სახმარებლადაც არ გარგა: ჩაი და ყავა უფერული და უგემური გამოდის, ხორცეული და ბოსტნეული შიგ ძნელად იხარშება, არც ხელ-ბირის და ტანის საბანად გარგა—საპონს სჭრის, ძნელად ქაფდება, მაშასადამე არც სარეცხისთვის გამოდგება.

მაგრამ თუ ვინიცობაა სქმე გასჭირდა, კირიანი წყალის გამოკეთებაც ამ გვარად შეიძლება: **რამდენჯერმე** წამოადუღეთ და მერე დაცადეთ დაწმდეს: მძიმეს და მაგარ კირის ნაწილებს ძირს დაიდეკავს, დაწმდება და მით წყალი **დალბილდება**—სასმელადაც გამოდგება და თავის დასაბანათაც.

ილ. ალხაზიშვილი.

(დასასრული იქნება)

ორი მსხვერპლი

(ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი)

I.

ბოხუცი გვყვანდა მოამაგე, ჩვენვე მოვკალით,
ცხელის ტყვიითა გაუგმირეთ მგზნებარე გული,
დაფნის გვირგვინის მაგიერად—უძღვენით ტყვია,
ჩვენვე მოვკალით ჩვენივ შვება და სიხარული.

II.

მწარის გრძნობებით გამსჭვალული მამულის შვილი
ობოლს ქვეყანას ავედრებდა ზეციურს ღმერთსა
ხატისა წინა დიდებულად მუხლ-მოდრეკილი
ხალხის ტანჯვა-ჭირს მისს ვაებას სტიროდა ერთსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავაზაკურად, ვერაგულად ახლეს მას ხელი,
გამოასალმეს სამუდამოდ წუთი-სოფელსა!
გამოაცალეს ობოლს ერსა—მისი დამცველი
და დააშორეს სამუდამოდ მხარეს მშობელსა!..

გ. ლეონიძე.

ყრმობა

დიმიტრი ყიფიანისა*)

(მისს საკუთარ ნაწერთაგან)

Ara გვგონია, ჩვენს მკითხველებში ბევრმა იცოდეს, ვინ იყო და ან რა იყო შიპულინი. საცოდნელი-კი არის ყოველ ქართველისათვის, რადგან ამ შიპულინის ხელში გაუვლია არა ერთსა და ორს თაობას ჩვენის მამა-პაპებისას. შიპულინი გახლდათ უფროსი ეგრედ წოდებულის „კეთილშობილთა სასწავლებლისა“, რომელიც ამ საუკუნის პირველ მეოთხედს გამართა რუსის მთავრობამ ტფილისში და რომელიც იყო პირველი საერო სასწავლებელი.

ამ სასწავლებელში მიუღიათ რუსული განათლება იმ ქართველებს, რომელნიც დღეს ან აღარ არიან ჩვენს შორის, ან ღრმად მოხუცებულან, ან კიდ „ნახევარ ცხოვრების გზაზე“ მაინც მეტი გაუვლიათ უკვე. იმათთვის უცხო არ არის შიპულინის სახელი; ისინი ეხლაც ხშირად მოიგონებენ ხოლმე ამ შიპულინს, თუ-კი ლაპარაკი ჩამოუვარდებათ თავიანთ ყრმობაზე. სიამოვნებით იგონებენ იმ დროს, რომელიც შიპულინის ხელში გაუტარებიათ, იმიტომ-კი არა, რომ თითონ შიპულინისაგან ახსოვდეთ რამე სიამე და სიკეთე, არამედ იმიტომ-რომ შიპულინის ხსენებაზედ აგონდებათ თავიანთის სიყმაწვილის დღენი და ეს დღენი ვისთვის არ არის სასიამოვნონი. თვითონ საკუთრივ შიპულინი-კი სხვას რას და ვის მოაგონდება, თუ არ იმისთანა კაცს, რომელსაც მწვრთელად მიაჩნდა ბრტყელი სახაზავი და ჩამაგონებლად იმ სახაზავით ტყლაშა-ტყლუში ხელის გულზე!

შიპულინი ძველისა-კი არა, ძალიან ძველის აღთქმის კაცი იყო, უუძველესისა, და იმის პედაგოგია აშენებული იყო იმ მოძღვრებაზე, რომელიც გვეუბნება, რომ დასაბამი სიბრძნისა არს შიში პედა-

*) წელს ოქტომბრის 25-ს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ქ. სტავროპოლში ვერაგულად მოჰკლეს ჩვენი ქვეყნის მოკეთე და მისთვის თავდადებული დიმიტრი ყიფიანი. ამ წერილს, რომელიც ამოდებულია განსვენებულის ნაწერებიდან და დაბეჭდილი იყო 1887 წლის გაზეთ „ივერიის“ № 228. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში სწავლა-განათლების ისტორიისთვისაც. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მისი გადმობეჭდვა ჩვენს ჟურნალში. **რედ.**

გოგისა. შიშით-კი, მართალია, დაშინებული ჰყვანდა შეგირდები, მაგრამ სიბრძნისა-კი რა მოგახსენოთ.

აი ამ შიპულინობაზე რას მოგვითხრობს თვით დიმიტრი ყიფიანი:

„1820 წლის დასაწყისებში ბავშვის ნათესავებს ორში ერთი უნდა ამოერჩიათ, თუ ჰსურდათ შვილისათვის სწავლა რამ მიეღებინებინათ, იმიტომ-რომ მარტო ორი სასწავლებელი იყო.

„აქ, რასაკვირველია, იმის თქმა-კი არ გვინდა, სად როგორ ასწავლიდენ, ამაზედ ძალიან ცოტა რამ არის სათქმელი. სასულიერო სემინარიაში და კეთილშობილთა სასწავლებელშიაც მარტო ერთსა და იმავე წესს ადგნენ—სტრიქონიდამ სტრიქონამდე ზეპირად დასწავლა გაუგებლად; და თუ ყმაწვილი დააშავებდა რასმე, ხელის გულზე სახაზავის ტყაპა-ტყუპი. აი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე.

„პირველად მე მიმცეს სემინარიაში. ორის წლის შემდეგ გადამიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში.

„დამსვეს მეორე კლასში. მიღების შემდეგ მეორე დღეს შემოვიდნენ კლასში აღმასრულებელი დირეკტორის თანამდებობისა, პავლე ივანეს ძე შიპულინი, მასწავლებელი რუსულის ენისა, პეტრე სტეფანეს ძე სროტინსკი; ამათ თან მოსდევდა რამდენიმე შეგირდი უფროსის კლასებისა, რომელთა შორის, როგორც მახსოვს იყო წამოსადეგი ახალგაზდა, თავადი ლევან მუხრანსკი. ესენი ყველანი შემოვიდნენ და გამოსწიეს პირდაპირ უკანა სკამებისაკენ და, ამ ყმაწვილის ჩვენებით, მე წამომადგნენ თავსა.

„მათი სახელები მე მხოლოდ შემდეში გავიგე, იმ დროს-კი მე არ ვიცნობდი არც უფროსებსა და არც ამხანაგებს.

—„როგორ გაჰბედე და დაჰრეკე—ზარი, როდესაც შენთვის არავის უბრძანებია?—მუქარითა მკითხა უფროსმა.

„მე არ ვიცოდი, რას მედავებოდნენ, და გაშტერებული შევყურებდი.

„ჩამავლეს ყურში ხელი, გამიწივ-გამომიწიეს და ხელ-მეორედ შემომიტიეს.

—„მე არ დამირეკია-მეთქი—ვუთხარი.

—„მერე სწორედ ამან-კი დარეკა?—ჰკითხა შიპულინმა ახალგაზდასა.

—„მაგან, მაგანაო,—უპასუხა ამ ახალგაზდამ და იმისი სიტყვა დაამოწმეს დანარჩენმა ამხანაგებმა.

—„ოჰი! კიდეც რომა ჰმალავს და არ უნდა გამოტყდეს! ვერ უყურებთ!.. მამიტათ სახაზავი აქა!

„და რაღაც უცნაურის გააფთრებით მირტყეს და მირტყეს სახაზავი ხელის გულზე.

„თანა მტიკივა და თან ჯავრი მომდის!

—„რისთვისა მცემენ-მეთქი, ვკითხავდი ჩემს თავსა, და ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ლოყებზე.

„მე იმდენადვე ვიყავ დამნაშავე იმაში, რასაც მაბრალებდნენ, როგორც თქვენა, ჩემო მკითხველო.

„შეცდომა იყო! საყვარელი დედა მასწავლიდა, რომ შეცდომა უნდა შეუნდოს კაცმაო, და, მგონი, მეც შევუნდე; მაგრამ დავიწყებით-კი ვერ დავივიწყე.

„შემდეგ შიპულინმაც-კი გაიგო, რომ შემცდარი იყო; მაგრამ იმდენად კაცური ვაჟკაცობა არა ჰქონდა, გაესწორებინა შეცდომა და როგორმე დაყვავებით მომქცეოდა“.

ეს იყო პირველი ლახტი, რომელიც ბედმა მოახვედრა პატარაობითვე დიმიტრი ყიფიანს შიპულინის ხელით! ამ უსამართლობამ, რასაკვირველია, შეარყია

ბავშვური სიწრფოება მეტად მგრძნობელის ყრმისა.

ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანი მოგვითხრობს კიდევ ერთს ამბავს.

მაშინ იგი მეხუთე კლასის შეგირდი ყოფილა. იმ დროს ცოტა ნაკლებად ყოფილა ჩვენში „ცივილიზაცია“ და, წარმოიდგინეთ, ტანცობა თითქმის არავისა სცოდნია. ყოფილან აფიცრებიცა, მაგრამ იმ დროს ომი იყო სპარსელებთან და მთელი აფიცრობა საომრად იყო გასული. ნახეთ უბედურება: ქალებს „კავალერები“ არა ჰყოლიათ. იმ დროს ტფილისში გუბერნატორად იყო ხოვენი და მასთანვე პირდაპირ განაგებდა „კეთილ. შობილთა სასწავლებელის“ საქმეებსაც. მოტანცავე ქალების საამებლად, ხოვენმა განკარგულება მოახდინა თურმე, რომ ამ სასწავლებლის უფროს კლასებიდამ დარჩეულს შებირდებს ევლოთ წვეულებაზე და „ეკავალერნათ“ ქალებისათვის ტანცაობაში. ამორჩეულ შეგირდთა შორის მოჰყვა ჩვენი დიმიტრი ყიფიანიც.

„მეხუთე კლასის შეგირდებიო—გვიამბობს მარად-სახსენებელი დიმიტრი—სკოლის არისტოკრატიასავით იყო მესამე კლასის შეგირდების თვალში. ხშირად ჩვენ შევდიოდით მესამე კლასში მასწავლებელთა მაგიერ, როცა ისინი არ მოვიდოდენ, და გამოვიჭიმებოდით ხოლმე მასწავლებლის კათედრაზე.

„ტანცაობის მეორე დღეს სასწავლებელში წასვლა მოშიხდა იმავ ტანისამოსით, რომელიც მეცვა წვეულობაზე, და მხოლოდ კლასში, შევამცნიე, რომ ყურთმაჯებზე მაქვს თეთრი ლაქები, წმინდა სანთლის ნაღვენთი. რასაკვირველია, კარტოფილის სანთელი მაშინ არ იყო ჯერა. თვალში ეკლად მეჩვენა ეს უფაქიზობა და მინდოდა ლაქები როგორმე გამეშალებინა. ჩემს ახლოს ვერც ერთს ამხანაგს ვერ ვუპოვე საწერელი, ამიტომ მე გავედი მესამე კლასში. იქვე კარს უკან სტოლზე თვალი მოვკარ საწერელს, ამოვაწებე კალამი და უსვამდი ლაქიან ადგილებსა. რასაკვირველია, არცა-რა ხმაურობა და არცა-რა უწესობა მომხდარა-რა ამით.

ხოლო თათრულის ენის მასწავლებელს, მირზა ჯაფარ თუშმალოვს, რომელიც მასწავლებლის კათედრაზე მჯდარიყო, ალბად ეწყინა, რომ მე მისკენ ზურგ-შექცეული ვიდექი. სწორე გითხრათ, არ ვიცოდი, რომ იქ იჯდა, თორემ განგებ ზურგს რად შევაქცევდი! რისხვით და წყრომით დამიყვირა ქართულად:

—„შენ მანდ რას აკეთებ?

—„რას მიყვირის მეთქი, ვთქვი ჩემს გულში, რადგანაც არ ვიცოდი მიზეზი, და გაოცებულმა ვუპასუხე. „მაგდენს არაფერს!“. რაც ამ სიტყვებს მოჰყვა, იქიდამ სჩანს, რომ ჩემი პასუხი მეტის-მეტ კადნიერებად მიიღო მირზა ჯაფარ თუშმალოვმა: წამოხტა ზეზე, მომვარდა მე, წამწვდა ორისავე ხელით თმაშია და, განძვინებულმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აქეთ-იქით მათრია. თან ტკივილი მარჩობდა და თან გაუპატიურება. გავიწიე კარებისაკენ, რომ დირექტორთან მეჩივლნა, მაგრამ ამ დროს წამსკდა ცხვირიდამ სისხლი და დერეფანის კედელს მივეყუდე, მანამ შესწყდებოდა.

„მირზა ჯაფარს დრო მიეცა და თითონ გაიქცა დირეკტორთან და შეეჩივლა, ვითომც **მე იმასა ვცემე და არა იმან მე.**

—იგივე გმირი პირველის ეპიზოდისა, პ. ი. შიპულინი, რომლის წინაშე მართალი ის იყო, ვინც დაასწრობდა ან სა-

ჩივარს, ან დაბეზღებასა, დამადგა თავზე და თავის ჩვეულებისაებრ შემომიტია:

—„როგორ გაბედე, როგორ!?

„შიპულინმა შემატყო, რომ პასუხის თქმაც აღარ შემიძლიან, აღარავის აღარა ჰკითხა-რა, უბრძანა მირზაჯაფარს—თან გამომყეო, და ორნივ ერთად წავიდნენ, რომ გუბერნატორს მოახსენონ ეს ამბავი: ალბად ეგონა, რომ მძიმე საქმეა, და თითონ ვერ გაბედა მისი გარჩევა.

„მაშინათვე დამიბარეს გუბერნატორთან.

„მანამ მივიდოდი, შიპულინსა და თუშმალოვს, რასაკვირველია, ისე განემარტებინათ საქმე, რომ გუბერნატორი გაეცეცხლებინათ. რაღა გაცეცხლება უნდოდა მაშინდელს სამხედრო გუბერნატორს, რომელსაც უამისოდაც შეთვისებული ჰქონდა, რომ უფროსთან უმცროსი მუდამ მტყუანიაო.

„ამ გუნებაზე იყო გენერალი ხოვენი, და მისვლის უმალვე მომახალა მიწასთან გამასწორებელი სიტყვები:

—„როგორ გაჰბედე და ხელი შეახე მასწავლებელს?

„ჯერ არც-კი გაეთავებინა ეს სიტყვა, რომ შემოვიდა გენერალ-ლეიტენანტი თავადი **ბაგრატიონი**, ძმა გამოჩენილის პეტრესი და მამა მეორე პეტრესი, რომელიც შემდეგში გახდა ოსტზეის გენერალ გუბერნატორი.

„მე გულს მიკლავდა, გონებას მიშფოთებდა ის აზრი, რომ უდანაშაულოდ ასეთი შეურაცხოფა მომაყენეს, და მასთან, როგორც ეტყობოდა, მევე უნდა მტყუანი გამოვსულიყავ.

„მანამ გენერლები ერთმანეთს სალამს მისცემდნენ და მანამ რომან ივანეს ძე ხოვენი უამბობდა რომან ივანეს ძესვე თავადს ბაგრატიონს ჩემს საქმესა, მე იმოდენად დამიმშვიდდა გული, რომ შევსძელ და ვუამბე, როგორც მოხდა საქმე.

„ბაგრატიონი ყურადღებით მისმენდა, მერე მიუბრუნდა გუბერნატორს და უთხრა:

—„როგორ შეიძლება, რომან ივანეს ძეკ! კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ აზნაური-შვილები სწავლობენ! ჩემი შვილებიც იქ არ არიან! რა ამბავია, როგორ შეიძლება? ვინ უნდა გაბედოს იმათი ცემა? მერე თმით თრევა განა იგივე ცემა არ არის? თქვენი ნებაა, მაგრამ ეგ კი მეტის-მეტია და მაგრე არ შეიძლება!

„ხოვენს მაშინვე გამოეცვალა გუნებაცა და აზრიც.

„იმან დაუწყო დარიგება და ჩაფონება შიპულინსა და მირზა ჯაფარს, რომ შეგირდების ცემა არ შეიძლებაო, და ბოლოს, როცა ისტუმრებდა, უბრძანა, რომ კვლავ აღარ იყოსო.

„მერე მომიბრუნდა მე:

—„შენ-კი მადლობა უთხარი ღმერთსა და ამ თავადსა, რომ მაგრე ადვილად გადაჰრჩი! მიფრთხილდი-კი! კვლავ აღარ იყოს-მეთქი! გესმის, აღარ იყოს მეთქი! თორემ ვაი შენი ბრალი! წადი და არსად რა სთქვა ამაზე.

„ჩემი უთქმელობა რაღა საჭირო იყო: შიპულინის ეს ამბავი მოეფინა კიდეც და, მანამ მე დავბრუნდებოდი, ყველას შეეტყო სასწავლებელში, რითაც გათავდა საქმე. საგონებელში-კი ჩავვარდი და გავიფიქრე:

—„კვლავ აღარ იყოსო!!“ განა რაც კი იყო, ჩემი ბრალია? ან ჩემი ბრალი იქნება განა, თუ კიდევ იქნება რამ მაგისთანა მერმეცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამაებზე პასუხი ჩემთვის არავის მოუცია“*).

ეს მეორე ლახტია, რომელიც უსამართლო ბედმა კვლავ მოახვედრა ყრმობის ჟამსვე დიმიტრის.

ზემოდ მოვიყვანეთ ორი ეპიზოდი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდამ.

„ამით რის თქმა უნდოდა ამის დამწერსაო?“ იტყვიან ზოგიერთნი: „ვის არ გადახედია ამისთანა გარდასავალი პატარაობისასაო? პატარისათვის ეგ ამბავი არაფერია: გაიზდება და დაავიწყდებაო“.

ნუ იტყვით მაგას! ცემა, მართალია, დიდი არაფერია ხორცისათვის. „მე ეს მგონია, შევუნდევო,—ამბობს აწ განსვენებული დიმიტრი: და დავიწყებით-კი ვერ დავივიწყეო“. შეუნდო ნატკენი ხორცისა, ხოლო კაცს ხორცის გარდა სულიცა აქვს და აი ამის ტკივილი ვერ დავივიწყეო. ამ სიტყვებში ნაგრძნობია გვემაც სულისა, უსამართლობით შეგინებულისა, მერე მაშინ, როცა მისის ცხოვრების განთიადის პირველ ხანივე იყო.

იცით,—რა არის, როცა უბოროტოს, მტრედივით უსუსურს, უბიწო ბავშვს შეუგინებენ გრძნობას სამართლიანობისას! იცით.—რა წვა და დაგვაა ბაშვურის სიწრფოებისათვის, როცა მართალი მისდა საგრძნობელად შებღალვულია და ტყუილისაგან ძლეულია!.. ეს ისეთი რყევაა, ან სრულად ისეთი ძვრაა სულისა და გულისა, რომ გაალაყებს ბავშვს, ან ჩაჰკირავს აღდგომის კვერცხსავითა, რომ გულდა გულ, გულ-მედგრად-დახვდეს ყოველს ქარ-ტეხილს ცხოვრებისას.

რომ ეს ასე მოხდეს, რომ ბავშვი გამოიწვას ხალასს ოქროსავით უბედურობის ქარ-ცეცხლში, გამოჯიქდეს გამაგრდეს შავ-ბედთან ჭიდილისათვის, თვითონ ბავშვი მადლიანი უნდა იყოს. ასეთნი იშვიათნი არიან. უფროს-ერთსა ამისთანა განსაცდელი მიწასთან ასწორებს, სულითა ჰკლავს და მარტო ხორცითღა აცხოვრებს ქვეყნიერობაზედ და გვგონია უხეირობა მჩვრად ქცეულის კაცისა ამაში უნდა ჰპოულობდეს თავის მიზეზს, თავის დასაბამს.

რაც სხვას პირველშივე გაანადგურებდა, პირ-ქვე დაამხობდა, იმან დიმიტრი ყიფიანი გაამაგრა, ფეხზედ უფრო მკვიდრად დააყენა, ზე აახედა. აი აქ არის ნასკვი, აქ არის სათავე იმ მტკიცე და მკვიდრ ხასიათისა, რომელიც ასე ამშვენებდა დიმიტრი ყიფიანსა და იზიდავდა მის მიმართ ყოველის კაცის გულსა.

მითხრესო ამბობს იგი: „კვლავ აღარ იყოსო!.. ან ის კი, რაც იყო, ჩემი ბრალიაო? ან ის, რაც კვლავ კიდევ იქნება, ჩემი ბრალი იქნებაო? ამაებს ვკითხულობდი და პასუხი არავისგან მივიღეო“.

სხვისგან შეძულებული, შეგინებული, გაუპატიურებული სიმართლე მას შეუყვარებია ყრმობის დღიდგანვე...

---

*) «Русская Старина» 1886 г. № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

კუხის სკოლის მასწავლებლების ოინები; ბათუმის სასალხო სკოლების კურსები; ტერ გასპარიანცი, სულით დაბეჩავებული მასწავლებლები; მასწავლებლების დათხოვნა. ბ-ნი ტონი ქართულ გიმნაზიის შესახებ.

„კუხის ორ-კლასიანი სასწავლებელის გამგემ ბ-მა **ლუკა ჩომახიძემ** და მასწავლებელმა **სერაპიონ გორდაძემ** წინადადებით მიმართეს სახალხო სკოლების უფროსს—გამოცვალონ სკოლაში სახმარებელი სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილის („Русское Слово") და მის ნაცვლად რუსულის შესასწავლად სხვა ავტორის სახელმძღვანელო შემოიღონ."

გაზ. „იმერეთი"

სიცოცხლეში ბევრს რასმე გაიგონებს და მოესწრება ადამიანი, მაგრამ ისეთს სამარცხვინო ამბავს, რაც ვიღაც ჩომახიძეს და გორდაძეს ჩაუდენია—ქვეყნის საღალატოთ და მოზარდ თაობათა საზარალოდ იშვიათად გაიგონებთ. ესეც ჩვენი დუხჭირი ცხოვრების უკეთმართი მოვლენაა. ჩომახიძეები და გორდაძეები რომ არ იყვნენ ჩვენი სახალხო სკოლების ხელმძღვანელნი, მაშინ ჩვენებური სახალხო განათლების საქმეც სხვანაირად დატრიალდებოდა და გორდაძე-ჩომახიძის მაგვარ ტიპებს ცხოვრება ვერ შეჰქმნიდა. გაზეთის აზრი, რომ „ლუკა ჩომახიძეს და სერაპიონ გორდაძეს ასეთი სამარცხვინო ნაბიჯის გადადგმა ალბად დაწინაურებისათვის მოუნდათო", სამწუხაროდ მართალი უნდა იყოს, თორემ რად დასჭირდათ მიემართნათ სახალხო სკოლების უფროსისათვის, განა ეს უფროსი მადლიერი არ დაურჩებოდათ თავისთავადაც რომ შემოეღოთ თავიანთ სკოლებში ჩვენი ბავშვების გამომათაყვანებელი რომელიმე მუნჯური სახელმძღვანელო?! არა, ისინი სხვა გზას დასდგომიან, მეტად სამარცხვინოს და საზიზღარს,—ეს გზაა მეტი საბუთი მისცენ თავის უფროსებს და ჩვენებური სახელმძღვანელოების დაუძინარს მტრებს, რომ უფრო ადვილად შესძლონ საღი სულის გაძევება ქართულ სკოლებიდან. ამ საქმეში დამხმარედ და ყურმოჭრილ ყმებად ღღეს ნათლად ვხედავთ გორდაძე-ჩომახიძეს, მაგრამ გორდაძე-ჩომახიძეები მასწავლებელთა შორის, რომლებიც ფარულად იჩარხვენ საქმეს, ცოტანი არ არიან. ბევრი მათგანი, მართალია, ღალატობს ჩვენი პედაგოგიის მამათმთავარი, აწ განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის ანდერძს, ერიდება მისს სახელმძღვანელოებს, მაგრამ ამას უგუნურობით სჩადის, უმეცრების წყალობით ღობე-ყორეს ედება, წესიერი სწავლა აღზრდის საქმე მისთვის ჩინური ანბანია და მასწავლებლობს კი. გორდაძე-ჩომახიძეებს კი ქვენა აზრები ამოქმედებსთ. ისინი არ ჰბაძვენ თბილისის საქალაქო სკოლების ზოგიერთს მასწავლებლებს, რომელთაც თავისთავად განდევნეს ხმარებიდან ქართულ სკოლე-

ბისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოები და ნაცვლად „Первые шаги“ შემოიღეს, რომელიც მართლა საბედისწერო „ნაბიჯი“ გამოდგა,— ჩომახიძე და გორდაძე თავიანთი უფროსების დახმარებით ცდილობენ განსვენებული გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოების გაძევებას. ურჩევენ უფროსებს ძალა დაგვატანეთ და სხვა ავტორების სახელმძღვანელო შემოიღეთო. მაშინ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ხსენება მთლად გაჰქრება, რადგანაც უფროსის ბრძანებას, როგორც ჩომახიძე-გორდაძე, ისე ვერც სხვა მასწავლებლები აღუდგებიან წინ. აი გულნადები აზრი გორდაძე-ჩომახიძეებისა.

ამას, ჩემის აზრით, ვერც ერთი შეგნებული ქართველი ვერ შეუნდობს ჩომახიძე-გორდაძეს და ჩვენში რომ საზოგადოებრივი აზრი არსებობდეს და მასწავლებლებშიაც ერთურთის გატანა იყოს, გორდაძე-ჩომახიძეები სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრან, როგორც მოღალატენი, რომელთაც რიგიანი და შეგნებული მშობელი თხასაც არ მიაბარებს სამწყესავად, არა თუ ბავშვებს აღსაზრდელად.

—

ჩვენებური სახალხო სკოლების უბადრუკი მასწავლებლების გადაბირება რომ ადვილი ყოფილა შემდეგის ფაქტებიდანა სჩანს. წელს ზაფხულში ქუთაისის გუბერნიის მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ცნობილმა ტერ-გასპარიანცმა მოაწყო საზაფხულო კურსები ბათუმში. ამ კურსების ამბავს ერთი დამსწრე მასწავლებელთაგანი ასე აგვიწერს გაზეთ „იმერეთში“ (№ 25) „ამ ზაფხულს ქ. ბათომში გაიმართა სამეურნეო კურსები სოფლის მასწავლებლებისათვის. მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ. ტერ-გასპარიანცს დაავალეს მოეწვია საზოგადოებიდან თითო მასწავლებელი. ბ-ნი ტერ-გასპარიანცი კი თავის სურვილისამებრ მოიქცა, ერთისა და იმავე სკოლიდან ორი მოიწვია, ბევრი საზოგადოება სრულიად გამოტოვა. მე კი, ამ სტრიქონების დამწერს, გამილიმა ბედმა და მომივიდა მოწერილობა გამოვცხადებულიყავი ბათომში 22 ივნისს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვფიქრობდი, მეღირსა ამხანაგების ნახვა, ერთად თავის მოყრა, სჯა-ბაასი საერთო საჭიროებაზე, რაიმე გარკვეულ გზაზე დადგომა. მოვილაპარაკებთ იმის შესახებაც, თუ როგორ ვებრძოლოთ პოლიტიკან სომხის უაზრო გეგმას, რომელიც მან 81 წლის პრაგრამის მაგიერ გამოგვიგზავნა მეთქი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება: როცა თავი მოვიყარეთ თვალწინ წარმოიდგა ისეთი ადამიანები, რომელნიც ლუკმა-პურის დაკარგვით შეშინებულნი, ქედ-მოხრილნი შიშით და ლაქუცით შეჰყურებენ თავის უფროსებს და მათ მიერ ნაჩვენები გზით მიდიან. ძნელია, რასაკვირველია, როცა ადამიანი ქონებრივათ შევიწროებული, წელში გატეხილი ნელ-ნელა ეწევა მძიმე უღელს. ის ძალაუნებურათ ცხოვრებას ქედს უხრის, ძალას ემორჩილება და საითკენაც მოჰქრის ქარი, იქით გადაიხრება.

აი, სწორეთ ის ორმოცდაათი მასწავლებელი, რამდენიმეს გარდა, ასეთი ადამიანები ბძანდებოდენ.

კურსების გახსნისთანავე გასპარიენცმა ყურები გამოგვიჭედა: მეო, ბძანა, თქვენთვის თავდადებული ვარ, ეს კურსები მე გავხსენი, რომ თქვენ რამე შეგძინოთ. მე ძალმიძს ჯამაგირი მოგიმატოთ, რასაც მალე ავასრულებო. ძლიერ მეცოდება

ეროვნული

მასწავლებლები, ნამეტურ ცოლ-შვილიანებიო და სხვ. გულუბრყვილო მასწავლებლებს სიხარულისგან თვალებზე ცრემლები მოადგათ (რასაკვირველია, მე მხედველობაში მყავს უმრავლესობა). რა კი დაინახა,—მასწავლებლების მორჩილობა, ხმას აუწია და განაგრძო: ოღონდ ეს კი გახსოვდეთ, მთავრობა თქვენ ცუდის თვალით გიყურებთ, მეტადრე გურიის მასწავლებლებს, ამიტომ კურსებზე კარგად გაისარჯეთ, ქართული არ წამოგცდეთ, თუ გინდათ თქვენი საქმე კარგად წავიყვანო, ხომ გესმით, რაც გითხარით?—გვესმის ბ-ო ინსპექტორო, აგერ-ეგერ ატყდა ღრიენცალი.—„კაცო, ცხვირსახოცი ვინ ამომართვა ჯიბიდან, ჩაილაპარაკა ჩემთან მდგომმა ამხანაგმა.

— „Не разговаривать по грузински“,—დაიძახა იქვე მდგომმა და სამოწყალოდ თვალი უფროსს მიაპყრო, მაგრამ რაკი დარწმუნდა ვერ გაიგონაო, ხმამაღლა გაიმეორა:

— Разъ приказано не разговаривать по грузински, не долженъ говорить!

— Чудакъ!—დაუმატა მეორემ.

— ვინ არიან ესენი?—ვიკითხე მე...

— ეს 1903 წ. განთქმული მასწავლებელია გრიგოლია.

— მეორე?

—მეორე აჭარის სკოლისაა, რომელიც მიქელაძეს პასუხის გებაში აძლევს,—ხალხს მიჯანყებსო. ნამდვილად კი ქართული ენა როგორ მოითხოვა ბავშებისათვის მესწავლებიაო. ბოლოს იმდენი იმეცადინა შეუგნებელ ხალხში გასპარიანცის დახმარებით, რომ ხალხს განაჩენი დაადგენია, ქართული არ გვინდაო.

—საცოდავი ჩვენი ხალხი ასეთი მასწავლებლების შემყურე!—გაიმეორა ჩემმა ამხანაგმა და თავები ჩავკიდეთ.

ბოლოს ორატორი დაიღალა და გაგვშორდა.

ასეთ პირობებში მოგვიხდა მუშაობა კურსებზე. რამდენი დამცირება, ეროვნული შეურაცხყოფა განვიცადე ამ კურსების განმავლობაში, მაგრამ მკითხველი რომ არ დავღალო დანარჩენს მერმისთვის გადავდებ.

ბოლოს გვეღირსა კურსების გათავება. ორატორმა ერთი ლექცია კიდევ წაგვიკითხა, მამაშვილურათ დაგვავალა: სექტემბრიდან პირველ განყოფილებაში რუსული დაიწყეთ და აღმატება ჩემი საქმე იყოსო.

ახლა, როგორც გავიგე, ზოგიერთი მასწავლებელი უკვე შესდგომია უფროსის დავალების შესრულებას და მოელიან აღმატებას. ამ დაბრმავებულ ხალხს ასე გონია, ერთ კაცზე ტრიალებდეს რუსეთის სახელმწიფო და როგორც ის ისურვებს, ისე წავა საქმე. ამის გამო გაჩნდა მასწავლებლებში უთანხმოება, ენა-ტანიობა და უარყოფა ნამდვილი პედაგოგიური სწავლებისა.

საწყალი კაცუნები! ამით ფიქრობენ უფროსის ყურადღებით დამსახურებას, ავიწყდებათ, რომ ერთ დღეს ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგონ. ტყუილათ თავს ნუ იკატუნებთ! კარგად ვიცით, ვინც ბძანდებით. გახსოვდეთ, რომ პატიოსნება დიდი განძია, რამდენიც უნდა იხტუნოთ, 400 მანეთს ზევით მაინც ვერ ახტებით. ერთ მშვენიერ დღეს მაღლიდან ჩამოვარდებით და მიწასთან გასწორდებით.

სჯობს ჭკუას უხმოთ, დაეთხოვოთ მელიაობას, ენა-ტანიობას და ბეჩავ ხალხს გვერდში მაოუდგეთ. გიჯობთ გადაგვარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პოლიტიკა უარყოთ და ბავშვებს მამულისა ტ ერის სიყვარული ჩაუნერგოთ".

ამას სწერს კურსებზე დამსწრე მასწავლებელი. წელს ზაფხულში შემთხვევით დავესწარი ბათუმის კურსებზე დამსწრე მასწავლებელთა ექსკურსიას ბათუმის მახლობლად. ერთი თვალის გადავლება ნათლად დაგანახვებდათ ამ მასწავლებელთა სულის სიბეჩავეს. მართალია მათში თითო-ოროლა საღი გონების ადამიანიც ერია, მაგრამ რას გახდებოდა ეს თითო ოროლა უმრავლესობასთან. აი სწორედ ამ უმრავლესობის სიბეჩავით სარგებლობს ბ-ნი გასპარიანცი და მასწავლებლებსაც იმას აკეთებინებს, რაც თვითონა სურს. რიგიანი მასწავლებელი ამ ვაუბატონს ჭირივით ეჯავრება, სამსახურიდან ითხოვს და მეტის მეტს ულმობელობას იჩენს მათდამი. აი ამისი მაგალითი ბ-ნმა ტერგასპარიანცმა პირველად დაითხოვა სამსახურიდან ორთა ბათუმის სკოლის მასწავლებელი **ჩახვაძე** იმიტომ, რომ მან გაჰბედა და დასტამბა წერილი მრეწველობის შესახებ ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქში; შემდეგ დაითხოვა სამსახურიდან შემოქმედის სკოლის ზედამხედველი **იოსებ ჩხატარაიშვილი**, რომელიც 19 წელიწადი მსახურებდა მასწავლებლად, ცოლი ავადმყოფი ჰყავს და ყოვლად უსახსროა. ამას მიაყოლა მეორე მასწავლებელი შემოქმედის სკოლისა **გორდულაძე**, აცანის სკოლის ზედამხედველი **სოლომონ ინწკირველი** და მესამე მასწავლებელი ამავე სკოლისა **სოლომონ მაჭავარიანი**. ეს უკანასკნელი ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დანიშნა ყალამშიის სკოლაში და, როგორც სჩანს, საკმაოდ ფხიანი და გამოცდილი მასწავლებელია. დაითხოვა სამსახურიდან აცანის ქალების სკოლის გამგე **ეკატ. ქუთათელაძის** ასული და მეორე მასწავლებელი ქალი იმავე სასწავლებლისა ლ. **პაპკოვის** ქალი. ამაღლების სკოლის ზედამხედველი **ხარიტონ მანტიძე** ჯერ დათხოვნილი იქმნა, შემდეგ კი დანიშნეს მესამე მასწავლებლად ერთს მიყრუებულს ადგილს. ეს მრისხანება იმას გამოუწვევია, რომ მანტიძეს მოუთხოვია ინსპექტორისაგან 500 მანეთი სამინისტროს მიერ გადადებული სკოლის შენობის შესაკეთებლადდა ამასთან მოუთხოვია ჯამაგირი მისდამი რწმუნებულის სკოლის ერთის მასწავლებლისა. მანტიძეს თურმე 20 წელიწადი უმსახურნია, მრავალი წვრილ-ცოლშვილის პატრონია და თვითონვე ინახავს ყრუ-მუნჯს ძმას. დაუთხოვნია შუა ამაღლების სკოლის მასწავლებელი **სიხარულიძე**, რვა წვრილშვილის პატრონი და არაფრის მქონებელი. დაითხოვეს სამსახურიდან ბასილეთის სკოლის მასწავლებელი ემელიანე **ლომთათიძე**, ვითომ როგორც „პოლიტიკურად არა საიმედო პირი". ლომთათიძე ყოფილა ხელმწიფის მოადგილის თანაშემწესთან, ვატაცისთან, მიუღია თავის გასამართლებელი საბუთები, მაგრამ იგი დღესაც უადგილოთ არის. უადგილოთვე დაუტოვებია მასწავლებელი **გორგიძე**, რომელიც უსასყიდლოდ ასრულებდა მასწავლებლობის მოვალეობას ოთხს სხვა და სხვა სასწავლებელში, არ მისცეს არც აღთქმული ჯამაგირი და არც ადგილი *).

ასე ბატონობს და პარპაშობს ბ-ნი გასპარიანცი; დათხოვნილი მასწავლებლები ვალს ღებულობენ, მოდიან თბილისში მზრუნველთან, ეს უკანასკნელი დათხოვ-

*) ეს ცნობები ამოკრეფილია კ. მაჭავარიანის წერილიდამ, რომელიც დასტამბულია „Народный учитель"-ის № 30-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილ მასწავლებლების თხოვნას სახალხო სკოლების დირექტორს უგზავნის, დირექტორი—გასპარიანცს, რომელიც პასუხად ეუბნება—ჩემი საქმე არ არის—დირექტორმა დაგითხოვათო და სხვ. ასე აფასებენ ჩვენში სახალხო სკოლების მასწავლებლის მოღვაწეობას, მასწავლებლებიც კი ქედს იხრიან ასეთის უსამართლოების წინაშე და კიდევ ელაქუცებიან ისეთს უფროსებს, რომელთაც განძრახვა აქვთ მოსპონ სახალხო სკოლებში ყოველგვარი საღი მიმართულება და ყოველგვარი პედაგოგიური აზრები გარუსების მიზანს ანაცვალონ.

—

რაღა მარტო მასწავლებლებსა და ტერგასპარიანცს ვაბრალებთ სიმართლის ღალატს და ცხოვრებაში უკუღმართ აზრების გატარებას. ამისთანა მოღალატენი, სამწუხაროდ, ყოველ დარგში მოიპოვებიან ჩვენში თითო-ოროლა მაინც. ავიღოთ თუ გინდათ ჩვენებური რუსული ასოებით დაბეჭდილი ქართველების გაზეთები, ვითომ ქართველთა ინტერესებს ემსახურებიან, მაგრამ საქმით კი გარუსებასაც ხელს უწყობენ და ქართულ დაწესებულებათაც ძირს უთხრიან. ერთი ამის მაგალითია ვიღაც ბ-ნი ტონი, რომელმაც „ზაკავკ. რეჩის“ № 228-ში დასტამბა სიცრუითა და ცილის წამებით სავსე წერილი თბილისის ქართულ გიმნაზიის შესახებ. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ასეთს ტენდეციოზურს წერილზე პასუხის გაცემა არა ღირს, ვიცით საიდანაც გამომდინარეობს ეს დომხალივით არეული აზრები, რა აწუხებს მისს დამწერს და რად ჰგოდებსო. მაგრამ ნათქვამია „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო“; დეე, სხვანი სდუმდენ, ჩვენ კი დუმილს ის გვირჩევნია ვამხილოთ ბ-ნ ტონის მაგვარ პუბლიცისტებს, რომ მათი ყალბი „ტონი“ მუსიკალურ სმენას ვერავის დაუტკბობს და, როგორც სიმართლეს მოკლებული ცილისწამება და სიყალბე, ნიადაგს ვერ მოიპოვებს ცხოვრებაში და მომავალში ისე გაჰქრება, ვითა საზმარი ღამისა. ამის საბუთს გვაძლევს ჩვენი ახალგაზდობაც, რომელიც პროტესტს აცხადებს საზოგადოთ ქართველების მიერ გამოცემულს რუსულს გაზეთებისა და კერძოთ „ზაკავ. რეჩში“ ტონის უგბილო წერილის დაბეჭდვის გამო (იხ. „სახალხო გაზეთი“ № 743).

მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ის „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები“, რასაც ბ-ნი ტონი აბნევს „ზაკავკ. რეჩის“ ფურცლებზე. აი ეს მარგალიტები: „ქართულმა გიმნაზიამ დაჰკარგა თავისი ხასიათი, რაც საფუძვლად დაედო დაარსების დროსო, იგი გარდაიქმნა მთავრობის ჩვეულებრივ სასწავლებლადო“. ეს ცილისწამებაც არის საქმის გაუგებრობაც და უცოდინრობაც. ყველამ იცის, რომ ქართულ გიმნაზიას იმ უფლებიდან, რაც დაარსების დროს ჰქონდა, კი არა დაუკარგავს რა, პირიქით სხვა უფლებაც შეიძინა, როგორც მაგ. სიმწიფის მოწმობისა და სხ. „ქართულ გიმნაზიას ტყვილა ჰქვიან სახელად „ქართული“ ის გარემოება რომ მოწაფეთა დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, უფლებას არ გვაძლევს ამ სასწავლებელს „ქართული გიმნაზია“ ვუწოდოთ, როგორც არ შეიძლება მესამე სავაჟო გიმნაზიას სომხური ვუწოდოთ, თუმცა იქ მოწაფეთა უმეტესობას სომხის შვილები შეადგენენო“. ერთი ვკითხოთ ამ გასახარელს ტონს: თუ ქართულ გიმნაზიაში მოწაფეთა უმრავლესობა ქართველობაა, უმცირესობას ვინღა შეადგენს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნახავს როდისმე ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა სია, ან შეუხედნია გიმნაზიაში იმ მიზნით, რომ გაეგო მოწაფეთა ვინაობა? არა. მან ყველა ეს ოცნებით შეთხზა. ვანუგეშებთ ბ-ნს ტონს, რომ გიმნაზიაში სულ ქართველები სწავლობენ და თუ იშვიათად ერთი ორი გვარი ქართული არ არის, ეს სრულიად ხელს არ უშლის მის ქართველობას. ქართული გიმნაზიის შედარება თბილისის მესამე გიმნაზიასთან, ან გორის გიმნაზიასთან და ამათში არავითარი განსხვავების დანახვა პირდაპირ ფაქტის დამახინჯებაა და უტყუარი საბუთია, რომ ბ-ნს ტონს, როგორც ყოველთვის, ახლაც ყალბი „ტონი“ აუღია და ამ ტონზე აშენებული გამმაც, რასაკვირველია, ყალბი გამოდის და მსმენელთათვის უსიამოვნო. მესამე გიმნაზიაში მოწაფეთა უმრავლესობა სომხებია, კარგი ბ პატიოსანი, მაგრამ ნეტა ვიცოდეთ სომხურ ენას ისეთი უფლება აქვს ამ გიმნაზიაში, როგორც ქართულ ენას ქართულს კერძო გიმნაზიაში, ან გორის მთავრობის გიმნაზიაში ისეა ქართული ენის საქმე, როგორც ქართულ გიმნაზიაში? ბ-ნი ტონი ამას არ დაჰკვირვებია, თორემ სხვებთან ერთად, იქნება ისიც მიმხვდარიყო, რომ ჩვენს მოზარდ თაობას თუ რამე ეროვნული უნარი რჩება ცხოვრებაში, ეს მხოლოდ იმათ, ვისაც ქართულ კერძო გიმნაზიებში და კერძო ქართულ სასწავლებლებში უსწავლიათ და არა მთავრობის გიმნაზიებში. სწორედ, სხვათა შორის, ეს მიზანი აქვს დასახული ჩვენ კერძო გიმნაზიებსაც, სადაც ქართულ ენას, ქართულ მწიგნობრობას, ლიტერატურას ძველს და ახალს და ისტორიას, დღევანდელს პირობებში საკმარისად სწავლობენ. მაგრამ ბატონი ტონი თბილისის ქართულ გიმნაზიაში ქართულ ენას ეჭვის თვალით უყურებს და ამ ენის მასწავლებლებს ყბად იღებს: „ვინ არიან ეს ქართულის მასწავლებლები, ან როგორ ასწავლიან, ეს ფართო საზოგადოებამ არ იცისო“, ბ-ნმა ტონმა კარგად უნდა იცოდეს, ვინც ასწავლიან ქართულ ენას ქართულ გიმნაზიაში, მაგრამ სჩანს მოუწადინია თავის აზრით, ან სხვისის შთაგონებით შოლტები გადმოეკრა ქართული ენის მასწავლებლებისათვის. „ფართო საზოგადოება ვერ იცნობს მათო“. ვისაც ქართული გიმნაზიის საქმე აინტერესებს, იცნობს ქართული ენის მასწავლებლებსაც ბ გიმნაზიის საქმის გარემოებასაც. პირუთვნელად დაფასება იმისი, თუ როგორ ასწავლიან ქართულ ენას, მცოდნე პირთა საქმეა და ჭორად გაგონილი ამბის მასალად გამოყენებას, შეუმოწმებლად, არც ერთი პატიოსანი ლიტერატორი არ უნდა ჰკადრულობდეს. შესაძლებელია ვისმე არ მოსწონდეს რომლისამე მასწავლებლის სწავლების მეთოდი, მაგრამ ეს პესციალი საკითხია, რომლის შესახებ მრავალი აზრი არსებობს და არ ვიცით რა მოსაზრებით უნდა ხელ მძღვანელობდეს მწერალი, იმ შემთხვევაში როცა ყურ მოკრულს ამბავს შეუმოწმებლად გამოამზეურებს გაზეთის ფურცლებზე და ამით უნდა ჩირქი მოსცხოს დაწესებულებას და იმ პირთ, ვინც იქ მსახურობენ. რა სახელი ეწოდება ასეთს მწერალს და წერის ამგვარ მონერას, მისი გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

„მცოდნე პირთაგან ბევრჯელ გაგვიგონია, რომ ქართულ გიმნაზიაში ქართული ენა და ისტორია უარესადაა დაყენებული, ვიდრე სხვა საგნებია, ამ სამი წლის წინად საზოგადოების მიერ არჩეულმა პედაგოგებმა რევიზია მოახდინეს და სამწუხარო შედეგი აღმოაჩინესო.

მაშ რაში გამოიხატება ქართული გიმნაზიის ქართულობა, არაფერში და ქართველი საზოგადოებაც შემცდარია ქართულ გიმნაზიას რომ ქართულს უწოდებს", განაგრძობს ბ-ნი ტონი. ღვთის გულისათვის, ერთი მაინც დაგვისახელეთ ისეთი მცოდნე პირი, რომელსაც ბ-ნი ტონი შეუცდენია და გაუხარებია. იქნება მათში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც მასწავლებლებთან ერთს ლაპარაკობენ, ტონთან კი მეორეს, მაგისთანა პირებს კი ვერც მცოდნეს ვუწოდებთ და ვერც მათ ნალაპარაკევს გამოვიყენებთ საბუთად. ამ მცოდნე პირების დაუსახელებლად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ამბავიც ბ-ნი ტონის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყვეს. რამდენადაც ვიცით პედაგოგებს საზოგადოების მინდობილობით არავითარი რევიზია არ მოუხდენია ქართულ გიმნაზიაში. ერთხელ იყო მხოლოდ ბ-ნი მ. ზაალიშვილი, მოგვისმენია მისი მოხსენებაც, მაგრამ იმდენი სამწუხარო არა ყოფილა რა ამ მოხსენებაში, რაზედაც ბ-ნი ტონი სწუხს. დარწმუნებული ვარ ბ-ნმა ტონმა სამი წლის წინად ყური მოჰკრა რაღაც ლაპარაკს, დღეს მოიგონა, მაგრამ ვაი ამ მოგონებას! ამით ცილი დასწამა ქართულ გიმნაზიასაც და ბ-ნს ზაალიშვილსაც, რათა გაეკიცხა გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლები და საჯაროდ დაეყვირნა: ხალხნო და ჯამაათნო, გაიგონეთ, ქართული გიმნაზია არ არის ქართული, არა და არაო. არც საეზნაურროა, რადგანაც სხვა წოდების ბავშვებიც სწავლობენ შიგაო, გიმნაზიას კრიზისი მოელის, თავადაზნაურობა ბევრ ფულს ხარჯავს, გაადიდეთ სწავლის ფული 80—100 მანეთამდის, თავად-აზნაურობამ მისცეს მათ 20 ათასი მანეთი და გიმნაზია იარსებებსო. ყველა ამას რომ მოისმენენ ჩვენი გიმნაზიის საქმის დაკვირვებით კარგად მცოდნენი, უეჭველია, იტყვიან ეს კაცი საღ ჭკუაზეა, თუ არაო!? შე დალოცვილო, ჯერ 30—40 მანეთის ვადახდაზე რამდენი ჭაპანწყვეტაა და 80—100 მ. რომ შემოიღონ სწავლის ფასი, მაშინ რაღა იქნება! გაძვალტყავებულ ხალხს პურის ფულიც არ აქვს, შვილებს გამოზრდა უნდათ, ეს კი არა მარტო მშობლების, საზოგადოების მოვალეობაც არის; მშობლების მეტის მეტმა სიღარიბემ აიძულა პატივცემულნი პირნი გიმნაზიასთან უფასო სასადილოც მოეწყოთ და ჭკვიანი ტონი სწავლის ფულის ერთი ორად და სამად გადიდებას ქადაგებს. სად არის აქ რეალურად საქმის დაკვირვება და ცოდნა?! მაგრამ ბ-ნს ტონს საქმის ცოდნისათვის არა სცხელა, იგი თვითონ მიკიბ-მოკიბავს ჭორად გაგონილს ამბებს, გამოამზეურებს და მით გულს უკეთებს მხოლოდ იმათ, ვისაც ქართული გიმნაზია თვალში უსიამოვნოდ ეჩხირება, მაგრამ სასიამოვნოდ გიმნაზია თანდათან განვითარებისა და გაუმჯობესობის გზაზედ სდგას, თანამგრძნობიც მრავალი ჰყავს და თითო ოროლა ყალბი ტონები ვერ დაარღვევენ იმ ჰარმონიას, რომელიც გიმნაზიის გარშემო არსებობს, მყარდება და შემდეგში უფრო განმტკიცდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოეთი

პირველ დაწყებითი სასწავლებელი

დასავლეთ ევროპაში

მთელ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, გარდა ბელგიისა, შემოღებული აქვთ პირველ დაწყებითი სავალდებულო სწავლა, რაიც მაგალითად გერმანიაში გრძელდება 8 წელიწადს (6 წლიდან 14 წლამდის), სხვა სახელმწიფოებში კი 6 წელიწადს (6 წლიდან 12 წლამდის).

სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლა უფრო სამაგალითოდაა დაყენებული გერმანიაში, რის გამოც ხსენებულს სახელმწიფოში რომ ყველა მცხოვრებნი ვალდებულნი გახდონ სავალდებულო სწავლებისა, მთავრობას იქ დაარსებული აქვს რამდენიმე რიგი ისეთის დაწესებულებისა, რომელთა მიზანსაც შეადგენს ის, რომ ყველა მშობელს ჩააგონონ, დარიგება მისცეს, რომ თავისი შვილ აუცილებლივ სასწავლებელში მიიყვანონ და უსწავლელნი არ დასტოვონ. ხსენებული დაწესებულებები ამავე დროს ხელს უწყობენ მშობლების ბავშვების რიგიანათ სწავლა-აღზრდის საქმეში, რაიც გამოიხატება იმაში, რომ მშობლების ნებას არ აძლევენ ისარგებლონ თავიანთი ბავშვების შრომით, რათა უდრო უდრო დაწყებულმა შეუფერებელმა ფიზიკურმა შრომამ არ დასჩაგრონ ბავშვის ნორჩი არსება. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბავშვს ორგვარი შრომის კაწვა არ შეუძლიან: თუ ბავშვი სწავლობს და მშობლებიც ამავე დროს მისგან სხვა საქმის გაკეთებასაც მოითხოვენ, მაშინ ბავშვს გული უტეხდება და სწავლაზე გულს იცრუვებს, სკოლას ხშირად აკლდება და სწავლასაც ადმაცერად უყურებს. გერმანია ში ბავშვის ამგვარი მდგომარეობა გათვალისწინებული აქვთ და რაკი მშობელი ბავშვს მიაბარებს სკოლაში, ის აუცილებლივ უნდა ატარონ კიდეც, არ მოატდინონ სწავლას და გარდა სწავლისა იმას სხვა საქმე არ უნდა გამოეჩინონ. თუ არ ასე სკოლაში წესიერი სწავლება შეუძლებელია.

ამავე დაწესებულებას უფლება აქვთ გაათვრთოონ ან შეამოკლონ პირველ დაწყებითი სასწავლებლის მთელი წლის კურსი.

ათვრთოვებენ მთელი წლის კურსს იმ ბავშვთათვის, რომელნიც ნიჭიერათ სწავლობენ; ამოკლებენ კურსს კიდე იმათთვის, რომელნიც უნიჭონი და აგებულობითაც სუსტნი არიან. ასეთის ბავშვებისათვის დაარსებული აქვთ სპეციალი სასწავლებლები, სადაც ესენი გადაჭყავთ და გარდა სწავლისა, ასწავლიან ხელობას (ვაჟებს) და ხელ-საქმეს (ქალებს). როგორც გერმანიაშია სასტიკათ დაცული სავალდებულო წესი სწავლებისა, ისე ეს დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში არ არის დაცული, რის გამოც ხსენებულ სახელმწიფოებში მეტი % ბავშვებისა მშობლების დაუდევნელობით და შეუგნებლობით უსწავლელები რჩებიან და ვინც სწავლობს, ისინიც უბრალო მიზეზისა გამო სკოლას აკლდებიან. ბევრჯელ ჯანსაღი და ნიჭიერ ბავშვთა მშობლებს ნებაც კი ეძლევათ თავიანთი შვილები სკოლიდან გაიყვანონ 4 წლის სწავლების შემდეგ, თუ კი ამას მოითხოვს მათი ოჯახის მატერიალური საჭიროება. გერმანიაში კი ასე არ არის; რაკი ბავშვს მიაბარებენ სასწავლებელში, იმისი გაყვანაც არ შეუძლიანთ. თუ რამე

მეტის მეტი საჰატიო მიზეზი არ აღმოჩნდა.

საზოგადოთ დასავლეთ სახელმწიფოებში რომ პირველ დაწყებითი სწავლა ნორმალურს პირობებში სწარმოებდეს, მთელ სასწავლებლის ბავშვების ნიჭისა და განვითარების დაგვარათ რიგებათ ანაწილებენ. პირველ წლის სწავლის ბოლოს მასწავლებლების და სკოლის სპეციალ ექიმის მოსაზრებით არჩევენ ისეთ ბავშვებს, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ვერ მოასწრეს გაევლოთ პირველ დაწყებითი სასწავლებლის მთელი კურსი. ამათთვის აარსებენ სპეციალ კლასებს, ან სკოლებს, სადაც ამ გვარმა (ჩამორჩენილმა) ბავშვებმა უნდა გაიარონ ხელმეორეთ შემოკლებული კურსი პირველ დაწყებით სასწავლებლებისა, შეისწავლონ ხელობა და ხელსაქმე. ამ წესით სწავლება უადვილებს მოსწავლეთ რომლისამე საგნის სპეციალურათ შესწავლას და გონებრივათაც ეფხიზლებს.

საკითხი ამის შესახებ, თუ რამდენათ საჭიროებლოა ამ გვარი სპეციალი კლასების და სკოლების დაარსება უნიჭო ბავშვთათვის, ეს თან და თან ირკვევა ხსენებულ სახელმწიფოებში. ამ გვარი დამხმარე სკოლების დაარსება დიდი ხანია საგანგებულოთ აღიარებულია გერმანიის ქალაქებისათვის, სადაც გადაეცემა ისეთი ბავშვები, რომელთაც მთელი ორი წლის განმავლობაში ჩვეულებრივ პირველ დაწყებით სასწავლებლებში ვერაფერი შეისწავლეს. დამხმარე სკოლების მიზანი ისაა, რომ თანდათანობით განუვითარონ უნიჭო ბავშვებს დაკვირვება და გამჭრიახობა გარეგნულ გრძნობათა; ავარჯიშონ ბავშვები ზეპირ ლაპარაკში, გაუმახვილონ მეხსიერება, აზროვნება, მოძრაობა და ნამდვილი წარმოდგენა გრძნობათა სფერაში.

ასეთს დამხმარე სასწავლებელში, რომ უფრო მეტი გავლენა იქონიოს სწავლებამ უნიჭო ბავშვებზე, ამწესებენ ისეთ სპეციალ-გამოცდილ მასწავლებლებს, რომელთაც ცოდნასთან ერთად ისეთი უნარი და ძალა შესწევთ, რომ თავიანთი ავტორიტეტის ზედ გავლენითაც კი მათ ნამდვილი აღზრდა მისცენ. ასეთს ბავშვებს მომეტებულ ნაწილათ ისეთს სწავლას აძლევენ, რომელიც პრაქტიკულათ შემდეგ ცხოვრებაში გამოადგებათ, როგორც მაგალითად: ბავშვებს აცნობენ გადასახლ გადმოსახლების საქმეს, წყლის გაყვანგამოყვანას, ქუჩების დასუფთავებას, წყალ სადენების მოწყობას, მოწყობილობას ტელეგრაფისას, სათოსტო დაწესებულებისას, სასამართლოებისას, საავადმყოფოებისას, ცეცხლის მქრობელთა რაზმის მოქმედებას, გაზეთების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საქმეს, გონიერულ გასართობებს და მუზეუმების (სიძველეთა სცენა) მოწყობილობას და სხვა ბევრ ამ გვარს.

კოტე.

(დასასრული იქნება)

მოწერილი ამბები

წერილი გურიიდან

ხალხი იდგიძებს დრმა ძილისაგან: შეიგნო სწავლის მნიშვნელობა; გაიგო რომ ძალა სწავლაშია, თვითცნობიერებაში. ამ ფაქტს ამტკიცებს ყოველ-წლივ საქართველოში სკოლების რიცხვის ზრდა, მაგრამ სწავლა-განათლების მხრივ ყველა საქართველოს კუთხეზე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საქართველოს ჰატარა ნაწილმა გურიამ; ეს კუთხე ტერიტორიით სხვა საქართველოს ნაწილებზე ჰატარაა, მაგრამ სკოლების რიცხვით კი ყველ-

ეროვნული

და; ხალხმა ამის გამო ამოირჩია რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია და გაუგზავნა ინსპექტორს; დეპუტაციამ დაუმტკიცა ბ. ტერ-გასპარიანცს ხსენებული მასწავლებლის ცუდი ზნე და მოსთხოვა მისი იმ სოფლიდან გადაყვანა, მაგრამ ინსპექტორმა ხალხის მიერ ამორჩეულ დეპუტატების თხოვნას ყურადღება არ მიაქცია, და ხსენებულ მასწავლებელს ადგილიდან დაძვრაც ვერ გაუბედა და დეპუტაცია ბირში ჩადა გამოგზავნული გამოისტუმრა.

დიახ, ბ. ინსპექტორს ჰყავს მასწავლებლებს შორის „აგენტები“, რომლებმაც რაც უნდა დააშავონ ყველაფერი ეპატიებათ და ბირიქით „ბოსობიებით“ და „ბოხვალნი ლისტოკებით“ ჯილდოვდებიან.

სკოლაში ქართული ენის დარაჯის, და ფხიზელი მასწავლებლის დათხოვნა ინსპექტორისათვის არ არის ძნელი: გაუკეთებს ბ. დირექტორს ყალბ „დაკლადს“ და ეს უკანასკნელიც შესაფერ განკარგულებას მოახდენს; მაგრამ მასწავლებლის დათხოვნას თქვენი ჭირი წაუდია, ეს კიდევ არაფერია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დათხოვნილ მასწავლებლების მაგიერ ნიშნავს რუს-კაზაკ მასწავლებლებს; ს. ჯვარცმის ორ-კლასიან სკოლაში მასწავლებლათ დაუნიშნავთ ვინმე რუსი—კაზაკი **სავჩენკო** და ერთიც ასეთი ს. შემომქმედის სკოლაში; რასაკვირველია, არც ერთ მათგანს ქართული ენის არა გაეგება რა; ხო, და როგორ შესძლებენ ეს რუსი მასწავლებლები ბატარა ქართველ ბავშვებთან მაცადინობას. ამის შემდეგ რა გასაკვირველი იქნება ხალხს სკოლაზე გული აუცრუვდეს. გლეხები, რომლებიც სკოლის გულისათვის უკანასკნელ დონის ძიებას არ ზოგავენ, რათა მათმა შვილებმა ცოდნა შეიძინონ, ხედავენ თავიანთ აშენებულ სკოლებში რუს მასწავლებლებს, გული ეწვით და ეთუთქებათ, რადგან დარწმუნებული არიან მათი ემაწვილები რუსი მასწავლებლებისაგან ვერას გაიგებენ. რა გზას დაადგენ არ იციან; თუ სთხოვეს ინსპექტორს ამ რუსი მასწავლებლების ამ სკოლებიდან გადაყვანა და მათ მაგიერ ქართველი მასწავლებლების დანიშვნა, იმათ წინადვე იციან მაგალითებით, რომ მათი თხოვნა უნაყოფოდ დარჩება; ან როგორ შეიწუნარებს ბ. ინსპექტორი მათ თხოვნას რომ რუს-კაზაკ მასწავლებლების დახმარებით, მას განძრახვა აქვს თავის მიზანს მიაღწიოს: გაიჩინოს სოფლებში მასწავლებლებს შორის „აგენტები“ და „ეურ-მოჭრილ—მონა მასწავლებლები“, მოსპოს სკოლაში ქართული ენა და გაამეფოს სხოლასტიკა და მით დაიმსახურო მთავრობის ყურადღება, წარჩინება და „ჩინ-ორდენები“, სასწაული „ჩინოვნიკი“! როგორ აქვს სურვილი წარმატებისა! მაგრამ ასეთი საზიზღარი საშუალებებით? ნუ დაავიწყდება ბ. ტერ-გასპარიანცს, რომ რაც მეტი იქნება მის მიერ ქართული ერისა და ენის აბუჩად აგდება, მით მეტი ეყოლება მას მოწინააღმდეგეები.

დროა გამოფხიზლდენ თვით გურიის მასწავლებლები, მოქალაქობრივი სიოამაცით აღიჭურვონ და გასპარიანცის მიერ სკოლებში შეპარულ გარუსების ბოლიტიკას წინააღუდგენ.

ინსპექტორის „ეურ-მოჭრილ მონა“ მასწავლებლებს კი მოგახსენებ, რომ ტერ-გასპარიანცთან დაქუცით და დაქიობით ვერც ისინი წავლენ შორს.

გრ. საქარიქედელი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 10 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიურ გაზეთი

„იმერეთი“

(წელიწადი პირველი)

ზაზეთის ფასი: ერთი წლით **7** მან. ნახევარი წლით **4** მან. ერთი თვით **4** აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს **3** მან. პირველ მაისს **2** მან. პირველ ენკენისთვეს **2** მან.

თითო ნომერი ერთი შაური

მისამართის გამოცვლა **ათი შაური.**

რედაქციის ადრესი: Въ гор. Кутаисъ, редакція газеты „Имерети“.
Антону Михаиловичу Хеладзе.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

„კ ლ დ ე“

(წელიწადი პირველი)

ჟურნა ღირს წლიურად **5** მან. ამა წლის დამლევამდე— **1** მან., 50 კაპ.
სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ **4** მან.

ცალკე ნომერი ყველგან—ორი შაური

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3. რედაქცია „კლდე“.
დეპეშისა: თბილისი კლდე.

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო სამეურნეო **საგლეხო** გაზეთი

„ქ ა რ თ ლ ი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით

დამატებით		**უდამატებოთ**	
გაზეთი წლიურად ეღირება	5 მ.	„ „ „	— 4 მ.
„ ნახევარი წლით	— 2 მ. 60 კ.	„ „ „	— — 2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	— — 1 მ. 50 კ.	„ „ „	— — 1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	— — — 55 კ.	„ „ „	— — — 45 კ.
ცალკე ნომერი	5 კაპ.		3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და **უდამატებოდ**. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.